



K 48 369
2



მოდის ჯაჭოქობა
სიღვინა
მნათოქობი
ნამიკანნი

მითა ფაფომიძე



სიღვანე
მართობი
ამიწან



სამეცნიერო-ფანტასტიკური
მოთხრობები

„საბჭოთა საქართველო“. თბილისი — 1979

8СГНФ-3



Г2
899. 9621.3
გ. 142

სპეგ-2000
გეოგრაფიული

კრებული ფანტასტიკაში ყველაზე უფრო პოპულარულ თემას — სხვა პლანეტების გონიერ არსებებთან კონტაქტს ეძღვნება. მოთხრობებში დასმული ფილოსოფიური პრობლემები შეეხება არამიწიერ ცივილიზაციებთან ურთიერთობის ფსიქოლოგიურ-ეთიკურ ასპექტს, შორეული მომავლის ადამიანების გმირობას, მამაცობასა და სიბრძნეს, გარემოს დაცვას როგორც დედამიწის, ისე კოსმოსური მასშტაბით.

ГАГОШИДЗЕ ШОТА ЕВСТАФЬЕВИЧ

Голубое светило Амирани

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

1979

70300 — 200

Г ————— 268—79

М 601 (08) — 79

საბჭოთა საბ. სპეგ.
სსრ სახელმწიფო
ბიბლიოთეკის
გეოგრაფიული

K 48.369

1720

ცისფერი მნათობი ამირანი

I

სულკალმახი ფრთხილად დაეშვა ციცაბო ბილიკზე. მონადირემ კარგად იცოდა, რომ ჯიხვი დიდხანს ვერ ირბენდა, რადგან სასიკვდილოდ იყო დაჭრილი, ისრის წვერი ერთ მტკაველამდე ჰქონდა გამოსული ფერდში. სულკალმახი ტაატით გაჰყვა სისხლიან კვალს. წინ დიდი ლოდი გამოჩნდა. მისი ვარაუდით ნადირს ახლომახლო მუხლები უკვე უნდა მოჰკვეთოდა. „რა შორს წამოვსულვარ, როგორ ვზიდო სახლამდე მოზვრისხელა ვაცი?“ — გაიფიქრა მან.

ცოტაც და ვეება კლდის ნატეხსაც შემოუარა. მაგრამ სად გაჰქრა ჯიხვი? მონადირე დაკვირვებით ათვალეირებდა მიდამოს. აი, აქ წყდება ბროწეულისფერი ნაკვალევი. მიწამ შთანთქა თუ რა არის? არსად ახლომახლო არც ნაპრალი ჩანდა და არც ხევი, რომ დაკოდილი ნადირი გადაჩეხილიყო. ბევრს ცდილობდა სულკალმახი, მაგ-

რამ პასუხს ვერ პოულობდა. ასიოდე ნაბიჯზე უსაშვე-
ლო სიმაღლის კლდე აღმართულიყო. თეთრად მოქათქა-
თე ქვის შვეულ კედელს მიაპყრო თვალი, ერთ ადგილას
გამოქვაბული შენიშნა და უცებ... მოეჩვენა, თითქოს
შიგ რაღაცამ გაიელვაო. თავაწეული დიდხანს დაყინებით
უმზერდა მღვიმეს, მაგრამ უშედეგოდ. არაფერი შეუმჩ-
ნევია. „ალბათ მომელანდა“, — არწმუნებდა თავს.

მოშუადღევდა კიდევ. განთიადიდან სღია ვაცს, ყვე-
ლაზე უფრო დიდსა და ლამაზს, მაგრამ რა გამოვიდა?
ხელცარიელი უნდა დაბრუნდეს სოფელში, რასაც იგი
ჩვეული არ იყო. ქარი ამოვარდა. უშბიდან ღრუბლები
აიშალნენ და წეროებივით გამწკრივებულები დასავლე-
თისკენ გაემართნენ. ერთ წუთს გამოჩნდა თვალისმოშ-
რელად გაქათქათებული მწვერვალი და ისევ ნისლის ფა-
რდამ გააუჩინარა. მონადირემ მხოლოდ მაშინ იგრძნო
დაღლა. ლოდს მიეყრდნო ბეჭებით. ცოტას შეისვენებს
და სახლისაკენ გაუდგება გზას.

ანაზღეულად უკნიდან ფლოქვების თქარათქური შე-
მოესმა. მოტრიალდა და თვალებს არ დაუჯერა. ჯიქურად,
რაღაც გასაოცარი სიჯიუტით, ჯიხვი უახლოვდებოდა.
უნებურად მშვილდისარს დასწვდა. არც კი დაუმინებია,
ისე ესროლა. ჯიხვი ერთ ადგილზე გაქვავდა და მოწყვე-
ტილივით დაეცა.

სულკალმახი მიუახლოვდა სულთმობრძავს, ბრინჯაოს
დანა იშიშვლა და მოხერხებულად ჩასცა გულში. ტან-
ჯვა შეუმოკლა მთების შვილს. როდესაც ჭრილობიდან
გამოხეთქილი სისხლის ღვარი შეწყდა, მარჯვენა ხელით
უკანა ფეხებში სწვდა, მარცხენათი წინაში და მხრებზე

მორიდო. გუნებაში კმაყოფილიც კი იყო, რომ ბედმა ეს მომცრო ჯიხვი არგუნა, რადგან საეჭვოდ ჩანდა აღწერა კოდელ გოლიათს მორეოდა.

დაბინდებისას ძლივს ჩააღწია სახლამდე, ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა...

— ეჰაა, ბადრი, მამა მოსულა, — შეესმა სულკალმასხ უმცროსი ვაჟის, უსიბის ხმა.

ბავშვები ყვილ-ხვილით შემოეხვივნენ მშობელს და ჯიხვის ჩამოხსნაში შეეშველნენ.

გვიან საღამოს, როდესაც ბუხართან მიმჯდარი სულკალმასხი შამფურებზე ჯიხვის სამწვადეებს აცვამდა, გარედან ხმა შემოესმა, ვიღაც უხმობდა.

— დარეჯან, — მიმართა მან ცოლს, — გაიხედე ვინ მოსდგომია ჩვენს სახლს?

როგორც კი ქალი ეზოში გავიდა, თეთრწვერა კაცი შენიშნა და შეიცხადა.

— ჭიშკართან რატომ დგახართ, ბექავ, უფალო, უცხო ხომ არ ბრძანდებით? შემოდით ჩვენთან.

სულკალმასხი თუაო სახლში, იკითხა ბერიკაცმა. დარეჯანმა დაუდასტურა და სტუმარს შინ შეუძღვა.

— აქა მშვიდობა, — წარმოსთქვა ბექამ, ზურგზე-როკიდებული ტყავის გუდა ჩამოიღო და ხვნეშით იატაკზე დადო, — კარგად გინადირია, ძმობილო, კარგა მოზრდილი ჯიხვი მოგიკლავს.

— დამეწვიე მწვადზე, ბექავ უფალო, — მიიპატიჟა იგი სულკალმასხმა. დაბალ ტაბლაზე დარეჯანი სუფრის გაშლას შეუდგა, — ეს რა არის, ვასაოცრად დიდი ვაცი

დავკოდე, მაგრამ თვალსა და ხელს შუა ისე გამიქრა,  ვერასგზით ვერ გავიგე მისი ასავალ-ჩასავალი.

— სისხლიან კვალს თუ მიჰყევი?

— მაშ რას ვიზამდი, გუშინდელი მონადირე ხომ არა ვარ!

— მერე?

— კვალი შუა მინდორზე შეწყდა, ჯიხვი კი გაუჩინარდა. არ ვიცი, ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ. მცირე ხნის შემდეგ კი ეს უბედური გამომეცხადა. ისე არხეინად მოდიოდა ჩემკენ, თითქოს შინაური თხა ყოფილიყოს.

— პირველად მესმის, ჯიხვი ადამიანს არ უფრთხოდეს.

— ჭეშმარიტად ასე იყო, ბექავ უფალო.

— ამ საქმეში უეჭველად უზენაესის ხელი ურევია, სულკალმახ. ამას წინათ ლახი მიყვებოდა, თავისი თვალით უნახავს თურმე როგორ მიუძლოდა ჯიხვების ჯოგს ოქროსფერთმიანი ქალი, ნადირთა ღვთაება.

— ლახის დაეჯერება, გულმართალი ვაყვაცია. ყოველი მისი სიტყვა ოქროა აუწონელი, ხალასი და უტყუარი. მე კი არ შემხვედრია ქალღმერთი, ბექავ უფალო.

— განგების ზრახვებს რას მიუუხვდებით მოკვდავნი, — მრავლისმეტყველად წარმოსთქვა ბექამ. მცირე ხანს ჩაფიქრდა. შემდეგ დაიხარა და გუდას პირი შეუხსნა, — ორი დღე-ღამე იარა ჩემმა უფროსმა ძემ, ჩართომ, შენ რომ გინდოდა ისეთი მადნის საძებნად. ვგონებ, ტყუილ-უბრალოდ არ დაუკარგავს დრო.

სულკალმახმა ტყავის ტომარაში დაძარღვული მარჯვენა ჩაჰყო და მუჭით ქანის მძიმე ნატეხები ამოიღო,

და როცა მოგიზგიზე ბუხართან ახლოს მიიტანა მადანი ისე აელვარდა წითლად, თითქოს ცეცხლი წაეკიდებოდა.

— სუფთა, თვითნაბადი სპილენძია, — სიხარულით წამოიძახა მკედელმა, — ყოჩაღ, ჩართო! ასეთი რამ იშვიათად შემხვედრია. ადგილი თუ კარგად დაიხსომა შენმა იღბლიანმა ვაჟმა?

— თვალდახუჭული მოძებნის. ამის მეტი ვერ ზიდა ბეჩავმა. შენ თუ მადანი მოგწონს, ხვალვე გავაგზავნი ხალხს მის ჩამოსატანად.

— უკეთესს ვერ ინატრებს კაცი. ისეთ იარაღს გამოვკედლე მისგან, რომ შენი მოწონებული.

— ეჭვი არ მეპარება. შენ ხომ ბადალი არავინა გყავს ხელობაში. სულკალმახის დამლა იარაღზე ერთობ ძვირად ფასობს. საიდან არ მოდიან ამ გადაკარგულ ლიხეთში, შენი ნახელავის ხელში ჩასაგდებად. ამას წინათ, ხომ გახსოვს, სამხრეთის შორეული სამეფოდან მოციქული რომ გვეახლა, აი, ის, სასაცილოდ დახუჭუჭებული წვერი რომ ჰქონდა. რას არ შეგპირდა, რომ გადაეხირებინე და თან წაჰყოლოდი. ერთობ განაწყენებული კი დარჩა, კოვზი ნაცარში რომ ჩაუვარდა.

— ჭეშმარიტი მკედელი მხოლოდ თავის გვარტომს უნდა ემსახუროს, ბეჩავ უფალო, რაში მინდა გადამთიელთა ოქრო-ვერცხლი.

გვიან ღამემდე საუბრობდნენ სტუმარი და მასპინძელი. დარეჯანი და ბიჭები შუა ძილში იყვნენ, როდესაც სულკალმახმა გვარის მამასახლისი, გონებამახვილი და გამჭრიახი ბეჩა სახლამდე მიაცილა.

ორი დღის შემდეგ თანასოფლელებმა მკედლის ეზო-

ში ჩართოს მიერ ნაპოვნი საბადოდან სპილენძის მადანი მოზიდეს. უზომოდ გაიხარა სულკალმახმა. დიდი დამოძრავებელი მომედე ჩვეული სიბეჯითით შრომობდა თავის სამჭედლოში და მისი ხელებიდან სასწაულმოქმედად იბადებოდა სხვადასხვა სახის იარაღები...

ერთხელ სულკალმახმა თავის ორ ახალგაზრდა თანაშემწეს უთხრა:

— ბიჭებო, იქნებ უჩემოდ წაიმუშაოთ. ცოტა მუხლები დამეხუთა, წავალ წავინადირებ.

თქვენი ნებააო, მჭედელთა თავკაცო, მიუგეს მათ.

სულკალმახს სახლში არც კი შეუვლია იარაღის ასაღებად. ისე, უიარაღო დაადგა თეთრი კლდისკენ მიმავალ გზას. გული მიუწევდა იმ უცნაური ადგილისაკენ, სადაც ორიოდე დღის წინ წყვილი ჯიხვი სასიკვდილოდ დაკოდა. ერთი კი ჩამოიტანა, მაგრამ მეორე? მისი გონება ვერ შერიგებოდა ამ აზრს: სად და როგორ გაქრა სისხლდაცლილი ვაცი? რატომღაც გულთან ახლოს არ მიჰქონდა ბექას ნაამბობი. ნადირთა ქალღმერთი? ლახის თავის თვალით უნახავსო? არც მამა-პაპათ, არც მას თავის სიცოცხლეში მსგავსი რამ არ გაუგონია. თუ კი არსებობს სინამდვილეში უზენაესი, რაღა მაინცდამაინც ამ გაზაფხულზე გამოეცხადა ადამიანებს, მანამდე რატომ იმალებოდა?.. იმ ღირსახსოვარი დღის შემდეგ, სადაც არ უნდა ყოფილიყო, მუდამ თვალწინ ედგა მეხსიერებაში წარუშლელად აღბეჭდილი სურათი — შეწყვეტილი სისხლიანი ნაკვალევი — და მოსვენებას უკარგავდა.

აი, ბილიკიც, რომლითაც ჯიხვს გამოეკიდა, ეს თეთრი კლდეც თავისი გამოქვაბულით და დიდი ლოდი... იქვე

ჩამოტეხილ ქვაზე ჩამოჯდა და დიდხანს, დიდხანს უტრია-
ლებდა თავში აზრი, თუ რა სუსტი და უძლურია კაცის
გონება, რომ მას არ შესწევს უნარი ჩასწვდეს შეუცნო-
ბელს, გაერკვეს ბუნების საიდუმლოებაში, მოიცვას მთე-
ლი ხილული და უხილავი სამყარო.. ფიქრები ფიქრებს
წისდევდა, თითქოს მათ ნაკადს დასასრული არ უჩანდა.

რაღაც ხმაურმა გამოაფხიზლა. მაღლიდან ხმა შემო-
ესმა. აიხედა და გაკვირებისაგან იმ ქვასავით იქცა, რო-
მელზედაც იჯდა. გამოქვაბულიდან ნელ-ნელა რაღაც
მრგვალი, მონაცრისფერო სხეული ეშვებოდა. აგერ, მიწ-
ასაც შეეხო, კარი გაიღო და გაოგნებული სულკალმახის
თვალწინ ქალღმერთი აღიმართა. ოქროსფერ გრძელ
თმებს ნიავი უთამაშებდა, მხრებზე მოგდებული თეთრი
ნოსასხამი რაღაც არააამქვეყნიურ ბრწყინვალებას აფრ-
ქვევდა.

მკედელთა თავკაცი მუხლებზე დაემხო და ხელები
აღაბყრო ვითარცა კერპის წინაშე.

— მომიტევე, ქალღმერთო, თუ ჩემი საქციელით შენი
რისხვა დავიმსახურე.

— ადექი, სულკალმახ! — უბრძანა ღვთაებრივმა
ქალმა.

ჩაჩოქილი სულკალმახი წამოდგომას ვერ ბედავდა.
თავში ათასი აზრი უტრიალებდა. აი, თურმე ვისთვის მო-
უკრავს თვალი ლახის! როგორი ყოფილა ნადირთა მეუ-
ფე და მბრძანებელი!

— ადექი მეტქი, სულკალმახ! — გაიმეორა ქერათმია-
ნმა და მკედელთა თავკაცი უმალ ფეხზე წამოხტა, — რა
უცნაურები ხართ ადამიანები. ყველაფერს, რაც გამოუ-

ცნობია თქვენთვის, ზებუნებრივს მიაწერთ ხოლმე თუ-
მცა რა გასაკვირია, თქვენი მოდგმა ხომ ჯერ ხავერდის
ასაკს არ გასცილებია. დავაქაცებამდე ჯერ კიდევ შორ-
საა. ხოლო ბავშვს კი ბევრი არ მოეთხოვება.

მონადირე სულგანაბული უსმენდა. ენა თითქოს მუ-
ცელში ჩაუვარდაო.

— რატომ არაფერს მეკითხები, სულკალმას? ნუთუ
ყველაფერს აულე ალლო, რაც შეგემთხვა?

— სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ ყველაზე მეტად
მაინტერესებს ქალღმერთი ხარ თუ ადამიანი?

— ადამიანი, ადამიანი, — გადაიკისკისა ქალმა და
მისი სიცილი მთის ექომ მრავალგზის გაიმეორა.

— აქაური არ უნდა იყო. უცხო მხრიდან მოსულს
ჰგავხარ.

— ისეთი შორეთიდან, რომ ვერც კი წარმოიდგენ.

— ამდენ ხანს რატომ გაგვირბოდი ან ახლა რამ გამო-
გაჩინა?

— სანამ გიბასუხებდე, ერთი პირობა უნდა მომცე-
ს, რასაც ჩემგან გაიგებ, შენში უნდა მოკვდეს, არავის
გაანდო, თვით მეუღლესაც კი. თქვენში სიტყვის შენახვა
თუ იციან?

— სიტყვის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო, ასე
უთქვამთ ჩვენს წინაპრებს. სულკალმას არასოდეს გაუ-
ტეხია სიტყვა და არც შემდგომში შეირცხვენს თავს.

— მჯერა, რომ ნდობას იმსახურებ. ტყუილად ხომ არ
გაკვირდებოდით ასე დიდხანს შენ, შენს ოჯახსა და სოფ-
ლის სხვა მკვიდრთ.

— ჩვენთან რომ არ გვინახავხარ?

— ეს აუცილებელი როდია. ჩემი ტომის ხალხს სხვა საკვირველებათა შორის აქვს ისეთი რამ, რომლის გამოც ბითაც იმ გამოქვაბულიდან ყველაფერს ვხედავდი და ვისმენდი, — და მან ხელი თეთრი კლდისკენ გაიშვირა, — ჯერ ჩემი სახელი უნდა გითხრა. დალი მქვია. ვერ გიპასუხებ, რა მიზნით ვიმყოფები აქ. არა იმიტომ, რომ რაიმეს დამალვა მწადია, არა. უბრალოდ, ვერ გაიგებ. აბა, მითხარი, რა დასკვნას გამოიტან იქიდან, თუ გეტყვი, რომ ჩემი მოწოდებაა ცოცხალ ბუნებაზე — მცენარეებზე, ფრინველებზე, თევზებზე, ცხოველებზე და აგრეთვე ადამიანებზე, ანუ თქვენი სოფლის ბინადრებზე დაკვირება?

— ვიტყვი, რომ ამისთვის არ ღირდა ამ გადაკარგულ ადგილას მოსვლა. განა იქ, სადაც შენი ტომი ცხოვრობს, ასეთივე ცოცხალი ბუნება არ არის?

— ხომ გითხარი, ერთმანეთს ვერ გავუგებთ მეთქი. საქმე ის არის, სულკალმახ, რომ მე და ჩემი ტომი ამ სამყაროს შვილები არა ვართ... ჩვენი ბუნება საკმაოდ ზედმიწევნით გვაქვს შესწავლილი, თქვენი კი არა.

— აბა, სადაა თქვენი სამყოფელი?

— იქ, — ამაყად წარმოთქვა დალიმ და თავით ცის ტატნობი მიანიშნა.

— ცაში? აკი ღმერთები არა ვართო.

— ბევრი ვარსკვლავი ბრწყინავს ღამ-ღამობით.

— უამრავი, დალი, მათ ვინ დაითვლის.

— იცოდე, რომ თითოეული მათგანი ისეთივე მნათობია, როგორც ეს მზე, ახლა ამ ლურჯ კამარაში რომ

ბრწყინავს. ერთ-ერთი მათგანის სხივები ჩემს მშობ-
ლიურ მიწას ათბობს და ანათებს.



სულკალმახი დაფიქრდა. რას ლაპარაკობს ეს ოქროს-
ფერთმიანი. ერთი ციციქნა ვარსკვლავი როგორ გასწევს
მზის მაგივრობას?

დალის თვალებში სევდა შეეპარა. იგი მიხვდა, თუ რა
დიდი უფსკრული იყო მათ შორის, დაუძლეველი და
გადაულახავი. რა იღონოს? ეს აბორიგენი გამჭრიახი
გონებისა ჩანს, მაგრამ მიახვედრებს კი რაიმეს? სხვა
გამოსავალი არ არის, უნდა ბოლომდე მიიყვანოს დაწ-
ყებული საქმე.

— მისმინე, სულკალმახ. უნდა დაიჯერო და ირწმუნო
რასაც გეტყვი, თუნდაც რომ კარგად ვერ ჩასწვდე ნათ-
ქვამის არსში. თუ ჩვენს შორის ურთიერთნდობა არ
იქნება, ისე აზრი არა აქვს საუბარს. სჯობს ახლავე და-
ვშორდეთ.

— შენ ამბობ, რომ დიდხანს გაკვირდებოდითო. ნუ
გეწყინება და მთავარისთვის მაინც ვერ მიგიგნია, დალი.

— რას გულისხმობ?

— კარგად არც კი ვიცი როგორ გითხრა... რას იტყვი,
როდის ვგრძნობ თავს ბედნიერად? როცა კარგ ნანადი-
რებს ჩავიტან სოფელში? ან ჩინებულ იარაღს გამოვჭე-
დავ? არა და არა! გახარებული ვარ მხოლოდ მაშინ,
როდესაც დღეს გუშინდელზე მეტს გავიგებ და შევითვი-
სებ, ხვალ კი უფრო მეტი მეცოდინება.

„საოცარი ხალხია, — ფიქრობდა დალი, — საიდან
აქვთ მათ ცოდნის დაუფლების ასეთი წყურვილი? ჯერ
კიდევ პრიმიტიულ შრომის იარაღებს ხმარობენ, დამწერ-

ლობაც კი არ გააჩნიათ და ასეთი ინტელექტი? მიეცი მათ
საჭირო ინფორმაცია და მოკლე ხანში კოსმოსშიც გავე
ლენ, დედამიწას ხომ სავესებით შეუცვლიან სახეს“. ინ-
ფორმაცია... კარგი კი იქნებოდა... მაგრამ მას არ ჰქონდა
იმის უფლება, ასეთი ნაბიჯი გადაედგა. ხმამაღლა კი
თქვა:

— თავდაპირველად ჩვენ აქ ოთხნი ვიყავით. რამდე-
ნიმე თვის წინ ჩემს ქმართან ერთად ორი ჩვენი თანამო-
ძმე ამ მფრინავ სფეროზე გაცილებით უფრო დიდი ხო-
მალდით გაფრინდნენ მეზობელი პლანეტების, ანუ
თქვენნაირი მიწების გამოსაკვლევად და ამდენ ხანს უკან
უნდა დაბრუნებულიყვნენ, რათა შემდეგ ერთად გავმგზა-
ვრებულიყავით ჩვენს სამშობლოში, მაგრამ რატომღაც
არ ჩანან. ვფიქრობ, საქმე კარგად არ უნდა იყოს. რაღაც
შეემთხვათ. სახელდობრ, რა? არ ვიცი. თუ ისინი დაი-
ღუპნენ, მეც ცუდი დღე მომელის... რადგან, ჯანმრთე-
ლად არა ვარ...

— ნუთუ შენი ქვეყნიდან სხვა არავინ მოვა, რომ გი-
შველოს?

— უთუოდ მოვლენ, მხოლოდ ორიოდ ათეული წლის
შემდეგ. შორს არიან ჩემიანები. შენი დახმარება დამჭი-
რდება, სულკალმახ. ახალი მთვარის პირველ დღეს მოდი
ამ ადგილას და თუ არ დაგხვდები, როგორმე უნდა მინა-
ხულო გამოქვაბულში.

— შენსავით ფრენა არ ვიცი, დალი.

— სამაგიეროდ მჭედელი ხარ. ბლომად დაამზადე
ლითონის სატეხები და თან წამოიღე. ალბათ, არ გაგიჭი-
რდება კლდეში საფეხურების გაკეთება.



— დათქმულ დროს უსიკვდილოდ გეახლები ოქროს-ფერთმიანო ქალო, მხოლოდ ნუ დამიძალავ და დილაღად მითხარი, რა დაემართა ჩემს მიერ დაკოდილ ვაცს, ან უშიშრად როგორ მომადგა მეორე? იქნებ იცი რაიმე? იმ დღის აქეთ ეს ამბავი გონებიდან არ მშორდება.

— მოზრდილი ჯიხვი ჯოგის მეთაური იყო. შემეცოდა, მფრინავი სფეროთი გამოქვამულში ავიტანე, ვუმკურნალე და უკან დავაბრუნე. მეორე კი... არ მინდოდა შინ გაწბილებული წასულყავი და მე მოგვევარე.

— როგორ?

— ეს ჩემთვის ძალიან ადვილია, — დალიმ სფეროდან რაღაც ნივთი გამოიტანა და მასზე ჩამწკრივებულ თეთრ კლავიშებზე თითები აათამაშა.

ხელმარჯვნივ სამი ჯიხვი გამოჩნდა, რიგში დაწყობილი მოეშურებოდნენ. როცა ისინი ისე ახლოს მოვიდნენ, რომ სამივეს გახშირებული სუნთქვა კარგად ისმოდა, დალი კვლავ შეეხო კლავიშებს. ჯიხვები თითქოს გონს მოვიდნენ, უცებ შეფრთხნენ და ერთ წამში გადაიკარგნენ.

— რა ძალა ჰქონია მაგ იარაღს!

— ეს იარაღი როდია, ცოცხალ ბუნებასთან კავშირის საშუალებაა მხოლოდ. თუმცა ავი კაცის ხელში შესაძლოა იგი ბოროტებად იქცეს...

დალი გამოემშვიდობა სულკალმახს და სფეროში მიიძალა. მჭედელთა თავკაცმა თვალი გააყოლა მაღლა აფრენილ უცნაურ მოწყობილობას და კარგად დაინახა, თუ როგორ შეცურდა იგი გამოქვამულის დაღებულ ხახაში.

გავიდა ერთი კვირა. სულკალმახის ვარაუდით ნამგა-
ლა მთვარე სწორედ ამ დღეს უნდა გამოჩენილიყო ცა-
ზე. დადგა დალისთან შეხვედრის ქამი. საგანგებოდ გა-
მოქედილი სატეხები და ჩაქუჩი ზურგზემოსაკიდებელ,
თხის ტყავისაგან შეკრილ ჩანთაში ჩაალაგა და გამგზავ-
რების თადარიგს შეუღვა:

— საით გაგიწევიაო, — ჰკითხა დარეჯანმა.

სულკალმახმა მიუგო, რომ საშურო საქმეზე მიდის,
მაგრამ ვერ ეტყვის რაზე... სიტყვა აქვს მიცემული. ცო-
ლიც აღარ ჩასცივებია. „სადედაკაცო რამ არ უნდა.
იყოსო“ — გაიფიქრა. უჩუმრის პირით საგზალი ჩა-
ულაგა.

სულკალმახს დათქმულ ადგილზე დალი არ დახვდა.
მიუახლოვდა თეთრ კლდეს და გამოქვაბული შეათვალიე-
რა. პირობის თანახმად როგორმე იქ უნდა ავიდეს. მოი-
მარჯვა ჩაქუჩი და სატეხების ჩასმა დაიწყო. უკანასკნე-
ლი საფეხურების გაკეთება ძალზედ გაუჭირდა. დაძაბუ-
ლი მუშაობისაგან ხელები აღარ ემორჩილებოდნენ. ცო-
ტაც და გამოქვაბულს მიაღწია. მცირე ხნით შეისვენა,
სული მოითქვა.

შესასვლელთან რაღაც კარი დახვდა. ფრთხილად
შეაღო და მოულოდნელობისგან ისე შეკრთა, რომ კი-
ნალამ უკან დაიხია: ჰერიდან არაჩვეულებრივად მოციმ-
ციმე ცისფერი სინათლე იფრქვეოდა. სულკალმახმა უნე-
ბურად თვალები დახუჭა. როცა მისი მხედველობა შეეჩ-
ვია ამ არამიწიერ ფერს, ირგვლივ მიმოიხედა. სად მოხ-
ვდა? ეს არის დალის სადგომი? ირგვლივ წარმოუდგენე-
ლი მოყვანილობის, ფანტასტიკური ნივთები ელაგა.

დიდი მაგიდა გავსებული იყო გამჭვირვალე მინის ჭურჭ-
ლით... მინის ჭურჭ-
საქონე
გინელოგი

საწოლიდან ქალის სუსტი ხმა სულკალმახს უხმობდა.

— მომიხლოვდი. დიდ გასაჭირში ვარ ჩავარდნილი.
შვილს ველოდები.... მშობიარობა ძალზე გამირთულდა.
ეს, ალბათ, თქვენი მიწის მიზიდულობის ბრალია. ჩემი
ორგანიზმი ჯერ კიდევ ვერ შეეგუა მას. წინასწარ
ვგრძნობ, რომ რაღაც საშინელება მომეღის.

სულკალმახმა ვერ გაარკვია, თუ რა შუაში იყო აქ
დედამიწა და რა ვნების მოტანა შეეძლო მას მელოგინე
ქალისთვის. ან ეს მიზიდულობა რაღა ეშმაკია? მაგრამ
ამაზე ფიქრის დრო არ იყო.

— რას მიბრძანებ, დალი?

— უნდა ერთი თხოვნა შემისრულო. მშობიარობას,
ალბათ, ვერ გადავიტან. როცა შეატყობ, რომ ვკვდება,
აი, ოქროს მაკრატელი. ფრთხილად გამიჭერი მუცელი
და ჩვილი ამოიყვანე. იქნებ იგი მაინც გადაარჩეს. თუ
ვაყი იქნება, ამირანი დაარქვი, თუ გოგონა — დალი.

— „რა მტკიცე ხმით ლაპარაკობს ეს ქალი, რა ნების-
ყოფა ჰქონია“, — გაუელვა თავში სულკალმახს.

— ნუთუ ვერაფრით გიშველი? იქნებ რაიმე ვიღონო.
წავალ და სასწრაფოდ ჩვენი სოფლის მკურნალს მო-
გვვრი, უებარი წამალი იცის, გრძნეული თვისებების
მქონე ბალახებით შეზავებული.

— ვერავითარი თქვენი წამალი ვერ მიშველის, გან-
წირული ვარ.

— ასე ახალგაზრდა რატომ უნდა დაიღუპო? სიცო-
ცხლეს რა შეედრება!

— არაფერი ქვეყანაზე, სულკალმახ, მაგრამ უიღბლო
გამოდგა ჩემი ბედის ვარსკვლავი...

მონადირემ შეატყო, რომ ძალიან უჭირდა ლაპარაკი
ქალს, ყრუდ კვნესოდა. მისი გატანჯული სახე ქვასაც კი
აატირებდა.

— სულკალმახ, ვიცი შენი კეთილი გულის ამბავი,
ბავშვს მზრუნველობას არ მოაკლებ. მე კი ისე ვკვდები,
რომ მას ვერც კი ვნახავ, — დალის თვალებიდან ცრემ-
ლები წასკდა, — როცა წამოიზრდება, — მთრთოლვარე
ხმით გააგრძელა მან, — ეს ოქროს კბილი ჩაუსვი. მაძ-
ლევ პირობას?

— გეფიცები, დალი!

— ბოლო თხოვნა მაქვს ერთი. როცა ყველაფერს მო-
რჩები, აქ დამტოვე გამოქვამულში.

— ეს როგორ იქნება! მაშ მიწას არ მიგაბარო?

— არა. როცა ჩვილს ქვემოთ ჩაიყვან და სახლისკენ
გზას გაუდგები, დიდი ლოდი შეგხვდება. იქ ერთხელ და-
ჭრილი ჯიხვი დაკარგე შენ. ხომ გახსოვს ის ადგილი?

— მახსოვს, დალი.

— ჩრდილოეთის მხარეს, სადაც მზე არასოდეს არ
ანათებს, პატარა ხერელს ნახავ. შიგ თეთრი ლილაკია და
თითს დააჭერ. კლდე ჩამოინგრევა და თან დამიტანს. ეს
იქნება ჩემი საფლავი. შემისრულებ ამ თხოვნასაც, სულ-
კალმახ?

— ეჭვი ნუ გეპარება, დალი. მხოლოდ ერთი რამ
უნდა გკითხო: რა ვუთხრა ბავშვს, როცა წამოიზრდება?
განა მან არ უნდა იცოდეს, თუ ვინ იყო მისი დედ-მამა?

— მშობლების მაგივრობას თქვენ გაუწევთ — შენ

2. შ. ვაგოშიძე

ქ. მარტისის სახ. საშ.
სსრ სახელმწიფო
რესტავრაციის
ბეჭდვითი ქ.

და შენი ცოლი. ასე სჯობია. პატარამ არ უნდა იგრძნოს
ობლობა. არც მოზრდილისთვისაა კარგი უღედობა.

— ბრძნულად ბრძანებ, დალი.

— დრო მოვა და ჩემი შვილი თვითონ გაიგებს ყვე-
ლაფერს. მანამდე კი ნურაფერს ეტყვიო...

დალის თვალებში თანდათან ქრებოდა სიცოცხლე.
დიდად უმძიმდა სულკალმახს მისი ყურება. „უბედური,
უბედური“ — ბუტბუტებდა წამდაუწუმ და გუნებაში
წყევლა-კრულვას უთვლიდა ბედის სიმუხთლეს, თავის
უსუსურობას, რომ განწირულ ქალს ვერაფერ დახმარებას
უწევდა. ერთხელ კიდევ გაახილა დიდრონი ცისფერი თვა-
ლები სულთმობრძავმა, თითქოს კიდევ რაღაც უნდოდა
ეთქვაო და გაირინდა, მარადისობის ჩრდილი გადაეფარა
სახეზე.

სულკალმახი ოქროს მაკრატელს დააშტერდა. როგორ
უნდა შეეხოს ამ ცივი და უხეში ლითონით ასეთ ფაქიზ
სხეულს? რა მძიმე საქმე დააკისრა დალიმ! მაგრამ ისიც
კარგად იცოდა მჭედელთა თავკაცმა, რომ მომაკვდავის
სურვილი მისთვის უზენაესი კანონი იყო.

2.

დილაადრიან ამირანს შეეცრად გამოეღვიძა. ოთახს
თვალი მოავლო. ბადრის და უსიბს მშვიდად ეძინათ. რა-
ღაც მოუსვენარი გრძნობა დაეუფლა. თითქოს ვიღაც
ჩასძახოდა ყურში ერთი და იგივე სიტყვებს: „გარეთ
გამოდი, გარეთ გამოდი!“ თვალები მოიფშვნიტა, ხომ არ
მძინავსო. იღუმალი ხმა კვლავ და კვლავ ჟღერდა გონე-

ბაში. მარღად წამოხტა, ტანთ ჩაიკვა და კარი გამოაღო, რძისფერი ნისლი ჩამოწოლილიყო სოფელში. არსად კაცის ჭაჭანება არ იყო. არც ძაღლები ყეფდნენ და არც მამლის ყვილი ისმოდა. აუხსნელმა ძალამ აიძულა ეზოდან გასულიყო. „სად მივდივარ, რატომ, რისთვის?“ — ფიქრობდა ამირანი. შინაგანად ეწინააღმდეგებოდა ამ უცნაურ ძალას. მისი გონება თითქოს ცდილობდა არ დაემორჩილებოდა შეუცნობელ მოსაუბრეს, მაგრამ ამაოდ. იგი კვლავ მთვარეულივით მიაბიჯებდა რაღაც გამოუცნობელის მოლოდინში. სოფელსაც გასცილდა და მდინარისკენ მიმავალ ბილიკს დაადგა.

გზის ნახევარიც არ ჰქონდა გავლილი, როცა ხეობიდან ორი ადამიანი გამოჩნდა. აუჩქარებლად მოდიოდნენ. პირველად თანასოფლელები ეგონა, მაგრამ დააკვირდა თუ არა, მღელვარედ აუჩქროლდა გული. ისინი არ ჰგავდნენ აქაურებს, არც მეზობელ ხალხში უნახავს მათი მსგავსნი. ნეტავ ვინ არიან? განსაკუთრებით მათმა არაჩვეულებრივმა ჩაცმულობამ გააოცა ამირანი. ლაყვარდისფერი ტანსაცმელი ისე მჭიდროდ ჰქონდათ შემოჭდობილი სხეულზე, რომ თითოეულ კუნთს დაითვლიდით. უცნობები შეჩერდნენ. ისინი ნამდვილი გოლიათები იყვნენ. ამირანზე ოდნავ მაღლები. ბადრი და უსიბი, რომლებიც ლიხეთში წარმოსადგე ვაჟკაცებად ითვლებოდნენ, მათ გვერდით პატარა ბიჭებად გამოჩნდებოდნენ.

— მოგვიახლოვდი ამირან! — მოუხმო ერთმა მათგანმა.

— ვინა ხართ? — შეეხმიანა ამირანი და გაპოხილი ბაგეებიდან ოქროს კბილმა გამოანათა.

გიგანტებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ყური დაგვიგდე, — თქვა მეორემ, — უნდა მოგელაპარაკოთ, რაღაც უნდა მოგითხროთ შენს შესახებ.

— ჩემზე რა უნდა იცოდეთ?

— კარგად დაგვაკვირდი, ამირან! წამოხვალ ჩვენთან? — თითქმის ერთად წარმოთქვეს მათ.

ამირანი მათ თვალს არ აშორებდა, გული გამალებით უცემდა.

— რატომაც არ წამოვალ, — ამაყად მიუგო მან, — სად მივდივართ?

— აქვე ახლოს.

ცოტა ხნის შემდეგ მდინარის პირს მიაღწენენ. ეს რა არის? რიყეზე რუხისფერი სფეროსებური სხეული აღმართულიყო. პირველი უცნობი მის ზედაპირს შეეხო, სადაც კარი აღმოჩნდა. ამირანი შეიპატიჟა. სულკალმახის ბეს არ უნდოდა მათთვის ეგრძნობინებინა, რომ მას რისიმე შიში ჰქონდა და თამამად შეაბიჯა გაჩენილ ხვრელში. თანამგზავრებიც შეჰყვნენ. სფეროიდი არც ისე პირქუში აღმოჩნდა, როგორც ეს პირველად მოეჩვენა ამირანს. საითაც არ უნდა გაგეხედათ, ყველგან ოვალური ფანჯარა იყო დატანებული, ოთხივეკუთხით კარგად ჩანდა, თუ რა ხდებოდა გარეთ. ისინი ნახევარკალისებური ფორმის რბილ საჯდომებზე ჩამოსხდნენ.

— მე ჰელი მქვია, — თქვა პირველმა და თავის თანამოძმეზე ანიშნა, — მას ფრიკს ეძახიან.

— კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა. ჩემს სახელს აღარ

გეუბნებით, რადგან თქვენთვის იგი უკვე ცნობილია.
თუმცა ვერ ამიხსნია, როგორ და რა გზით გაიგეთ ეს.
— ბევრი რამ გვაქვს მოსაყოლი, ამირან... — მიუგო
ჰელმა.

— დაიწყეთ, ყურადღებით გისმენთ.

— მაგის დროც მოვა, — უთხრა ფრიკმა, — ჯერ
სხვებს უნდა შევხვდეთ, ვინც მოგველის.

ჰელი პატარა მაგიდას მიუჯდა და ზედ დამაგრებული
სახელურები გადასწია. სფეროიდი ჰაერში აფრინდა.
მოულოდნელობისაგან ოდნავ ეცვალა ფერი ამირანს. ერთ
წამს კვლავ გაუელვა თავში: ხომ არ ესიზმრება ყოველი-
ვე ეს? მაგრამ მყისვე უკუაგდო ასეთი აზრი. შიგნიდან
კარგად ჩანდა; თუ როგორ გადაუარეს ტყით დაფარულ
ფერდობებს, ხეობებსა და გორაკებს. ერთ მოზრდილ
მინდორზე დაეშვნენ. წინათ აქ არასოდეს არ ყოფილა
ამირანი. ასეთი არაჩვეულებრივი მოგზაურობის შემდეგ
მას აღარ გაჰკვირებია, რომ როდესაც მფრინავი სფერო-
იდიდან გამოვიდნენ, სამ ვეება ფეხზე დაყრდნობილი
კოშკისმაგვარი, ვერცხლისფრად მოელვარე შენობა შე-
ნიშნა. ქვედა კარიდან მიწამდე ჩამოშვებული მოაჯირი-
ანი კიბით სამივენი შიგ შევიდნენ. ამირანს ასეთი ნაგე-
ბობა თავის სიცოცხლეში არ ენახა. მხოლოდ ლითონი
ბზინავდა ირგვლივ, სხვადასხვა ფერისა და იერსახის...
დიდხანს იარეს. კიბეები და გადასასვლელები ერთმა-
ნეთს ცვლიდა. ბოლოს ჰელმა, რომელიც წინ მიუძღო-
და, ცისფრადგანათებულ დიდ ოთახში შეიყვანა. შუა-
გულში, მრგვალ მაგიდასთან ორნი ისხდნენ: კაცი და ქა-
ლი, რომლებსაც ჰელი და ფრიკიც შეუერთდნენ. პირვე-

ლმა მათ მარჯვნივ დაიკავა ადგილი, მეორემ — მარ-
ცხნივ.



ამირანი ჯერ მამაკაცს დააკვირდა. იგი ხანშიშესული ჩანდა, უკანგადავარცხნილ თმებში ჭალარა შეჰპარვოდა. ხოლო ქალი კი... ამირანი დაიბნა. ასეთი გასაოცარი სილამაზის ასულს იგი პირველად ხედავდა. ქალის ნუშისებური ზურმუხტოვანი თვალები თითქოს ცისფერ ნაპერწკლებს კვესავდნენ. მხრებზე ჩამოშლილი თმები ოქროსფრად უბრწყინავდა.

ჭალარაშერეულმა მაგიდიდან პატარა ყუთი აიღო, წითელ დილაკზე თითი დააჭირა და ამირანს დაყინებული მხერა შეაგება. ამ გამოხედვაში იყო რაღაც არაამქვეყნიური, უაღრესად ბრძნული და მიუწვდომელი.

— დაჯექი, ამირან!

საკვირველია, ამ ჭარმაგ კაცს პირი არც კი გაუღია. საიდან შემოესმა ხმა? ამირანი იქვე მდგომ სკამზე ნელ-ნელა დაეშვა. ხანდაზმულმა აღფრთოვანებით წამოიძახა:

— იგი ჩვენი ტომისაა, ჩვენი სისხლი და ხორცი! დედამიწის მცხოვრებლებს უნარი არ შესწევთ აღიქვან ბიოდენები. ეს მხოლოდ ჩვენი აპარატით არის შესაძლებელი, რომელიც მის ოქროს კბილშია მოთავსებული.

ამირანმა არ იცოდა, რას ნიშნავდა სიტყვები: „ბიოდენები“ და „აპარატი“, მაგრამ გრძნობდა, რომ ამ ადამიანებთან მას რაღაც ნათესაური აკავშირებდა, გამოუცნობი და ზღვარდაუდებელი სიახლოვე.

— მითხარით თქვენი ვინაობა, საიდანა ხართ?

— სხვა სამყაროდან, ცისფერი ვარსკვლავიდან.

— ცისფერი ვარსკვლავიდან?

ახლა გაახსენდა ამირანს, თუ აგრერიგ რატომ გსალ
ბუნებოდა მის თვალებს ეს ფერი.



— ჩვენ ამ მიწის შვილნი არა ვართ, ისევე როგორც
შენ. ალბათ, იმ ხალხში, სადაც იზრდებოდი, გრძნობდი,
რომ ისეთი არ იყავი, როგორც სხვები.

ამირანის თვალწინ გაიელვა ბავშვობის წლებმა. იგი
თავის ძმებზე გაცილებით უმცროსი იყო, მაგრამ ტანა-
დობით მალე ბადრისაც გაუსწრო და უსიბსაც. თითქმის
ყოველდღიურად მატულობდა სიმაღლეში. როცა დავაჟ-
კაცდა, ნამდვილი გოლიათი შეიქნა. არც ახლომახლო
და არც შორეულ მხარეებში მასავით ახოვანი და ძლიე-
რი მამაკაცი არსად მოიძებნებოდა. ყველას შავი ან წა-
ბლისფერი თმა ჰქონდა, იგი კი ქერა იყო. თანასოფლე-
ლებმა ჩვეული გაზვიადებით მისი თვალები საცრებს
შეადარეს. მაგრამ საქმე მარტო ზომიში როდი იყო.
რამდენჯერ უკითხავთ სულკალმახისთვის, საიდან აქვსო
შენს ვაჟს ცისფერი თვალები... ამირანი კვლავ და კვლავ
აკვირდებოდა მის წინ მსხდომთ.

— ჩვენ... ერთნი ვართ. მე თქვენი მესმის, თქვენ კი
ჩემი. რა ბედნიერებაა შეუერთდე შენს თანამოდ-
მეებს. — აღელვებული ხმით ამბობდა იგი.

— ახლა დროა გამცნოთ შენი ამბავი, — თქვა ხანდაზ-
მულმა, — ჩვენმა ხალხმა თავისი ხანგრძლივი ცხოვრე-
ბის მანძილზე დიდი ცოდნა და გამოცდილება შეიძინა,
ღრმად ჩასწვდა არსებულის სიღრმეში და ბუნება თავის
სამსახურში ჩააყენა. მაგრამ გონიერ არსებათა განვითა-
რების ციკლი წრიული კი არ არის, არამედ სპირალისე-
ბურია, რაც იმას ნიშნავს, რომ კაცობრიობისთვის აუცი-

ლებელია ახალი სიმაღლეების დაპყრობა, ჯერ კიდევ შეუცნობელის შეცნობა. ამიტომ გავედით უცხოეთში, რომ უფრო გაგვეფართოვებინა ცოდნის ჰორიზონტი. ასეული წლებია, რაც ჩვენი ვარსკვლავმფრენები სერავენ უსასრულო სივრცეებს, ვესტუმრეთ უამრავ მზე-ვარსკვლავებს, მათ პლანეტათა სისტემებს, მაგრამ უფრო მეტად იქ მკვდარი ბუნება დაგვხვდა. სიცოცხლე იშვიათი მოვლენაა სამყაროში, მითუმეტეს ძალზე მცირეა იმის შესაძლებლობა, რომ გონიერ არსებებს წავაწყდეთ. და, აი, ამ ოციოდე წლის წინ ჩვენი სამყაროს ანუ გალაქტიკის ამ მხარეს ორი ვარსკვლავმფრენი გამოემართა. პირველს მართავდა მამაშენი — რიეგი. კარგად დაიხსომე ეს სახელი, ამირან! მეორის მეთაური კი მე გახლავართ — აია. ჩვენ წესად გვაქვს შემოღებული: ყოველთვის წყვილად მივდივართ ხოლმე შორეულ მხარეებში, რომ, თუ საჭირო გახდა, ერთმანეთს დავეხმაროთ, რადგან ჩვენი სამშობლო წარმოუდგენლად შორს არის და იქიდან შევლის იმედი პრაქტიკულად გამორიცხულია. რიეგს გაუმართლა — აღმოაჩინა ეს მიწა თავისი პრიმიტიული გონიერი არსებებით. იმ ხომალდზე მისი მეუღლეც იმყოფებოდა — დალი. როგორც ეტყობა, აქ, ძალაღმთებში, ადამიანებისთვის მიუდგომელ ადგილას ბიოლოგიური სადგური მოუწყვიათ და მეცნიერულ კვლევა-ძიებას აწარმოებდნენ. ჩვენ ამ დროს მახლობელ ვარსკვლავთა სისტემას ვსწავლობდით და ერთ დღეს დალისგან სამწუხარო ცნობა მივიღეთ. იგი გვატყობინებდა, რომ ვარსკვლავმფრენი, რომელიც აქაური მზის სხვა პლანეტების შესასწავლად გაემართა, დათქმულ დროს აღარ დაბრუ-

ნებულა. მისი ვარაუდით იგი სადღაც ასტეროიდების სარტყელში უნდა დაღუპულიყო. ამრიგად საცოდავი დაღუპილი მარტოდ დარჩა. მან გვამცნო აგრეთვე, რომ ბავშვს ელოდება და გადარჩენის იმედი არა აქვს. ერთ ადგილობრივ მცხოვრებს განდობია, სახელად სულკალმახს და გვარწმუნებდა, რომ ბავშვს იგი უპატრონებდა. ისიც გვითხრა ნეტარხსენებულმა, თუ ვაჟი მეყოლა, ჩემი თხოვნით ამირანს დაარქმევენო. რაც მთავარია, ამორიგენისთვის ოქროს კბილი გადაუცია, რომ შემდგომში შვილისთვის ჩაესვათ. მასში კი პაწაწინა მიმღებ-გადამცემი ხელსაწყო იყო მოთავსებული, რომელიც შენს მოძებნას გაგვიადვილებდა. ესეც გაითვალისწინა დედაშენმა...

— კი მაგრამ, ნუთუ არ შეგეძლოთ მიგესწროთ მომაკვდავისთვის?

— ცნობამ ჩვენამდე მხოლოდ ათიოდე წლის შემდეგ მოაღწია. ასე საოცრად დიდია ვარსკვლავთშორისი მანძილები. მაშინ დალი უკვე ცოცხალი აღარ იქნებოდა. ერთადერთი საზრუნავი შენლა გვრჩებოდი.

— მომიყევით კიდევ რამე...

— როგორც კი დალის სიტყვები მოვისმინეთ, უმალ აქეთ გამოვემართეთ... მე, ჩემი ქალიშვილი ყამარი, ჰელი და ფრიკი. შენს წასაყვანად მოვედით, რადგან ჩვენი ტომისა ხარ და უფლება არა გვაქვს აქ დაგტოვოთ უცხოთა შორის...

უცხოთა შორისო? ამირანს გაახსენდა დარეჯანის მოსიყვარულე ხელები, სულკალმახის თავშეკავებული ალერსი, ბადრის და უსიბის ალალი, მგრძნობიარე გული. ცდები, აია. მართალია ეს ადამიანები მისი ღვიძლნი არ

არიან, მაგრამ იმდენად მახლობლებია, რომ თავი მათ განუყოფელ ნაწილად მიაჩნია. ჩიტების გუნდის წამოშლილი ფიქრები ყამარმა შეაწყვეტინა:

— ჩვენ მოვედით იმისთვის, რომ გითხრათ: დაგვიბრუნდი ამირან, გავფრინდეთ ჩვენს მშობლიურ მიწაზე. შენ ხომ ერთ-ერთი ჩვენთაგანი, ჩვენი თანამოძმე ხარ.

— დედამიწის ადამიანები სხვა რასას ეკუთვნიან, ჩვენ კი — სხვას, — დაუდასტურეს ჰელმა და ფრიკმა.

ამირანი ჯერ კიდევ თითქოს ბურანში იყო, ვერ შეგუებოდა ნანახსა და გაგონილს, იმას, რაც მან ამ მოკლე ხნის განმავლობაში განიცადა. იგი იმდენად გონებით კი არა, რამდენადაც მთელი თავისი არსებით, თითოეული ნერვითა და სისხლის ძარღვით გრძნობდა მათთან სიახლოვეს, ნათესაობას. უეჭველია, რომ იგი მათ ტომს ეკუთვნის. ეს ჭეშმარიტი უტყუარი ფაქტია, რომელსაც ვერსად დაემალები.

— სწორი ხართ, სწორი. მე დედამიწის მოდგმისა არა ვარ.

— შენთვის გამოვიარეთ ამხელა გზა, ამირან, საქიროა აქაურობას გაეცალო. ამ ვარსკვლავმფრენით ერთად უნდა გავემგზავროთ, — თქვა აიამ.

— ალბათ, აუცილებელია, რომ წამოგყვეთ. მეც ხომ ერთი თქვენთაგანი ვარ!

ეს სიტყვები იმას ნიშნავდა, რომ ამირანმა უკვე შინაგანად გადაწყვიტა თავისიანებს გაჰყოლოდა. მაგრამ მის სულში მძლავრ ნაკადად შემოიჭრა ერთმანეთზე აკინძული მოგონებები: დედამიწაზე გატარებული წლები, ის სითბო და სიყვარული, რაც მან ამ ამაყ და ხალას

ადამიანთა შორის კპოვა. მან შუბლზე მოისვა ხელები. ფიქრთა ჭიდილმა კიდევ უფრო იმატა. მაშ, სხვა საწყა-
როს შვილები არიან მისი ნათესავეები და ისიც მათი მო-
დგმისაა? ხოლო ისინი, ვისთანაც იზრდებოდა? ნუთუ
მათ არავითარი კავშირი არა აქვთ ამირანთან?

აია, ყამარი, ჰელი და ფრიკი, რომლებიც შესანიშნა-
ვად ერკვეოდნენ ადამიანის ფსიქიკაში, კარგად ხვდე-
ბოდნენ, თუ რა ხდებოდა ამირანის გულში, ისინი თანა-
უგრძნობდნენ მას, მაგრამ უძლურნი იყვნენ რაიმეთი
დახმარებოდნენ. ჭეშმარიტებისკენ გზა თვით ამირანს
უნდა გაეკვლია თავისი ნებისყოფით. მათ იცოდნენ, რომ
იგი ამას თავს გაართმევდა.

— მე თქვენი ტომისა ვარ, — მხურვალედ წამოიძახა
ამირანმა, — თქვენთან ერთად უნდა გავეშურო ნამდვილ
სამშობლოში. ასე არ არის?

— ასეა, ასე, — უპასუხა აიამ. დანარჩენებმა დასტუ-
რის ნიშნად თავები დაიქნიეს.

— მომიყევით კიდევ მშობლიურ მიწაზე, როგორია
იგი?

ყამარი წამოდგა და ეკრანი ჩართო.

— შეხედე, ამირან!

ეკრანზე გამოჩნდა სხვადასხვა ზომის ვარსკვლავები.
ზოგი თვალისმომჭრელად კაშკაშებდა, ზოგი კი ძლივს
ბეუტავდა. ერთიმეორის მიყოლებით ჭრებოდნენ მნათო-
ბები და ბოლოს ერთი და დარჩა, რომელიც თანდათან
იზრდებოდა, თვალისთვის სასიამოვნო ცისფერ სხივებს
უხვად აფრქვევდა.

— ეს ჩვენი მზეა, რომელსაც ამირანს ვუწოდებთ...

მაშ დედამისმა დალიმ თავისი მშობლიური მნათობის სახელი შეარქვა პირმშოს? ვარსკვლავის გარშემო პატარა ბურთები მოძრაობდნენ.

— ეს პლანეტებია, — უხსნიდა ყამარი, — ანუ ისეთი სამყაროები, როგორც აქაური მიწაა, რომელიც ასევე ბრუნავს თავისი მზის გარშემო. აი, ჩვენი სამშობლოც...

ერთ-ერთი ბურთი ვეებერთელა ზურმუხტოვან სფეროდ იქცა.

— რა ლამაზია! — აღტაცებით წამოიძახა ამირანმა, — რას უწოდებთ მშობლიურ მიწას?

— ყამარს...

თურმე ვის სახელს ატარებს ეს ქერათმიანი, ლაქვარდთვალეზა მზეთუნახავი! ამირანმა ქალს შეხედა და გუნებაში მრავალგზის იმეორებდა სანუკვარ სიტყვებს: ყამარი... ყამარი...

დღეები დღეებს მისდევდა. ამირანმა ვარსკვლავმფრენში ბევრი რამ გაიგო და ნახა. მისი მასწავლებელი და გზის მაჩვენებელი აიას ქალიშვილი იყო. იგი უყვებოდა მშობლიური პლანეტის ისტორიას, ესაუბრებოდა ფუნდამენტურ მეცნიერებათა საფუძვლებზე, რომელთა დაუფლებამ უაღრესად წინ წასწია ყამარის მკვიდრნი, ისე წინ, რომ დედამიწის ადამიანთა ცხოვრება მათთან შედარებით მეტისმეტად გულუბრყვილოდ და მარტივად გამოიყურებოდა.

— ძლევამოსილია ჩემი ხალხი, ყამარ, ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს, რომ მეც მათი შვილი ვარ, — ეუბნებოდა ხშირად თავის მასწავლებელს როცა რაიმე

ახალს, ზღვარდაუდებლად დიადსა და ქრუანტელის მომგვრელს გაიგებდა ხოლმე მისგან.

ერთხელ, როცა ყველა სამართავ კაბინაში იყო შეკრებილი, აიამ გამოაცხადა:

— მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დამთავრებულია. რამდენიმე დღეში გავფრინდებით.

— ასე წამოსვლა არ შემიძლია. ერთხელ კიდევ უნდა ვნახო ჩემიანები და გამოვემშვიდობო, — თქვა ამირანმა.

— რა საჭიროა? შენ არა ხარ ვალდებული მათ ანგარიში ჩააბარო. ბოლოს და ბოლოს ვინ არიან ისინი შენთვის? სრულიად უცხონი.

რას ნიშნავს, რომ ყამარელები დედამიწის ადამიანებს ახლოს არ იცნობენ! მხოლოდ რაღაც ჩამორჩენილ არსებებად თვლიან მათ. ის კი არ იციან, თუ როგორი მგრძნობიარე გული და ფაქიზი გრძნობები გააჩნიათ, რის დავიწყებაც ყოვლად შეუძლებელია. როგორ გააგებინოს ეს აიას? ამირანმა წარბები შეიკრა. კედელში დატანებულ ოვალურ სარკეში თავისი შეწუხებული სახე დაინახა და სხვა რომ ვერაფერი მოისაზრა, ისღა თქვა:

— ბადრი და უსიბი რომ იყვნენ აქ, მეტყოდნენ: რა საავდროდ გამზადებულ შავ ღრუბელს დაემსგავსეო.

— ამირან, უკვე დროა აბორიგენებში შექცენილ უსისტემო მსჯელობას თანდათან გადაეჩვიო. აბა, რა კავშირი აქვს შენი სახის გამომეტყველებას საავდროდ გამზადებულ შავ ღრუბელთან? გონიერი არსება მხოლოდ რაციონალურად უნდა აზროვნებდეს, საგნებსა და მოვლენებს უაღრესად მიახლოებული და ნათელი ცნებებით ასახავდეს. უფრო ჭკვიანური არ იქნებოდა, რომ გეთქვა: დაღვრემილი სახე მაქვსო?

— გამოდის, რომ ზუსტი ცნებების ხმარება განსაკუთრებით აუცილებელია გონიერების დონეს. ამას გულისხმობთ, არა?

— რა თქმა უნდა.

— მაინტერესებს, რას იტყოდით, მაგალითად, ყამარის მოსასხამის შესახებ?

— რომ იგი თეთრი ფერისაა.

— მეტს არაფერს?

— არა.

— მე კი, აია, იგი ახალმოსული თოვლივით ქათქათა მეჩვენება და გედის ფართოდ გაშლილ ფრთებს მაგონებს...

— არ მესმის, რისთვისაა ყოველივე ეს საჭირო.

საუბარში ყამარი ჩაერთა:

— მამაჩემო, ნუთუ ვერ ხვდები, რომ საქმე გვაქვს აზროვნების სრულიად განსხვავებულ, რაღაც ახალ მხარესთან, რაც ჩვენი ცივილიზაციისთვის უცნობია. მხოლოდ ახლა მივხვდი, თუ რას ნიშნავდა დალის სიტყვები, რომ მან აბორიგენებში უნიკალური თავისებურება აღმოაჩინა. როგორც ჩანს, აქაურები ნებისმიერ საგანსა თუ მოვლენას ორგვარად აღიქვამენ: მეცნიერულად და ხატოვნად. ესე იგი ხელავენ იმასაც, რაც ამდენ ხანს ჩვენთვის მიუწვდომელი იყო.

— წარმოუდგენელია, — გაიკვირვა აიამ.

— ეს ამირანმა უკვე დაგვიმტკიცა, რადგან იგი აზროვნების ამ ორიგინალურ პრინციპებზეა აღზრდილი.

— მესმის, მესმის, ყამარ, მართლაც რა დიდ საგანძურს წასწყდომია აქ დალი და კარგად ვგრძნობ, თუ რა დიდი შესაძლებლობები, ახალი პერსპექტივები იშლება

ჩვენი ხალხის წინაშე სამყაროს აღქმის ამ ორიგინალური გზის მეოხებით.



— აი, — მიმართა მას ამირანმა, — გამოსამწვიდობებლად უნდა წავიდე.

— კეთილი. შენი ნებაა. მხოლოდ გაფრთხილებ, ერთი პირობა უნდა აღასრულო.

— გისმენ.

— ის, რაც ჩვენთან ისწავლე, გულში უნდა ჩაიმარხო. დედამიწელებს არ შეიძლება გადავცეთ ჩვენი ცოდნა.

— რატომ?

— ეს საკმაოდ რთული პრობლემაა, მაგრამ ვეცდები გასაგებად განვმარტო. გონიერ არსებათა განვითარების კანონზომიერება მოითხოვს, რომ ცოდნის მწვერვალებს მათ თავიანთი დაძაბული შრომით მიაღწიონ, რადგან გონიერება, პირველყოვლისა, სწორედ შემეცნების ეკლიან გზას გულისხმობს მარტივიდან რთულისაკენ. ნამდვილი ცივილიზაცია მხოლოდ მაშინ შეიქმნება, როდესაც კაცობრიობა თავისი უნარით და გამოცდილებით, შეცდომების გათვალისწინებით დაძლევეს უმეცრებას. გარდა ამისა, არის კიდევ მეორე მოსაზრება, რომელიც ცხადყოფს, თუ ყამარის კოსმონავტებს რატომ აქვთ აკრძალული ცოდნის გადაცემა განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი გონიერი არსებებისთვის. შორეულ წარსულში ერთ-ერთ ახალაღმოჩენილ პლანეტაზე ჩვენმა თანამემამულემ დაივიწყა ეს მცნება და აბორიგენებს უმაღლესი ტექნიკა შეასწავლა. შედეგი? რამდენიმე ხნის შემდეგ სადაზვერვო ხომალდმა ფრიად

უსიამოვნო ამბავი ჩამოგვიტანა. იქ თურმე მთელს გა-
ლაქტიკაში ყველაზე უფრო მახინჯი ფორმის ^{საქონლის} ~~მონათ-~~
მფლობელური წყობილება ჩამოყალიბებულიყო. აი,
რას ნიშნავს, როდესაც საზოგადოება საამისოდ ჯერ კი-
დეც არ არის მომზადებული! ჩვენ დიდი ენერჯის და-
ხარჯვა მოგვიხდა, რომ დაშვებული შეცდომა გამოგვეს-
წორებინა და იმ სამყაროს მკვიდრთა განვითარება ნორ-
მალური, ბუნებრივი გზით წარმართულიყო. როგორც
ხედავ, ამირან, ამ საქმეში საკმაოდ სერიოზული მიზე-
ზები გვზღუდავს. ამიტომაც არის, რომ ჩვენთან უმძიმეს
დანაშაულად ითვლება ცივილიზაციის ხელოვნური შე-
ტანა სხვა პლანეტების მცხოვრებლებში. ამიტომ შენც,
რიეგისა და დალის შვილს, ასევე გეკისრება პასუხის-
მგებლობა.

— გარწმუნებთ, რომ მეც არ გადავუხვევ თქვენს
მრწამსს.

ამირანი აგვიანებდა. ვარსკვლავმფრენის ეკიპაჟი მას
წინა დღეს ელოდა, იგი კი არ ჩანდა. აიამ ყამარი ხო-
მალდში დატოვა, თვითონ კი ჰელისა და ფრიკის თან-
ხლებით სფეროიდიტ ლიხეთში გაფრინდა. აპარატი
სულკალმახის სახლის ახლოს დაეშვა. კოსმონავტებმა
დაინახეს, რომ სამჭედლოს ირგვლივ ხალხი ფუსფუსებ-
და და ისინიც იმ მხარეს გაეშურნენ. როცა შიგ შევიდნენ,
თვალწინ შემდეგი სურათი წარმოუდგათ: გრდემლზე
წითლად მოელვარე ზოდს ვეება უროს ურტყამდა ამი-
რანი. იგი ისე იყო გართული მუშაობით, რომ მათი შე-
მოსვლა არც კი შეუშინებია. მხოლოდ იქ მყოფნი გაკ-
ვირვებით უმზერდნენ უცხოებს. აია ერთხანს დაჟინე-

ბით ათვალე რებდა ყველაფერს, განსაკუთრებით აინტე-
რესებდა, თუ რას სჭედდა ამირანი. მისმა გამოცდილმა
თვალმა უმაღლესი შენიშნა, რომ გავარვარებულმა ლითონმა
გუთნის ფორმა მიიღო. აიამ შეჰყვირა:

— შენ პირობა დაარღვიე, ამირან, ფოლადის გამო-
დნობა ასწავლე ლიხეთელებს! ალბათ, ბევრი სხვაც მო-
ასწარი...

ამირანმა ურო კედელზე მიაყუდა. თავჩაქინდრული
ხელებს იფშვნეტდა.

— თავი ვერ შევიკავე, აია, ძლიერ მიყვარს ეს
ხალხი.

— ხომ იცოდი, რომ ამის უფლება არ გქონდა! ამი-
სათვის სასტიკად დაისჯები.

ამირანი მორჩილად გაჰყვა აიას ეზოში. სოფლებები
ღელავდნენ. როგორ ბედავენ ძალადობას ეს უცხოელე-
ბი? რას ერჩიან ამირანს? ბევრმა იარაღიც კი იშიშვლა.
ბადრი და უსიბი ქარქაშიდან ამოღებული მახვილებით
პირველნი მიიჭრნენ ძმის საშველად. აბობოქრებული
ადამიანები ამირანმა ძლივს შეაკავა.

— დამშვიდდით ყველა, თქვენც ჩემო ბადრი და
უსიბი! მე სიტყვა გავტეხე და მათ წინაშე პასუხი უნდა
ვაგო. სხვანაირად არ შემოძლია...

— ახლა კი მე მისმინეთ, — წამოიძახა აიამ, — ამი-
რანმა მიუტევებელი ცოდვა ჩაიდინა და სამაგიერო უნ-
და ზღოს. მას ყველაზე მაღალ მთაზე მივაჯაჭვავთ, რომ
ვერცერთმა სულიერმა ვერ შესძლოს მისი შველა.

ხალხმა ამოიგმინა. უშიშრად შემოარტყეს ალყა აიას
და მის თანამგზავრებს, პირქუშად წინ მოიწვედნენ მზე-

ზე მოელვარე იარაღით. ამირანი ამოდ ცდილობდა მათ შეჩერებას. აიამ ელვის სისწრაფით ჯიბიდან რანდოკო-გრძო საგანი ამოიღო და მომხვედურებს დაუმიზნა. აი, ერთი მოცელილივით უხმოდ დაეცა... მეორე... მესამე... რამდენიმე წამში ყველა მიწაზე იწვა; ამის დანახვაზე ამირანი შეძრწუნდა, ეგონა, რომ მისი თანასოფლელები ყამარელებმა დახოცეს, აღშფოთებული და გაგულისებული მივარდა აიას და ყელში სწვდა, მაგრამ ლიხეთელებსავით მასაც გონება დაეკარგა...

— თავს როგორა გრძნობ? — შემოესმა ამირანს ქალის ნაზი ხმა. თვალები ნელ-ნელა გაახილა. სასთუმალთან აიას: ქალიშვილი იჯდა. ნუთუ ეს მართლა ყამარია? საწოლზე ოდნავ წამოიწია.

— რა ბედნიერებაა, ყამარ, რომ კვლავ შენთან ვარ... რა მოხდა, ამიხსენი.

— საკმაოდ ძლიერი ფსიქიური ტრავმა მიიღე, მაგრამ საშიში უკვე აღარაფერია. სულ მამაჩემის ბრალია ყველაფერი. ასე მკაცრად არ უნდა მოქცეულიყო.

— მეგონა, რომ მართლა მთაზე მიმაჯაჭვებდა.

— ეს მან აბორიგენებისთვის მოიგონა. ხომ უნდა ნიკოდნოდათ, სად გაჰქრა ამირანი? რადგან შენი მამობილი სულკალმახი ცოცხალი აღარ არის, შეუძლებელი იყო ისინი დაგვეჭერებინა, რომ სხვა პლანეტის შვილი ხარ და შენთანებში ბრუნდები. შენს მიერ სიტყვის გატეხის ამბავი მოხერხებულად გამოიყენა აიამ.

— მაინც რა უცნაური სასჯელი მოიგონა იმ დალოცვოლმა. მეცოდებიან ჩემი დედამიწელი ახლობლები.

დარწმუნებული ვარ, რომ ისინი საშინლად განიცდიან /
ჩემს არარეალურ უბედურებას.

— მამაჩემს მაინცდამაინც დიდი ორიგინალობა არ
გამოუჩენია. ჩვენს ხალხს ერთი უძველესი თქმულება
აქვს. იგი მოგვითხრობს, თუ როგორ მიაბეს ყამარის
ყველაზე მაღალ კლდეზე ბოროტმა ძალებმა ერთი ზღაპ-
რული გმირი, რომელიც ჩვენი ვარსკვლავის სახელს
ატარებდა.

— მასაც ამირანი ერქვა?

— დიახ.

— ოჰო, მაშასადამე, აქაურებს ყამარელთა მსგავსი
თქმულება დაუტოვეთ ჩემი სახით.

— ასე გამოდის... მაგრამ ეს როდია მთავარი. შენმა
საქციელმა მეტად რთული დილემის წინაშე დაგვაყენა.
არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა, რომ ის ცოდნა,
რაც თანასოფლელებს გადაეცი და მათ კი მთელ ტომს
მოსდეს, მარტო ამ კუთხის მცხოვრებთა კუთვნილება
გამხდარიყო. ისინი შეიძლებოდა ისე გაძლიერებულიყვ-
ნენ, რომ ჯერ მეზობლები დაემორჩილებინათ, შემდეგ
სხვები და ვინ იცის დროთა განმავლობაში მთელი პლა-
ნეტაც კი... ანუ განმეორებულიყო ის სურათი, რაზედაც
აიამ ერთხელ მოგიტხრო. ამიტომ განვიზრახეთ ძირშივე
მოგვესპო მოსალოდნელი საფრთხე. ამისათვის იმ ხნის
განმავლობაში, სანამ შენ ხელოვნურ ძილს იყავი მიცე-
მული, ასევე დაძინებულ აბორიგენტთა საკმაოდ დიდი
ნაწილი შორეულ დასავლეთში, კონტინენტის უკიდუ-
რეს მიწაზე გადავიყვანეთ. შევურჩიეთ ისეთი ბუნება,
როგორიც მათთვის უფრო შესაფერი იყო — საძოვრე-

ზით და ტყეებით დაფარული გორაკები, ლამაზი ხეობები, მაღალი მთები, რომლებსაც ადგილობრივი მკვიდრი პირინეებს უწოდებენ. უეჭველია, რომ ისინიც ახლომახლო ტომებში თავის კულტურას შეიტანენ და, ამრიგად, განვითარების იმ გზით წავლენ, როგორც მათი თანამოდმეები აღმოსავლეთში. ასე დამყარდება ერთგვარი წონასწორობა...

— თქვენ მართალია ისინი დააძინეთ, მაგრამ მეხსიერებას ხომ არ დაჰკარგავენ. თუ მართლა ადგილსამყოფელად მათი სამშობლოს მსგავსი რამ მოუძებნეთ, ისინი ნამდვილად ახალ მიწასაც იბერიას დაარქმევენ. იბერია აღმოსავლეთში და იბერია დასავლეთში... დიდი თავსატეხი კი გაუჩინეთ შთამომავლობას! როგორ უნდა ახსნან მათ ასეთი უცნაურობა?

— როგორმე გამოსავალს ნახავენ...

ამ დროს კაიუტაში ეკრანი აინთო. გამოჩნდა აიას, ჰელისა და ფრიკის სახეები. ამირანი ყამართან მშვიდად მოსაუბრე რომ ნახეს, თვალები გაუბრწყინდათ. განსაკუთრებით აია ვერ მალავდა სიხარულს. მან ამირანს უთხრა:

— მოგვიტევე, ცოტა უხეშად მოგეჭყციო, სხვა გამოსავალი არ იყო. ხომ არაფერი გაწუხებს?

— გმადლობთ, არაფერი, — უპასუხა ამირანმა და შეყვარებული თვალები შეანათა ყამარს. ქალი გაწითლდა. უხერხულობა რომ როგორმე დაეფარა, აიას ჰკითხა, სად ვიმყოფებითო.

— მზის სისტემას რა ხანია გავცდით. კურსის გამო-

ანგარიშებაც დამთავრებულია. ახლა კი წინ, სრული სვლით!



— წინ, სრული სვლით! — გაიმეორეს ეკრანში ჰელმა და ფრიკმა.

ვარსკვლავმფრენმა გიგანტური პარაბოლა შემოხაზა და გაემართა გალაქტიკის ცენტრისაკენ, იქ, სადაც ბრწყინავს ცისფერი მნათობი ამირანი.

8.

დედამიწაზე რამდენიმე ასეული წელი გავიდა. კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე დასახლებული ხალხი თაობიდან თაობას გადასცემდა ლეგენდას ამირანზე, რომელმაც ღმერთებს ცოდნა გამოსტაცა და ადამიანებს უბოძა. მათ არც ნადირობის ქალღმერთად აღიარებული ოქროსფერთმიანი დალის სახელი დავიწყნიათ. შთამომავლობას მასზე მშვენიერი თქმულება შემოუნახეს.

და აი, შავი ზღვის სანაპიროებთან, რიონის შესართავთან უკვე გამოჩნდა ახალი ცივილიზაციის წარმომადგენლები — ბერძენთა პირველი გემები. ელინთა შვილნი ცნობისმოყვარედ ათვალეირებდნენ ამ შორეულ მხარეს, ყურადღებით ეცნობოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებს. მათ განსაკუთრებით აოცებდათ კოლხეთის მკვიდრთა მაღალი კულტურა, რომლის მსგავსი არც ერთ მეზობელ ქვეყანაში არ შეხვედრიათ.

ზაფხულის თაკარა მზე უკვე დასავლეთისკენ იყო გადახრილი, როდესაც იაზონი უკანასკნელად ესტუმრა აიეტს, კოლხეთის დიდებულს. სამშობლოში გამგზავრე-



ბის წინ ბერძენი კარგ გუნებაზე იყო. რა შესწავლისადადამიანია ეს აიეტო. ჯერ იყო და სწრაფმავალი ხომალდით „არგოთი“ ჩამოტანილი მოხატული ამფორების დიდი ნაწილი თვითონ შეიძინა, ხოლო დანარჩენი კი თავის მსახურთა დახმარებით ახლომახლო გააყიდვინა. იაზონმა კარგი მოგება ნახა, სარფიანად ივაჭრა და ძვირფასი საქონელიც მოიხვეჭა წასაღებად. მარტო ხალიბების ტომის მჭედლების ნახელავი რად ღირს! მის ქვეყანაში რკინა რბილი და არამტკიცეა. აქაური კი ისეთი მკვრივი და დრეკადია, რომ მისგან გამოჭედილი მახვილი პირით ქვაზეც რომ დაჰკრა, უმალ მას გახეთქს, ვიდრე დაჩლუნგდება. ჭეშმარიტად თავისი საქმის დიდოსტატები არიან ეს ხალიბები. ან რა შეედრება აქაურ სელის ნაწარმს! რა ხელმა შეჰქმნა ასეთი წმინდა და დახვეწილი ქსოვილი? ხელმაო? აქ ხელით როდი ქსოვენ, როგორც ეს სხვაგანაა. თავისი თვალთ ნახა რაღაც უცნაური დაზგა, რომელზედაც კოლხეთის ლამაზი ასულნი მუშაობდნენ. და ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენ საკვირველებას წააწყდა აქ... საიდან იციან ყოველივე ეს კავკასიელებმა?

აიეტს გამოსათხოვარი სუფრა ეზოში, კაკლის დიდი ხის ქვეშ გაეშალა. ასეთი გემოვნებით შეზავებული კერძები იაზონს თავის დღეში არ ეგემა.

როდესაც სტუმარმა და მასპინძელმა რამდენიმე ფილა ღვინო შესვეს და კარგად დანაყრდნენ, იაზონმა ჰკითხა:

— აიეტ, ბრწყინვალეო, ჩვენში გამიგონია, რომ აქაურები ოქროს საწმისს ფლობენ, რომლის მსგავსი თურ-

მე ქვეყანაზე არ მოიძებნება. მას ფასი არა აქვსო, ამ
ბობენ.



— ოქროს საწმისი? მოცლილი ადამიანების მოგონი-
ლია. არაფერი მაგის მსგავსი მთელს კოლხეთსა და იბე-
რიაში არ მოიპოვება. ერთადერთი, რაც შემიძლია გამც-
ნო ამის თაობაზე ის არის, რომ მთის მდინარეებში ჩვე-
ნი ხალხი ოქროს მარცვლებს მართლაც ცხვრის ტყავის
დახმარებით აგროვებს. ოქრო ხომ ქვიშასა და კენჭებზე
მძიმეა და ხშირ მატყლში ჩერდება. ალბათ, ამის გამო
ბარბაროსებმა მიიჩნიეს, რომ ჩვენ თითქოს რაღაც სას-
წაულმოქმედი საწმისი გვქონდეს. სინამდვილეში კი,
როგორც ხედავ, ვითარება მეტად მარტივია — ცხვრის
ტყავი მხოლოდ ამ ძვირფასი ლითონის მოპოვების სა-
შუალებაა მხოლოდ. ეს არის და ეს.

— აი, თურმე სად მარხია ძაღლის თავი. მაშ კოლ-
ხებს ბევრი ოქრო გაქვთ?

— იაზონ, ნუ გეწყინება და დიდად მაკვირვებს შენი
მსჯელობა. გონიერი ხალხის — ბერძენთა შვილი ხარ და
ნუთუ არ გესმის, რომ ქვეყანაზე მაგ ყვითელ ლითონზე
უფრო ძვირადღირებული რამ არსებობს.

— რა უნდა იყოს ეს?

— ცოდნა. ცოცხალი ბუნებისა და უსულო საგანთა
არსში გარკვევის უნარი, რაიც გონიერ არსებას ველუ-
რისგან განასხვავებს.

იაზონი შეიშმუშნა. აიეტმა ერთი სიტყვით აგრძნო-
ბინა ადამიანის ქვენა გრძნობების არარაობა, წვრილმა-
ნობა და აშკარა უბადრუკობა. მაგრამ ელინმა ეს არ
შეიმჩნია.

— გააჩნია, აიეტ ბრწყინვალეო, რა ცოდნასთან გვაქვს საქმე... ცოდნასთან
საქმესთან
ზნობრივად

— ცოდნის შეძენით, ბერძენთა შვილო, აღამიანი უმაღლეს სიბრძნეს ეზიარება. იცოდე, რომ რთული და ძნელია გზა საკუთარი თავის სრულყოფისკენ, მაგრამ მაინც შეიძლება ამის მიღწევა. ყველაზე უმთავრესი კი, იაზონ, ის არის, რომ კაცს გაუჩნდეს ასეთი მოთხოვნილება. მიმოიხედე გარშემო, თვალი აღაპყარ ზეცას, სადაც ვარსკვლავები კიაფობენ. შენს ირგვლივ სამყაროა, რომელიც მუდამ იცვლება. დღეს იგი ისეთი არ არის, როგორც გუშინ იყო, ხვალ კი სრულიად სხვანაირი იქნება. ამრიგად ყველაფერი რაც არსებობს, გადადის ერთი მდგომარეობიდან მეორეში, თავის საწინააღმდეგოში. ამას უნდა ჩასწვდეს კაცის გონება და თავისი დასკვნები გამოიტანოს.

— რა არისო ყოველივე არსებულის საფუძველი, რას ამბობენ ამაზე თქვენი ბრძენები?

— ავიღოთ, ვთქვათ, ეს პატარა ჩხირი და შუაში გავყოთ, მიღებული ნატეხი კვლავ ორად დავანაწილოთ და ასე მრავალგზის ვიმოქმედოთ... საბოლოოდ მივიღებთ ისეთი უმცირესი ზომის ერთეულს, რომლის გახლენა უკვე არავითარ ძალას აღარ შეეძლება. ის იქნება ხილული საგნების ყველაზე უმცირესი ნაწილაკი. შემახსენე, იაზონ, როგორ გამოითქმის ბერძნულად „განუყოფელი“?

— ატომოს...

— კარგი სიტყვაა. ატომოსები ის აგურებია, რომლებიდანაც შენდება თითოეული ნივთი, ყველაფერი რა-

საც ვუყურებთ, მთელი ბუნება. მაგრამ ამავე დროს შემთხვევითი არაფერია, ყველაფერი ემორჩილება კანონს, მიზეზისა და შედეგის ჰარმონიას, რომლის გარეშე წარმოუდგენელია სამყარო. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველგან ქაოსი იქნებოდა გამეფებული.

--- ჩვენში ამბობენ, რომ ჰარმონია ბუნებაში ღმერთებმა დააწესესო.

— რა გულუბრყვილობაა! სამყარო არავის არ შეუქმნია. იგი ყოველთვის არსებობდა, არსებობს და იარსებებს. მას არა აქვს არც დასაწყისი და არც დასასრული. იმიტომ რომ თუ ჩვენთან ბუნება იფურჩქნება, სხვაგან იგი კვდება, ხოლო ზოგან კი ახლა იზადება. სამყაროს წონასწორობას არ არღვევს ეს აუცილებელი პროცესები, პირიქით, რეალურია მხოლოდ ამ სამი ურთიერთსაწინააღმდეგო თვისების ერთობლიობა: ქმნადობისა, განვითარებისა და მოსპობისა...

კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა აიეტტი. იაზონი გონიერი კაცი იყო. მან ბევრი რამ გაიგო უცნაური და ჭკუის სასწავლებელი, რის შესახებაც ღირდა, რომ თავისი ჭვეყნის ბრძენი ადამიანებისთვის მოეთხრო. მაგრამ ისიც კარგად ესმოდა, რომ მისი ტვინი უძლური იყო აღექვა ყოველივე ის, რაც გაიგონა. ანდა ვინ იცის, რამდენი რამ დარჩა სათქმელი აიეტს. და განა მარტო აიეტს? არა, აქ ერთი კაცი ვერაფერს გააწყობს. არც ის იქნება საკმარისი, რომ მისი თანამემამულენი დროდადრო ესტუმრონ კოლხეთს. რაღაც სხვა რამ არის საჭირო. იაზონის გონება დაძაბულად მუშაობდა. სხვა რამ... თუნდაც ზღვის სანაპიროებზე დასახლება მათ სიახლოვეს,



რომ ბერძნებმა სარფიან ვაჭრობასთან ერთად საგან მიიღონ ის ცოდნა, რაც მათ გააჩნიათ სამშობლოში გაავრცელონ. რამდენი რამ არის კოლხეთში საინტერესო და საჭირო ელინთათვის. თვითონ კი კვლავ დაბრუნდება ამ მხარეში... მით უმეტეს, რომ მოსვენებას უკარგავს აიეტის ტურფა ასულის, მედეას ვნებიანი თვალეები. აი, ახლაც ზის იგი აივანზე, მსახური ქალებით გარშემორტყმული და ცეცხლოვან მზერას იაზონისკენ აპარებს.

— სულგრძელო და სტუმართმოყვარე აიეტ, საიდან გაქვთ კოლხეთის მკვიდრებს ასეთი ცოდნა?

— ღმერთებისგან, ასე უთქვამთ წინაპრებს.

— ისინი ხომ მაინცდამაინც არ წყალობენ ადამიანებს.

— ამიტომაც იყო, რომ ჩვენმა მამა-პაპებმა ძალით გამოვლიჯეს ხელიდან.

— ვინ იყვნენ ისინი?

— ეს ერთადერთი გმირი იყო ამირანი. მან ღმერთებს მოსტაცა სიბრძნე და ადამიანებს უთავაზა.

— ამას არაფრით არ აპატიებდნენ გულად ვაჟკაცს.

— ნამდვილად. იგი მკაცრად დასაჯა განრისხებულმა ღვთაებამ, საშინელ სატანჯველში ჩააგდო — კავკასიონის ერთ მაღალ ქედზე მიაჯაჭვა საბრალო.

— სასტიკნი არიან ღმერთები, აიეტ ბრწყინვალეო.

— უღმერთოდ სასტიკნი.

4.

— ამირან, ყვითელი მზის სისტემამდე სულ ცოტა მანძილი დარჩა. ღელავ?



— სინ, წარმოიდგინე, ჩემი მღელვარება სრულიად არ ჰგავს დედამიწაზე გაზრდილი კაცის განცდას, როგორც პლანეტაზე კოსმოსში ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ ბრუნდება.

— ნუთუ?

— ფაქტიურად მე და შენ ერთნაირ მდგომარეობაში ვართ. ორივემ უნდა აღმოვაჩინოთ ახალი პლანეტა, გავეცნოთ ადამიანებს და მათ კულტურას. ჩვენი ვარსკვლავმფრენები თითქმის სინათლის სისწრაფით დაფრინავენ. ამიტომ დედამიწის დროის მიხედვით სამი ათას წელზე მეტი იქნება გასული, რაც იქიდან წამოვედი, მაგრამ თხუთმეტი წლით თუ დავბერდი მხოლოდ. რას იზამ, ასეთია დრო-სივრცის პარადოქსი. კაცობრიობის ისტორიისთვის სამი ათეული საუკუნე დიდი მონაკვეთია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეგზურად ვერ გამოვადგები.

— სამაგიეროდ საშუალება გაქვს შენი ყოფილი თანამოძმეების განვითარების ანალიზი მოახდინო. მათი დღევანდელი დონე შეუდარო წარსულს. მერწმუნე, რომ ასეთი ორიგინალური მისია იშვიათად თუ ხვდომია წილად ვინმეს.

— უცნაური კია, კაპიტანო სინ, აი, ახლა უნდა ვესტუმროთ დედამიწას. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, სამი ათასი წლით უნდა ჩამოვრჩენოდი მის ცივილიზაციას, მაგრამ სინამდვილეში მილიონი წლებით გავუსწარი, რადგანაც ჩემს ნამდვილ სამშობლოში, პლანეტა ყამარზე მოვხვდი. ყამარი! რა ძვირფასია ჩემთვის ეს სიტყვა...

— შენთვის ორმაგად, რადგან იგი მშობლიური მი-

წისა და შენი მეუღლის სახელს აერთიანებს. ^{პო. მართ-}ლა, კოსმოდრომზე ყამართან ერთად შენი ^{რონი ვაჟიც} გაცილებდა. ვერასდიდებით ვერ დავიხსოვმე მათი უცნაური სახელები.

— ბადრი და უსიბ. ძვირფასო სინ, ამ პლანეტასთან კვლავ უხილავი ძაფებით ვარ მიბმული. ძველი კავშირები ადვილად არ წყდება. ასე უწოდებდნენ ჩემს დედამიწელ ძმებს და მათ საპატივცემულოდ დავარქვი ჩემს შვილებს ეს სახელები.

— კარგად მაგონდება შენი პირველი სიტყვები, როდესაც ლეგენდარული რიეგისა და დალის შვილმა ფეხი ყამარზე დაადგი. გალაქტიკის ცივილიზაციის აკვანი უწოდე მაშინ ჩვენს პლანეტას. სიმართლე უნდა გითხრა, გაოცებული ვიყავით შენი ექსტრავაგანტური მსჯელობით. ვერ წარმოიდგენ, რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ხატოვანმა აზროვნებამ, რაც ასეთი დამახასიათებელია დედამიწის აბორიგენებისთვის და რაც შესანიშნავად შეითვისე იქ ხანგრძლივად ყოფნის დროს. იგი განუმეორებელია მთელს გალაქტიკაშიც კი, რომ არაფერი ვთქვათ ჩვენს თანამემამულეებზე, რომლებიც, როგორც იცი, მხოლოდ რაციონალურ აზროვნებას აღიარებენ. ჩვენ ჩავწვდით სამყაროს საიდუმლოებაში, განვითარების უმაღლეს საფეხურზე ავედით, მაგრამ არ გავგაჩნდა არსებულის ესთეტიკური აღქმის უნარი. აი, რატომ გაჩერდა დიდხანს დედაშენი, მარადის დაუვიწყარი დალი დედამიწაზე და არ უნდოდა მისი მალე მიტოვება. მან იქ პრიმიტიულ ადამიანებში ნახა ისეთი რამ, რაც ჩვენთვის სასიცოცხლოდ იყო საჭირო და რომ-

ლის მეოხებითაც ბუნების შეცნობის ახალი პერსპექტი-
ვები გვესახებოდა... ხატოვანი აზროვნების ნიუანსების
დაუფლებამ ახალი მძლავრი ბიძგი მისცა ჩვენი კულ-
ტურის წინსვლას, რასაც დედამიწის მცხოვრებლებს
უნდა ვუმაღლოდეთ.

— ჩემს ყოფილ თანამოძმეთა გონებას უდიდესი
პოტენციური ძალა გააჩნდა. სამწუხარო იქნებოდა, რომ
ამ სამი ათასი წლის განმავლობაში გადაჩვეოდნენ ხა-
ტოვან აზროვნებას და ერთგვარად დაეკარგათ თავისი
თვითმყოფადობა.

— არა მგონია. ჩვენი მეცნიერების რწმენით ასეთი
გენეტიკური ინფორმაცია თაობიდან თაობას გადაეცემა
უსასრულოდ, თუ არ მოხდა რაიმე გაუთვალისწინებელი
მუტაციები...

სამართავ პულტთან მოფუსფუსე რობოტი მათკენ
მოტრიალდა.

— კაპიტანო, — გაისმა ოდნავ ჩახლეჩილი, მაგრამ
სასიამოვნო ტემბრის ხმა, — ელექტრომაგნიტური ტალ-
ღების მოქმედების არეში მოვხვდით. ვრთავ აპარატუ-
რას.

— შეგიძლია საქმეს შეუდგე. აბა, ვნახოთ, ამირან,
რას მიაღწიეს დედამიწელებმა? კაცმა რომ თქვას, შენც
ხომ მიგიძღვის გარკვეული წვლილი მათ განვითარებაში.

როგორც კი რობოტმა შორეული კავშირგაბმულობის
რეოსტატები გადასწია, მიმღებებიდან ისეთი ყურთა-
სმენის წამლები წივილი გაისმა, რომ სინი და ამირანი
უნებურად შეკრთნენ.

— მთელი სივრცე ტალღებით არ ყოფილა გაჭედი-

ლი? ბოილ, შეაჩერე ეს ქაოსი, შენი ღვიძლი ძმები ხომ არ გგონივართ, რომ ჩვენმა ყურებმა ამას გაუძლონ? ბოილი ჭკვიანი რობოტი იყო, ოღონდ იუმორის გრძნობას მოკლებული.

— რა ბრძანეთ, ძმებო?

— ოჰ, ერთი შენც, — მოუთმენლად წამოიძახა სინმა, — გამორთე და მორჩი საქმეს.

როდესაც საკომანდო რუბკაში სიჩუმემ დაისადგურა, სინმა გულწრფელად მიულოცა ამირანს:

— ცივილიზაციის საკმაოდ მაღალი დონეა. პროგრესებში არ შემცდარხარ, ამირან, ახლა საჭიროა გამოვძებნოთ შესაფერი ტალღა კონტაქტისთვის...

— შეჩერდი, კაპიტანო.

— რა მოხდა? რატომ ყოყმანობ? ხომ არ ფიქრობ რომ რაიმე საფრთხე მოგველის?

— ოდნავადაც არა, მაგრამ...

— აბა, რაშია საქმე?

— უნდა შემისრულო ერთი თხოვნა. მსურს შეუმჩნეველად დავსხდეთ პლანეტაზე, ასე ვთქვათ, ინკოგნიტოდ.

— რისთვის გჭირდება ასეთი ნაბიჯის გადადგმა უფრო გონივრული არ იქნებოდა, რომ გვეცნობებინათ თუ ვინ მოფრინავს მათთან?

— დედამიწის ახლანდელ მოსახლეობასთან შეხვედრა მინდა არაჩვეულებრივ ვითარებაში მოხდეს. ვოცნებობ მარტომ მოვინახულო კავკასიონის მთები, სოფელ ლიხეთის შემოგარენი, დედის საფლავი, თუ კი რამ გა

დაურჩა უმოწყალო დროს. ხომ იცი ბევრი რამ მაქვს
მოსაგონარი...

— როგორც ისურვებ, ამირან.

კოსმოსურმა ხომალდმა კიდევ უფრო შეანელა სვლა და იგი აბსოლუტური ანუ სინათლის სისწრაფის ერთ მეხუთედსლა თუ შეადგენდა.

— აგერ ყვითელი მზეც, — გაუხარდა ამირანს, — რომელსაც ყამარიდან გიგანტური ტელესკოპებითაც კი ძლივს ვპოულობდით. აქედან უსაზღვროდ შორსაა გალაქტიკის ცენტრი... მაგრამ ეს რაა? შეხედე გრავიტაციის ციფერბლატს. ნეტავ რა ხდება?

— შეუძლებელია! ჩვენს სიახლოვეს არავითარი ხილული თუ უხილავი მასა არ იმყოფება, რომ ხელსაწყომ ამგვარი რეაგირება მოახდინოს, თუკი..

— თუკი დედამიწელებს არ გააჩნიათ გრავიტაციული ლოკატორი. მხოლოდ გრავიტონების მძლავრ ნაკადს შეუძლია ასეთი რამ გამოიწვიოს.

— ყოვლად წარმოუდგენელია. მათ ცივილიზაციას არ შეეძლო სამ ათეულ საუკუნეში ფანტასტიკური ნახტომი გაეკეთებინა, რადგან ათეულ ათასობით წლები სჭირდება გრავიტონების საიდუმლოების გაშიფვრას, რომ არაფერი ვთქვათ იმ დიდ სირთულეზე, რაც დაკავშირებულია ამ ნაწილაკების გამოსამუშავებელი აგრეგატების შექმნასთან.

— სინ, როგორც ეტყობა, დიდ უცნაურობას უნდა მოველოდეთ დედამიწელებისგან. მოდი, ზუსტად დავადგინოთ, მაინც რა გამოსხივებასთან გვაქვს საქმე.

— ბოილ, — გასძახა კაპიტანმა რობოტს, — გაარ-

კვით რა მოხდა, რამ შეიტანა შეშფოთება გრაფიტაციის ხელსაწყოში?



— ახლავე მოგახსენებთ, — უპასუხა რობოტმა და რთულ გამოანგარიშებას შეუდგა, — ანტიგრაფიტონების მძლავრი ნაკადის გარემოცვაში ვიმყოფებით!

ორივე წამოხტა და ერთდროულად მიაშურა იმ ადგილს, სადაც რობოტი იმყოფებოდა.

— ხომ არ შეცდა ბოილი? — იკითხა ამირანმა.

— ვნახოთ... არა, ამირან, ყველაფერი სწორია. შეხედე ანალიზატორს! მასში ცხადად მოჩანს ანტიგრაფიტონების სპექტრი.

— სინ, ვგონებ, დედამიწის ახლანდელი თაობა ძნელადასახსნელი გამოცანებით გვიმასპინძლდება. თუ არ ვცდები, ანტიგრაფიტონები ჩვენს პლანეტაზე მხოლოდ ლაბორატორიებში თუა მიღებული, ხოლო რაც შეეხება ანტიგრაფიტონული პროექტორის აგებას, ამას ხომ ჯერჯერობით თეორიულადაც კი ვერ ითვალისწინებენ ყამარის მეცნიერები.

— რალაც გაუგებრობაა. იქნებ ეს ნაკადი ბუნების მიერაა შექმნილი და გონიერი არსებანი აქ არაფერ შუაშია? ბოილ, — მიუბრუნდა სინი რობოტს, — გააკეთე შესაფერი მანევრი, რომ ანტიგრაფიტონებს როგორმე გავეცალოთ.

გავიდა ათიოდე წუთი. ციფერბლატზე არავითარი ცვლილება არ შეინიშნებოდა. კაპიტანს აღელვება დაეტყო. მისთვის ცხადი გახდა, რომ ვარსკვლავმფრენი თავს ვერ აღწევდა ანტიგრაფიტონების ნაკადს. ეს რობოტმაც დაუდასტურა:

— ნაკადის დიამეტრი დიდი არ არის, მაგრამ როგორც კი მის საზღვრებს ვუახლოვდებით, იგი თულებას იცვლის და ჩვენ ისევ ცენტრში ვემცვებით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ყოველივე ეს ავტომატურად ხდება.

— ბოილ, თავი დაანებე შთაბეჭდილებებზე მსჯელობას, — შეაწყვეტინა სინმა, — ასოთხმოცი გრადუსით შემოაბრუნე ხომალდი!

— მანევრი ხუთ საათში შესრულდება.

— ასე მალე?

— ანტიგრავიტონების წყალობით სისწრაფემ მნიშვნელოვნად იკლო. იგი ერთ მეათედამდე შემცირდა.

როდესაც რობოტმა გამოაცხადა, რომ მათ უკვე მზის საწინააღმდეგო მიმართულებით დაიწყეს მოძრაობა, სინმა და ამირანმა შვებით ამოისუნთქეს. ხელსაწყო უკვე ნორმალურ მდგომარეობას უჩვენებდა. მაგრამ ეს მდგომარეობა სულ რამდენიმე წამს თუ გაგრძელდა.

— კაპიტანო სინ, — წამოიძახა აღელვებულმა ამირანმა, — ციფერბლატი ისევ აციმციმდა!

— ვხედავ... ვხედავ... ბოილ, რა ხდება ვარსკვლავმფრენის გარშემო?

რობოტმა მცირე ხნის დუმისის შემდეგ თქვა:

— ახლა კი გრავიტონების ნაკადის ტყვეობაში ვიმყოფებით, კაპიტანო.

— რაო? გრავიტონების თუ ანტიგრავიტონების?

— გრავიტონების. ჩვენი სისწრაფე კატასტროფიულად ეცემა. ერთ საათში ნულამდე დავა, ხოლო შემდეგ ნაკადის მიმართულებით დავიწყებთ ვარდნას.

კაპიტანს ნერვიულად გაეცინა:

— აი, ამას ჰქვია გრავიტაციული ხაფანგის პირდაპირი პირ კლასიკური შემთხვევაა. თუ სხეული სწრაფად ეშვება, მის სიჩქარეს ანტიგრავიტონები აქრობენ და თუ იგი სისტემას სცილდება, გრავიტონები უკან აბრუნებენ... ეს იმას ნიშნავს, რომ რა უცხო სხეულიც არ უნდა გამოჩნდეს ამ ყვითელი ვარსკვლავის სიახლოვეს, იგი დედამიწელთა კონტროლს ექვემდებარება. ეტყობა, დიდი ხანია, რაც შეგვამჩნიეს და ახლა უძღური ვართ, რომ რაიმე ვიღონოთ. სხვა გზა არაა, მათ ნება-სურვილს უნდა დავემორჩილოთ.

— გამოდის, რომ პლანეტაზე შეუმჩნევლად დაშვება ყოველად წარმოუდგენელია, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ამირანმა.

— დიახ, დედამიწელთა საოცარი ტექნიკის წყალობით ეს შეუძლებელია. აი, ნამდვილი პარადოქსი! ისეთი რა უნდა მომხდარიყო იქ ამ სამი ათასი წლის განმავლობაში, რომ მეცნიერულ აზრს ასე მძლავრად წაეწია წინ? გულუბრყვილოდ გვეგონა, რომ უკვე საკმაოდ ცივილიზებულ კაცობრიობას გავაკვირებდით ყამარის გენიალური მიღწევებით, მაგრამ სინამდვილეში ჯერ მზის სისტემასაც კი არ მივახლოვებვართ და უკვე მათგან ჰკუა უნდა ვისწავლოთ.

ამირანი დაფიქრებით გაჰყურებდა ოდესღაც მშობლიურ სივრცეს.

— კაპიტანო სინ! მე, როგორც დედამიწაზე დაბადებულსა და გაზრდილს, დიდ სიხარულს მგვრის და ვამაყობ კიდევ ადამიანთა მოდგმის ასეთი წარმატებებით,

მაგრამ ამასთანავე ძალიან გული მწყდება, რომ ჩემს ოცნებას განხორციელება არ უწერია.

— ვერაფერს გააწყობ, ჩემო მეგობარო, — მიუგო სინმა და რობოტს უბრძანა, — ბოილ, ჩართე აპარატები. დე, მთელმა კაცობრიობამ გაიგოს, რომ მას კვლავ გამოეცხადა ამირანი, რომელიც მზადაა სასწავლებლად მიებაროს ყოფილ თანამოძმეთა შთამომავლობას, რათა თავისი პლანეტისთვის სასარგებლო ცოდნა შეიძინოს.

— შენ ხუმრობ, სინ, მაგრამ როდესაც ყამარზე ანტიგრავეიტონულ პროექტორს ჩავიტანთ, ერთი ჩვენს მეცნიერებსაც ჰკითხე, იქნებიან თუ არა ისინი იუმორის გუნებაზე?

5.

კოსმონავტიკის აკადემიის მეორე კურსის მსმენელმა გივი ოძელმა კითხვა დაამთავრა და თავის ამხანაგებს გადახედა. აუდიტორიაში ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ გაისმა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის სემინარის ხელმძღვანელის ხმა:

— ვის სურს აზრი გამოთქვას გივი ოძელის საშინაო დავალებაზე?

— ჩანს, რომ ავტორს კეთილსინდისიერად დაუმუშავებია ისტორიული და ფოლკლორული წყაროები, — თქვა ერთმა.

— მის ნამუშევარში ძალუმად იგრძნობა ადგილობრივი კოლორიტი, — დაუმატა მეორემ.

— გარდა ამისა, რაც მთავარია, საინტერესო ჰიპო-

თეზა შემოგვთავაზა ამირანზე, იგივე პრომეთეოსზე — ლე-
გენდის დაბადების შესახებ. ის, რაც მან აღწერა, შესაძ-
ლებელია, რომ ნამდვილად მომხდარიყო, — დაასკვნა
ხელმძღვანელმა.

— მაშ ვეძიოთ კოსმოსის უკიდვანო სივრცეებში
ცისფერი მნათობი ამირანი, — ირონიულად წამოიძახა
ვილაცამ.

— რატომაც არა! დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში რომელიმე თქვენთაგანი მას უეჭველად აღმოაჩენს. ვისაც ოცნებისა და ფანტაზიის უნარი არ შესწევს, ვერასოდეს გახდება ნამდვილი კოსმონავტი. დაიხსოვით ეს.

ხმა მომავლიდან

დიდი ხანია, რაც დედამიწის მეცნიერებმა კოსმოსის სხვა გონიერ არსებებთან კონტაქტის დასამყარებლად შეიმუშავეს სპეციალური რეკომენდაციები, რომელთა ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური და მათემატიკურ-ლინგვისტიკური ასპექტები იმდენად რთულია, რომ კოსმონავტიკის აკადემიის სტუდენტებს, რომლებიც ამ პრობლემას ცალკე საგნად სწავლობენ, სხვებზე უფრო მეტად უჭირთ მისი დაუფლება.

გივი ოძელმაც, როდესაც ხუთი წლის წინ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წინაშე წარსდგა, კინალამ წაიბოროძიკა ამ დისციპლინაში. საერთოდ იგი კონტაქტების მეცნიერებას, რომელიც მესამე კურსზე გაიარეს, თავიდანვე აღმაცერად უყურებდა და ეს განწყობილება გამოსაშვებ გამოცდებამდე გაჰყვა, რამაც ძალიან უსიამოვნო მდგომარეობაში ჩააგდო.

თავდაპირველად თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. გვიმ სხაპასხუპით უპასუხა რამდენიმე კითხვაზე, მაგრამ როდესაც მას მოსთხოვეს აკუსტიკური იდეოგრამების მოდულაციათა შედგენა, რომელიც კონტაქტების თეორიაში ყველაზე კვიმატიან გაანგარიშებებად ითვლე-

ბოდა, დაიბნა, ვერასდიდებით ვერ გაიხსენა მალალი/და დაბალი ტემბრის ურთიერთშენაცვლებათა კანონიერება, რის გამოც მთავარი სპეციალისტის პროფესორ ლეონიდ მიგაის გულისწყრომა დაიმსახურა.

— არ მოველოდი, — უკმაყოფილოდ თქვა მან, — რომ იმ შესანიშნავი პასუხების შემდეგ, რაც შენგან მოვისმინეთ, ეს დაგემართებოდა...

გივი ოძელისთვის ცხადი გახდა, რომ ჩაფლავდა ამ საგანში და მეტი რაღა დარჩენოდა — წლების განმავლობაში კონტაქტების მეცნიერებისადმი დაგროვილი თავისი სიძულვილი სულმოუთქმელად გადმოანთხია:

— პატივცემულო გამომცდელეებო, — უთხრა მან კომისიის წევრებს, — წინასწარ ვიცი, რომ ის, რის თქმასაც ახლა ვაპირებ, უსიამოვნების მეტს არაფერს მომიტანს. პირიქით, ალბათ, უფრო დააჩქარებს ჩემს ჩავარდნას. მაგრამ მაინც ვბედავ გამოვთქვა საკუთარი აზრი, რომელიც გაცილებით უფრო ახლოსაა ჭეშმარიტებასთან, ვიდრე კონტაქტების თეორია მეცნიერებასთან.

კომისიის წევრებმა, კოსმონავტიკის სახელგანთქმულმა მეცნიერებმა ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს, რადგანაც გივის საქციელი უპრეცედენტო იყო აკადემიის ისტორიაში.

— მთავარი და არსებითი ის არის, — მცირე დაყოვნების შემდეგ გააგრძელა გივი ოძელმა, — რომ კონტაქტების თეორია მეცნიერებად არ მიმაჩნია. ასეული წლები გავიდა, რაც ამ საგანს მომავალ კოსმონავტებს ასწავლიან, მაგრამ დამისახელეთ ერთი ადამიანი, მა-

ინც, რომელმაც პრაქტიკაში გამოიყენა იგი? ასეთი პიროვნება ქვეყანაზე არ მოიპოვება იმ ელემენტარულ მიზნის გამო, რომ კაცობრიობა ჯერ კიდევ ვერ წააწყდა გონიერი არსებებით დასახლებულ პლანეტებს. ხოლო სანამ არ არის კონტაქტი, ეს თეორიაც ყოველთვის მწყურაღად იქნება ჭეშმარიტებასთან. რადგან აქ საქმე გვაქვს არა მკვდარი ბუნების საიდუმლოებაში შეჭრასთან, არამედ ჩვენგან განსხვავებულ გონიერ არსებათა გაუთვალისწინებელ თავისებურებებში გარკვევასთან და ამაში დედამიწის მცხოვრების ტრადიციული თვალთახედვა, მის მიერ შემუშავებული პოსტულატები, ერთხელ და სამუდამოდ გატკეპნილი გზით სიარული ვერაფერ სამსახურს გაგვიწევს. ამ პრობლემის გადაჭრისთვის საჭირო იქნება, ალბათ, ავმაღლდეთ საკუთარ თავზე, აზროვნება წარვმართოთ ისეთი მიმართულებით, რათა შევიცნოთ არაადამიანის ადამიანური რაობა. ამის გზას კი მიგვასწავლის მხოლოდ ფაქტი, ე. ი. კონტაქტი. შესაძლებელია, ჩემი მსჯელობა ერთგვარად სცილდება ჩვენთვის ჩვეულ წარმოდგენებს, სათანადოდ არ შეესატყვისება ფუნდამენტურ ცოდნას, საყოველთაოდ აღიარებულ ლოგიკის კანონებს, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ მათ მიღმა შეიძლება მოისინჯოს კონტაქტის რეალური კონტურები.

წარმოსთქვა თუ არ ეს სიტყვები, გივი ოძელმა შევება იგრძნო. დაძაბულობა სადღაც გაქრა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, უხერხულად ხანგრძლივი.

— გივი ოძელო, თქვენ თავისუფალი ხართ... — წარმოსთქვა ბოლოს კომისიის თავმჯდომარემ.

„ჩავიჭერი“, — გაუელვა თავში გივის და არეულნი
ნაბიჯებით ოთახიდან გავიდა.

რაზე ჰქონდათ საუბარი კომისიის წევრებს, ეს საი-
ღუმლოებად დარჩა, ხოლო მომავალი კოსმონავტის გა-
კვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც შეიტყო, რომ
კონტაქტების თეორიაში დადებითი ნიშანი დაუწერეს.

სწორედ ეს ამბავი გაახსენდა უნებურად ვარსკვლავ-
მფრენის პირველი კლასის მფრინავს გივი ოძელს მაშინ,
როდესაც კოსმოდრომზე სასწრაფოდ გამოიძახეს და
პლანეტა გაგარინზე ერთი მგზავრის წაყვანა დაავალეს.
ეს ადამიანი ლეონიდ მიგაი გახლდათ.

გივი ოძელი ხშირად იყო ნამყოფი გაგარინზე —
ვარსკვლავ კაპელას მეხუთე პლანეტაზე. იგი შუალე-
დურ კოსმოსურ სადგურს წარმოადგენდა. შორს მიმა-
ვალი ხომალდები, რომლებიც გალაქტიკის ამ სექტორში
მოხვდებოდნენ, აუცილებლად უნდა დამჯდარიყვნენ
მასზე პროფილაქტიკური შემოწმებისთვის. საჭიროების
შემთხვევაში გაგარინის სახელოსნოები ყოველგვარ შე-
კეთებას აწარმოებდნენ. მანძილი დედამიწიდან არც ისე
შორი იყო — სულ რაღაც ორმოცდაექვსი სინათლის
წელიწადი და ამ ტრასაზე ლაინერების გამოცდა საჭირო
იყო იმისთვის, რომ მათ შემდგომ შეუფერხებლად გა-
დაესერათ უსასრულო სივრცეები. სხვაგან ისინი სა-
ფუძვლიან დახმარებას ვერსად მიიღებდნენ.

პირველი კლასის მფრინავი ნელა მიაბიჯებდა კოსმო-
დრომზე და იმაზე ფიქრობდა, თუ რას უნდა აეძულე-
ბინა პროფესორი ლეონიდ მიგაი, მიეტოვებინა აკადე-
მიის სიმყუდროვე და დედამიწის კომფორტი, ან რა



საქმე უნდა ჰქონოდა კონტაქტების თეორეტიკოსს გაგარინზე, რომელიც ისევეა გამოკვლეული, როგორც მისი სისტემის პლანეტები და იქაც არა მარტო უცხო ცივილიზაციის, არამედ პლანეტარული სიცოცხლის არავითარი ნიშანწყალიც კი არ არის.

უკნიდან ვილაცის აჩქარებული ფეხის ხმა შემოესმა და როცა მოიხედა, მაშინვე შეჩერდა. მას ლეონიდ მიგაი უახლოვდებოდა.

— გამარჯობა, გივი, უკმაყოფილო ხომ არა ხარ მგზავრით?

— რა ბრძანებაა. პროფესორ ლეონიდ მიგაის სტუმრობა აკადემიის ყველა ყოფილი მსმენელისთვის დიდი ბედნიერებაა, მით უმეტეს ჩემთვის... ერთი გასაგები მიზეზის გამო.

პროფესორმა გაურკვეველად რაღაც ჩაილაპარაკა და გივის მხარზე ხელი დაჰკრა, რაც თითქოს იმას ნიშნავდა, რომ ეს წვრილმანი რამ არის და არ ღირს მასზე ლაპარაკის გაგრძელებაო.

ვარსკვლავმფრენის ირგვლივ სპეციალისტები ფუსფუსებდნენ. მორიგე ინჟინერი გივის მიუახლოვდა და აცნობა, რომ ხომალდი უკვე გამზადებულია გასაფრენად. კოსმონავტმა მადლობა გადაუხადა მათ და ლეონიდ მიგაისთან ერთად გულთბილად გამოემშვიდობა.

საკმაო დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ვარსკვლავმფრენმა მარსის ორბიტა გადაჰკვეთა, მაგრამ პროფესორი თავისი კაიუტიდან არ გამოდიოდა. გივისაც უხერხულად ეჩვენებოდა მისი შეწყუბება. „იქნებ მოხუცი დაღლილია და ისვენებსო“, — ფიქრობდა იგი.

ის იყო კოსმონავტმა ხომალდის მართვა ავტომატურ რეჟიმზე გადაიყვანა და საუზმის თადარიგს შეეფუძღა, რომ კარები ფრთხილად გაიღო. რუბკაში პროფესორმა შემოჰყო თავი.

— შეიძლება, კაპიტანო?

— მობრძანდით, პატივცემულო ლეონიდ!

მივიმ სავარძელზე მოიკალათა. მიუხედავად ხანდაზმულობისა, იგი ყოჩაღად გამოიყურებოდა, სახეზე ერთ ნაოჭსაც ვერ შეამჩნევდით. გარეგნულად ყოფილ სპორტსმენს უფრო ჰგავდა, ვიდრე მეცნიერს. ნარინჯისფერი, წელში გამოყვანილი ქურთუკი უფრო აახალგაზრდავებდა და ჭაღარა თმები რომ არა, არც კი იფიქრებდით, რომ იგი სამოცდაათ წელს იყო მიტანებული. გვიმ უნებურად კოსმონავტის ტრადიციული წითელკანტებშემოვლებული ცისფერი კოსტიუმი ყველა ღილზე შეიბნია და მის პირდაპირ ჩამოჯდა.

— დამეწვიეთ საუზმეზე, — მიმართა თავის მგზავრს და შუბლზე გადმოყრილი გრუზა თმები გაისწორა.

— გმადლობთ, ჯერ არ მშია. თქვენ მიირთვით, მე კი საქმეზე მოგესაუბრებით. მაშ ასე. არ მიკვირს, თუ რატომ არ მაძლევთ შეკითხვებს. ვიცი, რომ ხასიათის სიმტკიცე, თავდაჭერილობა და მოთმინება აკადემიადამთავრებულებს სისხლში გაქვთ გამჯდარი...

— ახლა, როცა თქვენი ნებართვა მაქვს, შეიძლება გკითხოთ რამე?

— გადავიდეთ პირდაპირ პასუხებზე. მე ხომ კარგად მესმის, თუ რა გაინტერესებთ. ჯერ ერთი, უნდა გაცნობოთ, რომ თქვენი მისია მარტო ხომალდის კაპიტნობით

არ ამოიწურება, ისევე როგორც ჩემი — მგზავრის
მდგომარეობით.



— ნუთუ მართლა? უნდა მოგახსენოთ, რომ ეს პირველად მესმის, — გაიკვირვა გივიმ, — კოსმოსურ ცენტრში ჩემთვის სხვა არაფერი უთქვამთ გარდა იმისა, რომ ჩვეულებრივი სამგზავრო რეისი უნდა გამეკეთებინა.

— ამაში მე მიმიძღვის დანაშაული.

— როგორ?

— ჩემი თხოვნით თქვენთვის წინასწარ არაფერი უცნობებიათ, რადგან ის დახმარება, რასაც გივი ოძელისგან მოველი, მხოლოდ ნებაყოფლობითი შეიძლება ყოფილიყო და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰქონოდა დავალების ხასიათი.

— მაშასადამე, ნებაყოფლობით თანამშრომლობას მთავაზობთ. კეთილი, თანახმა გახლავართ. მაგრამ სიმართლე რომ ვითხრათ, თავს ცოტა უხერხულად ვგრძნობ. ვფიქრობ, კარგად მოგეხსენებათ ჩემი დამოკიდებულება იმ მეცნიერებისადმი, რომლის განვითარებასაც ამდენი ძალა და ენერგია შეაღიეთ.

— სწორედ ამიტომ. რადგანაც მთელს გალაქტიკაში ერთადერთი ადამიანი ხართ, რომელსაც არ ზწამს კონტაქტების თეორია, მხოლოდ თქვენ გამოდგებით საქმისათვის, რის გამოც კაპელაზე მივემართებით.

— მაინც არ მესმის, თუ რა დახმარება შემიძლია გაგიწიოთ.

— ახლავე აგიხსნით. როგორ მოიქცევით, ფრიად საპასუხისმგებლო საქმე რომ დაგავალონ?

— ვეცდები ისე მოვიმოქმედო, რომ რაც შეიძლება
ნაკლები შეცდომები დაეწვეს.



— აი, უნდა შევუდგე ერთ სერიოზულ გამოკვლევას და მინდა, თქვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, თავიდან ავიცილო მოსალოდნელი შეცდომები.

— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ მე რა შუაში ვარ?

— ერთგვარად ლაკმუსის ქალაქის როლი დაგეკისრებათ, კონტროლს გაუწევთ ჩემს საქმიანობას.

— ჰმ! ლაკმუსის ქალაქი... ასეთი შედარება გადაჭარბებულად მეჩვენება. უფრო ჭეშმარიტი იქნებოდა სკეპტიკოსი გეწოდებინეთ.

მიგაიმ გულიანად გაიცინა.

— გულახდილად უნდა გითხრათ, რომ აკადემიის დამთავრების შემდეგ დიდად არ შეცვლილხართ. მხედველობაში მაქვს თქვენი პირდაპირობა. აი, მაშინ კი გაუჩინე თავსამტვრევი სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წევრებს! — პროფესორი ერთ წუთს გაჩუმდა ფორთოხლის წვენი ჭიქაში დაისხა და ცოტა მოსვა, — სხვათაშორის, დადებითი ნიშანი კონტაქტების თეორიაში ჩემი წინადადებით დაგიწერეს. ამას იმიტომ კი არ გეუბნებით, რომ რაიმე დაგაყვედროთ, არა უბრალოდ მწამდა, რომ ეს იყო გარკვეული ავანსი იმისა, რომელიც შემდგომ გადაჭარბებით გაანაღდეთ. თქვენი გამოშვებიდან ერთადერთმა ვინ მოიპოვა ვარსკვლავმფრენის პირველი კლასის მფრინავის წოდება? გივი ოძელმა!

— მაინც რატომ დაინტერესდით გაგარინით? მოხდა იქ რაიმე თქვენთვის მნიშვნელოვანი?

— დიახ.

— ძნელად თუ დაიჭერებს ამას კაცი. ყველასათვის ცნობილია, რომ გაგარინზე დედამიწელთა გამოჩენამდე სიცოცხლე საერთოდ არ არსებობდა, რადგან ადრე მას ნახშირორქანგის ატმოსფერო ეკრა გარს და იქ ჩასულ კოლონისტებს ხანგრძლივი და დაძაბული შრომა დასჭირდათ, რომ სუნთქვისთვის გამოსადეგი ჰაერის პრობლემა გადაეჭრათ. ადამიანებმა დაამონტაჟეს გიგანტური მოწყობილობანი პლანეტის სხვადასხვა განედებზე და პირდაპირ მთის ქანებიდან ლებულობდნენ ატმოსფეროსთვის საჭირო ჟანგბადს. ხოლო მას შემდეგ, რაც დედამიწის მცენარეებით დაიფარა ხმელეთის უდიდესი მასივები, ჰაერის რეგენერაცია ჩვეულებრივი ციკლით წარიმართა და ხელოვნური ჟანგბადის გამომუშავება საჭირო აღარ გახდა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ თუ გაგარინზე არამიწიერი ცივილიზაციის რაიმე ნიმუშს გადაეყარა ვინმე, აქ რაღაც გაუგებრობა უნდა იყოს...

— არა, გივი, ის, რის გამოსარკვევადაც ჩვენ მივფრინავთ, გაგარინთან უშუალო კავშირი თითქმის არა აქვს.

— გასაოცარია, ამდენ ხანს რატომ არაფერი შევითქვე, თუკი პლანეტაზე რაღაც არაჩვეულებრივს წააწყყდნენ?

— ეს იმიტომ, რომ კოსმოსური ცენტრის განკარგულებით ცნობები ინფორმაციის წყაროებისთვის არ გადააუციათ გასავრცელებლად.

— რატომ? რას უნდა მივაწეროთ ამგვარი მოქმე-

დება? პირველად მესმის, რომ დედამიწის მოსახლეობას რაიმეს უმაღლედნენ...

— დამალვა რა შუაშია! მხოლოდ და მხოლოდ გაუგებარი ვითარება შეიქმნა, მეტი არაფერი. სანამ დაახლოებით მაინც ვერ გავერკვევოდით მასში, არავითარი აზრი არ ჰქონდა გახმაურებას.

— გაურკვეველი ვითარება ჩვენს ეპოქაში? — გაიკვირა გვიმ, — პროფესორო, ვფიქრობ, ეს მეტისმეტია.

ლეონიდ მიგაიმ გვიმს თვალეში ჩახედა და სიტყვების დამარცვლით წარმოთქვა:

— აბა, სხვანაირად რა უნდა ვუწოდოთ იმას, როდესაც ერთ მშვენიერ თუ არამშვენიერ დღეს გაგარინზე, ეშმაკმა უწყის საიდან, გამოჩნდა გიგანტური ცილინდრი. გამოჩნდაო, რომ ვამბობ, ამას ხატოვნად კი არ მოგახსენებთ, არამედ პირდაპირი აზრით. ესე იგი, ერთ ხანს არ იყო არაფერი და უცებ შემთხვევით იქ მოხვედრილ დამკვირებელთა თვალწინ აღიმართა ცილინდრის მოყვანილობის სხეული. შეუძლებელია, რომ იმ ადგილას მყოფ ადამიანებს, ყველას ერთდროულად ჰალუცინაცია დაწყებოდათ, რადგან სპეციალურად ჩატარებულმა საექიმო ექსპერტიზამ ასეთი რამ არ დაადასტურა. ყველაზე გასაოცარი კი ის იყო, რომ არც სეისმურ ხელსაწყოებს აღუნიშნავთ ნიადაგის ოდნავი შერყევაც კი და არც ზემგრძნობიარე რადარებს აღუბეჭდავთ რაიმე უცხო სხეულის შემოჭრა გაგარინის ატმოსფეროში. ერთი სიტყვით, ცილინდრის მოულოდნელი გამოჩენა პლანეტაზე ჩვენთვის ცნობილ ფიზიკურ კანონებს ეწინააღმდეგება.

— თუ მატერიალური სხეულის გამოჩენას არც კოს-
მოსთან და არც პლანეტის წიაღთან არავითარი კავშირი
არა აქვს, აბა, საიდან გამოეცხადათ იგი გაგარინელებს?..
უკაცრავად, მაგრამ ყოველივე ამას მეტაფიზიკის სუნი
უღის.

— ასეა თუ ისე, ფაქტი ჭიუტია. ის, რაც გითხარით,
სრული ჭეშმარიტებაა.

— მჯერა, პროფესორო, ალბათ, სარწმუნო ცნობები
გაგაჩნიათ და არ გედავებით, მაგრამ ერთი რამ მაკვირ-
ვებს: რას იტყვდნენ თავს დალოცვილები, თუ საიდან
აღმოჩნდა მათ თვალწინ ის ავბედითი ცილინდრი. ჯერ
გამოეკვლიათ და შემდეგ ყველაფერი ნათელი გახდე-
ბოდა.

— ეს რომ მათ შეძლებოდათ, მაშინ მე და თქვენ იქ
არ გავემგზავრებოდით.

— ძნელია კაცმა დაიჯეროს, რომ გაგარინელი სპე-
ციალისტები უძლური აღმოჩნდნენ შეესწავლათ უცხო
სხეული, — გვიმ ირონიულად ჩაიცინა, — გაგარინის
ტექნიკა დედამიწის შემდეგ უნიკალურია სამყაროში.
კაცობრიობის ათეული თაობების გენიამ შეჰქმნა იგი და
წარმოუდგენელია, რომ იქაურებმა ასეთ დიდ შესაძ-
ლებლობათა მიუხედავად ეს უბრალო ამოცანა ვერ გა-
დაწყვიტეს.

— სამწუხაროდ, ვერაფერს გახდნენ. ცილინდრის
გარშემო ისეთი განსაკუთრებული სიმძლავრის ველია
შექმნილი, რომ იგი პრაქტიკულად შეუვალია.

— თუ ნამდვილად ასეა, მაშინ ამ საქმეს, ალბათ,
ფიზიკოსები მიხედავენ. თქვენ რატომღა შეგაწუხეს?

— ცილინდრი რაღაც სიგნალებს იძლევა. ეჭვი არ არის, რომ მასში ცოცხალი არსებები იმყოფებიან.

— სიგნალებს? აკი ველის მიერ შექმნილი ბარიერა გადაულახავიაო.

— მართალია, არც ელექტრომაგნიტურ და აკუსტიკურ ტალღებს, არც ლაზერსა და გამაგამოსხივებებს, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით ყოვლისშემძლე ნეიტრონების ნაკადსაც კი არ ძალუძს ცილინდრში შეღწეოს, მაგრამ, საბედნიეროდ, სიგნალები მხედველობით აღიქვება, რადგან ველი გამჭვირვალეა.

— ეტყობა ცილინდრის ბინადრებმა კარგად იცნათ თავიანთი ველის ხასიათი, რომ იგი ჯიუტი და მიუკარგებელია და ამის გამო კავშირის ისეთ საშუალებას მიმართეს, რომელიც ამგვარ ვითარებაში ყველაზე უფრო რაციონალური იყო. მაინც რა სახის სიგნალებია, პროფესორო?

— სხვადასხვა ინტენსიობისა და სიხშირის შემცველი სინათლის იმპულსები, გარკვეული ინტერვალებით გაგარინელებმა ვერაფერი გაიგეს.

— ის მაინც გააკეთეს, რომ მათი ფიქსაცია მოეხდინათ?

— რა თქმა უნდა, სპეციალური აპარატურა გამუდმებით იწერს შექნიშნებს.

კოსმონავტი და პროფესორი გარინდებული ისხდნენ ერთმანეთის პირდაპირ. ორივეს ფიქრები ისევ და ისე საიდუმლო ცილინდრს დასტრიალებდა, როგორც ღამის პეპლების გროვა ანთებულ სანთელს...

— პატივცემულო ლეონიდ, მაინტერესებს რა

რისა ბრძანდებით, რაზე მიგანიშნებთ ეს მოვლენა? —
შეეკითხა გივი.

— უეჭველად არამიწიერი ცივილიზაციის გამოვლი-
ნებასთან გვაქვს საქმე. როგორც იქნა მოვესწარი ამ
ბედნიერ დღეს. უცხოპლანეტელებთან კონტაქტის სა-
ნატრელმა ზარმა დარეკა. ვერ წარმოიდგენ გივი, რო-
გორ ვღელავ, ვფიქრობ, უფრო მეტად, ვიდრე თქვენ
სახელმწიფო გამოცდებზე.

კოსმოდრომზე მათ თვით გლებ ტოლსკი, გაგარინის
სადგურის უფროსი დახვდათ თავისი ორი თანაშემწის
თანხლებით. გვიმ თავი ოდნავ უხერხულადაც კი იგრ-
ძნო, როდესაც ათვისებული კოსმოსის ყველა კუთხეში
ცნობილი ადამიანი მათ შესაგებებლად გამოემართა. მის
ცხოვრებაში ეს პირველი შემთხვევა იყო. წინა, ჩვეუ-
ლებრივი რეისების დროს, ზოგჯერ მოწიწებით თუ შეა-
ღებდა ხოლმე მისი კაბინეტის კარს. ახლა კი ასეთი
პატივი...

კაპელას სხივებით გარუჯულ გლებ ტოლსკის სახეზე
თაფლისფერი თვალეები თითქოს მშობლიურ ყვითელ
მზის შუქს აფრქვევდნენ. მან გივის ღიმილით ჩამოართ-
ვა ხელი და დაკვირვებით შეათვალიერა იქვე მდგომი
პროფესორი.

— ეს ლეონიდ შიგაი გახლავთ, — გააცნო კაპიტანმა
თავისი თანამგზავრი.

— მოუთმენლად გელოდით, პროფესორო, — უთხ-
რა გლებმა, — მაგრამ დიდად ვწუხვარ, რომ ცოტა და-
აგვიანეთ!

— დავაგვიანე?

— ნამდვილად. ცილინდრი, რომლის გულისთვისაც გვეახლეთ, ისევე უცნაურად გაუჩინარდა, როგორც გამოჩნდა.

მიგაის ხმა არ ამოუღია. მხოლოდ გულდაწყვეტით ჩაიქნია ხელი და მასპინძლების თანხლებით ვერცხლისფერი ელექტრომობილისკენ გაემართა, რომელიც იქვე იცდიდა. ერთი საათის შემდეგ ისინი უკვე პლანეტის მთავარი ქალაქის — გაგარინგრადის ქუჩებში მისრიალებდნენ. როდესაც ბაცი ვარდისფერი შენობის წინ შეჩერდნენ, გივის გაახსენდა, რომ მასში კოსმოსის ამ სექტორის მეცნიერული კვლევის ცენტრი იყო მოთავსებული. ლიფტიდან გამოსვლისას ლეონიდ მიგაიმ გლებ ტოლსკის გადაულაპარაკა:

— კარგი იქნებოდა ის ადგილი მაინც დამეთვალყურებინა, სადაც ცილინდრი იმყოფებოდა.

— ამას შემდეგაც მოასწრებთ. მხოლოდ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ შეიძლება ეს არც იყოს საჭირო.

— რატომ?

— უცხო სხეულს არავითარი კვალი არ დაუტოვებია. თითქოს იქ არაფერი ყოფილაო.

ოვალისებურ კონფერენცდარბაზში ხალხმრავლობა იყო. ეტყობოდა, რომ შეკრებილებმა უკვე იცოდნენ დედამიწიდან ხომალდის მოფრენის ამბავი. როდესაც ლეონიდ მიგაისა და გივი ოძელის თანხლებით გლებ ტოლსკი გამოჩნდა, მან იქ დამსწრეთ მიმართა:

— მეგობრებო, უკვე იცით, რომ გივი ოძელმა ეს-ეს არის პროფესორი ლეონიდ მიგაი ჩამოიყვანა დედაპლანეტიდან და იგი თქვენს წინაშეა. რადგანაც მას ეფემე-

რული ცილინდრი ადგილზე აღარ დახვდა, ისღა დაგვრჩენია, რომ გავაცნოთ ჩვენი კვლევის შედეგები, გაკეთებაც მოვასწარიტ, თუმცა, კაცმა რომ თქვას, დასაკვები ბევრი არაფერი გვაქვს. დასასრულ კი ვუჩვენოთ სიგნალების ვიდეოჩანაწერები.

არც ასტრონომებსა და არც ფიზიკოსებს ახალი არაფერი უთქვამთ. რაც მთავარია, ვერ დაადგინეს ველის ხასიათი. მეცნიერთა ერთსულოვანი აზრით, ისინი წააწყდნენ უნიკალურ შემთხვევას — აბსოლუტურად გამოუცნობი აგებულობის სტრუქტურას, რომლის ანალოგი არათუ ბუნებაშიც არ მოიძებნება, არამედ მისი თეორიულად გააზრებაც კი კაცობრიობის ცოდნის თანამედროვე დონისთვის მიუღწეველია.

გივი ფანჯარასთან ახლოს იჯდა და ცალი თვალით ქალაქს გადაჰყურებდა. „ღირდა კი ამ ზღაპრის მოსმენისთვის ამხელა გზის გამოვლა?“ — ფიქრობდა იგი. ალბათ, ასეთივე აზრები უტრიალებდა პროფესორ მიგასაც, რადგან მისი ენთუზიაზმი საბოლოოდ ჩაქრა და მოწყენილი სახით უსმენდა სპეციალისტებს.

პირობის თანახმად ბოლოს ეკრანი ჩართეს და გამოჩნდა სიგნალების ვიდეოჩანაწერები. თავდაპირველად გივი სრულიად უინტერესოდ უმზერდა, თუ როგორ ენაცვლებოდნენ ერთმანეთს სინათლის მოკლე და გრძელი იმპულსები. მერე ისევ ქუჩას გახედა და მოპირდაპირე მხარეს აღმართულ სახლს დაუწყო თვალთვალი. როცა ისევ ეკრანს დააკვირდა, გონებაში რაღაც აზრმა გაუელვა, გველნაკბენივით ადგილიდან წამოხტა.

— ოპერატორო! — შეპყვირა მან, — გთხოვთ, თავიდან გვიჩვენოთ ჩანაწერი.

კონფერენცდარბაზში სიჩუმე სუფევდა და კოსმონავტის ხმა ისე გაისმა, თითქოს მეხი გავარდაო. ეკრანი ჩაქრა.

— რა მოხდა, გივი? — ჰკითხა ლეონიდ მიგაიმ, — გარკვეით რაიმე უცხოპლანეტელთა ქაოტურ შუქნიშნებში?

— თუ ეს მართლაც არამიწიერი ცივილიზაციის ნობათია, სანუგეშოს ვერაფერს გეტყვით. მაგრამ თუკი... ერთი სიტყვით, თავიდან გაუშვით ფირი და ერთ ცდას ჩავატარებ. ვნახოთ რას მოგვიტანს.

გივიმ ქალაღდის ფურცელი დაიდო წინ და ავტოკალამი მოიმარჯვა. ეკრანზე კვლავ გამოჩნდა სინათლის სიგნალები. ყველა იქ მყოფი დაძაბულად მისჩერებოდა კოსმონავტს, რომელიც გაფაციცებით რალაცას ინიშნავდა. გავიდა ნახევარ საათზე ცოტა მეტი.

— გამორთეთ ეკრანი! — წამოიძახა გივიმ, — მეტი აღარაა საჭირო, იმპულსების ციკლი ზუსტად მეორდება.

გივი ოძელმა რალაც ნიშნებით აჭრელებული ქალაღდი ხელში აიღო, თავიდან ბოლომდე გულდასმით გადაათვალიერა ჩანაწერი, შემდეგ კი ნელი ხმით დაიწყო კითხვა:

„ძვირფასო წინაპრებო, სალამს გითვლით თქვენი შორეული შთამომავლობა. კაცობრიობას ყოველთვის აღელვებდა აზრი დროში მოგზაურობის შესახებ. ეს პრობლემა მხოლოდ ახლა გადაწყდა და გამოვავზავნეთ პირველი საცდელი ექსპედიცია. გაუთვალისწინებელი



მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად, უსაფრთხოების მიზნით ჯერჯერობით დედამიწის მაგიერ შევარჩიეთ პლანეტა გაგარინი. კარგად ვიცით, რომ თქვენს დროში იგი უკვე დასახლებული იყო. ალბათ, გიკვირთ, თუ რატომ არ შევხვდით ერთმანეთს. ეს ამ ეტაპზე შეუძლებელია. ველი, რომელიც ცილინდრის გარშემოა შექმნილი, წარმოადგენს სტრუქტურაშეცვლილ გამრუდებულ სივრცეს, რომლის გარეშეც შეუძლებელია დროში მოგზაურობა. იგი რომ გამოგვერთოთ თქვენთან კონტაქტის დასამყარებლად, ჩვენს ეპოქაში ველარ დავბრუნდებოდით, რადგან ასეთი ველის წარმოქმნას უაღრესად დიდი ენერგია სჭირდება, ხოლო მისი მარაგი კი გაგარინზე არ გვეგულება. ჩვენი შემწეობით შეიძლებოდა ამ უბრალო საქმის მოგვარება, მაგრამ ეს გამორიცხებულია. სამწუხაროდ, უფლება არა გვაქვს გაგიზიაროთ ჩვენი ტექნიკის მიღწევები იმის გამო, რომ პარადოქსის წარმოშობის საშიშროება შეიქმნებოდა, დაირღვეოდა მომავლის ბუნებრივი სტრუქტურა, რაც გამოიწვევდა გაუთვალისწინებელ ცვლილებებს კაცობრიობის განვითარებაში. ასეთი პერსპექტივა კი სრულიად არაა სასურველი. ამგვარად, დროში მოგზაურობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა აბსოლუტური ჩაურევლობაა წინაპართა საქმეებში. იგი კანონის რანგში აყვანილ ჩვენს ეთიკურ ნორმას წარმოადგენს, რომლის დარღვევა ყოველად დაუშვებელია. ერთადერთი მიზანი, რაც გვამოძრავებს, წარსულის შესწავლაა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დახმარების ხელს გამოგვიწვდით, თუმცა რაა დასამალი, რეალურად სამაგიეროს ვერაფერს ვერ მიიღებთ მორალუ-



რი კმაყოფილების გარდა, რომ თქვენს მომავალ-
ბებს რაღაცაში დასჭირდათ. როგორ განხორციელდება
კონტაქტი? ცილინდრისებურმა დანადგარმა, რომლის
შემწეობითაც გაგარინზე გესტუმრეთ, შესაბამი ველის
ხელახლა შექმნისთვის დაახლოებით უნდა დახარჯოს
ხუთჯერ მეტი ელექტროენერგია, რასაც ახლა მთლიანად
მთელი პლანეტის ენერგოსისტემები გამოიმუშავენ.
ჩვენ ვითვალისწინებთ თქვენი ცოდნის დონეს და მიგ-
ვაჩნია, რომ ძნელი არ არის ხუთი წლის განმავლობაში
მათი სიმძლავრე საჭირო ოდენობამდე გაზარდოთ და
ჩვენც მხოლოდ ამის შემდეგ გეწვევით. ნახვამდის. მო-
მავალ შეხვედრამდე. თქვენი შთამომავლები“.

კონფერენცდარბაზში მყოფი ადამიანები, რომელ-
თათვისაც კარგა ხანია, უცხო იყო გაკვირვების გრძნო-
ბა, ვაოცებისგან ქვის ქანდაკებებს დაემსგავსნენ. და-
ძაბულობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და უცებ...
თითქოს გრივალმა გადაუარა ოთახსო. ალბათ, ორი გა-
ლაქტიკის შეჯახება არ გამოიწვევდა ისეთ რეაქციას,
როგორიც შთამომავალთა ბარათმა მოახდინა დამსწრე-
ებზე. ხმაურისა და გუგუნისგან ფანჯრის მინებმაც კი
ზრიალი დაიწყო. ვინ იცის რამდენ ხანს გასტანდა ხალ-
ხის მღელვარება, რომ გლებ ტოლსკის არ განემუხტა
ატმოსფერო. საკმარისი იყო იგი ფეხზე წამომდგარიყო,
რომ წონასწორობა დარბაზში თანდათან აღდგა.

— გვივი, — გაისმა პროფესორის ხმა, — თუ ყოვე-
ლივე ეს მისტიფიკაცია ან ხუმრობა არ არის, იქნებ აგ-
ვისხნა, როგორ გაშიფრე შუქნიშნები?

— სრულიად უბრალოდ. კოსმონავტიკის აკადემიაში

ჯერ კიდევ მეორე კურსზე დავეუფლეთ როგორც თანამედროვე, ისე არქაული კავშირგაბმულობის საშუალებებს. სწორედ ერთ-ერთი მათგანი გამოიყენეს დროში მოგზაურებმა.

— რომელი?

— მორზეს ანბანი. იგი სპეციალურად იმიტომ შეგვასწავლეს, რომ ზოგიერთი პლანეტის ატმოსფერო უაღრესად ინტენსიურად არის გაქლენთილი ელექტრობით, რის გამოც ნებისმიერი მოდულაციის ელექტრომაგნიტური ტალღები მასში უძლურია. ასეთ შემთხვევაში კავშირგაბმულობის საშუალებად ან კაბელი იხმარება, ანდა სინათლის იმპულსები, ისეთები, როგორიც სულ ახლახან ეკრანზე ნახეთ.

— მაშასადამე, შორეულ შთამომავლობას არა მართო ეხსომება მორზეს ანბანი, როგორც ისტორიული რელიკვია, არამედ პრაქტიკაშიც კი გამოიყენებს. აი, გამძლეობაც ამას ჰქვია! — გაიოცა გლებ ტოლსკიმ.

— საკითხავი მხოლოდ ის არის, — ჩაერია საუბარში ლეონიდ მიგაი, — გავუგებდით მათ თუ არა?

— ვფიქრობ, მათ კარგად ესმოდათ, რომ საამისოდ გარკვეული დრო დაგვჭირდებოდა. შემთხვევითი როდი იყო, რომ ყოველ ნახევარ საათში თავიდან იმეორებდნენ ტექსტს მთელი ათი დღის განმავლობაში. უეჭველად დარწმუნებულები იყვნენ ჩვენს მოსაზრებულობაში, — მიუგო გლებ ტოლსკიმ და კოსმონავტს გადახედა.

პროფესორმა კვერი დაუკრა.

— თურმე ტყუილ-უბრალოდ ვიმტკრევდით თავს. პრობლემა კი რა მარტივი გადასაწყვეტი ყოფილა. მხო-

ლოდ და მხოლოდ ჩვენს შთამომავლებთან არ გვექნია
საქმე! ისინი რომ ბოლომდე უცხოპლანეტელებად მი-
გვეჩნია, გარდუვალად მარცხი მოგვივიდოდა.

— ალბათ, ნამდვილად ეს დაგვემართებოდა, ჩვენდა
საბედნიეროდ აქ რომ არ ყოფილიყო კაპიტანი გივი
ოძელი, — თქვა გლებ ტოლსკიმ.

— ანდა კოსმონავტიკის აკადემიის რომელიმე უფ-
როსკურსელი, — ღიმილით დაუმატა გივი.

მეორე დღეს, როდესაც გივი ოძელმა ვარსკვლავ-
მფრენი კაპელას გრავიტაციული ველიდან გამოიყვანა
და კურსი დედამიწისკენ აიღო, ლეონიდ მიგაიმ უთხრა:

— ჩვენი მისია, მართალია, წარმატებით დაგვირ-
გვინდა, მაგრამ გულში ერთი რამ მაინც ხინჯად მაქვს
დარჩენილი.

— ვგონებ, რომ უყურადღებოდ არაფერი დაგვი-
ტოვებია, გავაკეთეთ ის, რისი ვაკეთებაც კი შეიძლე-
ბოდა...

— არა, სულ სხვა მაქვს მხედველობაში, ჩემო
ძვირფასო ნამოწაფარო. გულწრფელად ვნანობ, რომ
სახელმწიფო გამოცდებზე კონტაქტების თეორიაში
უმაღლესი ნიშანი არ დაგიწერეთ. ამას ვერასოდეს ვერ
ვაპატიებ ჩემს თავს.

ჯადოსნური გვერები

გივი ოძელი დიდად არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული მუსიკალური სმენით. უფრო მართებული კი იყო გვეთქვა, რომ საერთოდ არ გააჩნდა იგი. თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც ბუნებას ამ ღირსებით არ დაუჭილდობენ, მაგრამ მუსიკის შინაგანი შეგრძნების, თუ გნებავთ, მისი აღქმის შესანიშნავ უნარს ამყლავნებენ. სამწუხაროდ, ისინი ვერასოდეს ვერ გამოთქვამენ და ვერ გადმოგცემენ იმას, რასაც მუსიკის მოსმენისას განიცდიან, ოღონდ უნდა ითქვას, რომ თავისებურად ესმით იგი და ხშირად უფრო მეტ ესთეტიკურ ტკბობას გრძობენ, ვიდრე თვით მუსიკოსები.

ამ მხრივ ფრიად კოლორიტულია ჯეკ ლონდონის ერთ-ერთი რომანის გმირი მარტინ იდენი, რომელმაც როდესაც თავის სიცოცხლეში პირველად მოისმინა პიანისტის დაკვრა, მასზე ისეთი დიდი ზეგავლენა მოახდინა, რომ ასოციაციათა მთელი წყება აღუძრა. უთუოდ სწორი იყო მარტინ იდენის შენიშვნა დამსწრე საზოგადოების მიმართ, რომლის უმრავლესობა მართალია ნაზიარები იყო მუსიკალურ კულტურას, მაგრამ ამ ადამიანებს მხოლოდ გარეგნული აღტაცების გამოხატვის უნარი გააჩნდათ და

არა მუსიკის შინაგანი გაგებისა. მარტინ იდენს პიანისტის
დაკვრა უფრო მეტ ბედნიერებას ანიჭებდა სხვებთან შე-
დარებით, მიუხედავად იმისა, რომ, ალბათ, შესრულებუ-
ლი ნაწარმოების მისებური აღქმა არ შეესაბამებოდა
კომპოზიტორის ჩანაფიქრს.

ღიახ, იმას მოგახსენებდით, გივი ოძელს უყვარდა
მუსიკა, თუმცაღა ამ გრძნობას ჰქონდა რაღაც თავისე-
ბურება და ინდივიდუალობა. რა თქმა უნდა, მუსიკისად-
მი მისი ლტოლვა სავსებით არაპროფესიული, მაგრამ სა-
ბაგიეროდ უაღრესად ემოციური იყო. ერთი სიტყვით გი-
ვი ოძელს, მარტინ იდენისა არ იყოს, არც აინტერესებდა
რა ედო საფუძვლად კომპოზიტორის ქმნილებას, რა აზრი
იყო მასში ჩაქსოვილი. მისთვის მთავარი იყო ის, თუ რო-
გორ ზემოქმედებას ახდენდა ესა თუ ის ნაწარმოები მის
გრძნობებზე. ბუნებრივია, რომ ყოველივე ეს ერთგვა-
რად მეტყველებდა კოსმონავტის გარკვეულ დილექტან-
ტიზმზე მუსიკაში, მაგრამ გასაოცარი ის იყო, რომ იგი
არა მარტო გამოიცნობოდა ხოლმე, თუ რომელი კომპო-
ზიტორის რა ნაწარმოებს ასრულებდნენ, არამედ, თუ
საქმე ეხებოდა ვოკალს, შემსრულებლის პიროვნებასაც
კი. მას განსაკუთრებით უყვარდა ბეთჰოვენის ნაწარმოე-
ბები და მათ შორის კი ყველაზე მეტად მისი გმირული
სიმფონია, იმდენად, რომ ამ შესანიშნავ ქმნილებას ხში-
რად არა მარტო სახლში, დედამიწაზე უსმენდა ხოლმე,
არამედ ვარსკვლავმფრენის სამართავ კაბინაშიც კი, ხან-
გრძლივი მოგზაურობის დროს.

უწინდელ დროში, როდესაც გემი ნავსადგურს მიად-
გებოდა ხოლმე, იგი საყვირით ეგებებოდა მახლობელ



ნაპირს. კოსმონავტებსაც დასჩემდათ წინაპართა ეს ჩვეულება. მიწაზე დაჯდომისას თითოეული მათგანი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სალიუტს იძლეოდა. ხოლო გივი ოძელის სადარბაზო ბარათი ბეთჰოვენის გმირული სიმფონია იყო...

...და სწორედ ამ მუსიკამ შეასრულა გადამწყვეტი როლი ერთ-ერთი ვარსკვლავთშორისი რეისის დროს...

ხომალდზე, რომელსაც ვარსკვლავმფრენის პირველი კლასის მფრინავი გივი ოძელი მართავდა, იმყოფებოდნენ ვარსკვლავ კაპელას მეხუთე პლანეტის, გაგარინის — შუალედური კოსმოსური სადგურის უფროსი გლებ ტოლსკი და ასტროფიზიკოსი ჯონათან რიდი. ეს იყო სადაზვერვო გაფრენა. დედამიწის კოსმოსური ცენტრის გადაწყვეტილებით საჭირო იყო გაგარინის მსგავსი სადგურის აგება მზის სისტემიდან რამდენიმე ათეული პარსეკის დაშორებით, რადგან კოსმოსური ფლოტი დღითიდღე იზრდებოდა და ვარსკვლავმფრენები სულ უფრო ხშირად სერავდნენ უსასრულო სივრცეებს. პრაქტიკამ ადამიანები დაარწმუნა, რომ შორეული კოსმოსის ათვისება შეუძლებელი იყო ახალი საყრდენი ბაზის გარეშე. და სწორედ სამეცნიერო ექსპედიციის მიზანი იყო ამ საქმისათვის შესაფერი პლანეტის გამოძებნა ჯერ კიდევ შეუსწავლელ ვარსკვლავთა სისტემებში. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ ძიება ბრმად წარმართულიყო. დედამიწის მეცნიერებმა საკმაოდ ზუსტად განსაზღვრეს კოორდინატები — გემის ხერხემლის თანავარსკვლავედი.

— ვფიქრობ, პირველად ვარსკვლავი ალფა მოვისინჯოთ, — თქვა ჯონათან რიდმა, როდესაც ხომალდმა სი-

ნათლისახლო სისწრაფე საგრძნობლად შეანელებდა, რადგან უკვე თანავარსკვლავედს უახლოვდებოდნენ, — რას იტყვიოთ კოლეგებო?

გივი ოძელი და გლებ ტოლსკი დაეთანხმნენ ასტროფიზიკოსს, მით უმეტეს, რომ მან სავსებით დამაჯერებელი არგუმენტი წამოაყენა — მისი დაკვირვებით გემის ხერხემლის თანავარსკვლავედში ვარსკვლავ ალფას პლანეტათა სისტემა უფრო მრავალრიცხოვანი ჩანდა.

როგორც კი ელექტრონულ ტელესკოპში ალფას მოცულობა იმდენად გაიზარდა, რომ იგი თვალისმომჭრელად აკიაფდა, საჭირო გახდა სპეციალური სინათლის ფილტრების ჩართვა. გივი ოძელმა ვარსკვლავმფრენი მნათობის გარშემო წრიულ ორბიტაზე გაიყვანა. გლები და ჯონათანი თავაუღებლად მუშაობდნენ, ხელსაწყოთა მონაცემები ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანაში შეჰყავდათ და მოთმინებით უცდიდნენ პასუხებს. აღმოჩნდა, რომ ვარსკვლავ ალფას გარშემო თორმეტი პლანეტა ბრუნავდა. ორივემ სწრაფად დააზუსტა მათი ორბიტები და მასები, რის შემდეგ კაპიტანთან შევიდნენ სამართავ კაბინაში.

— ახლა უნდა გადავწყვიტოთ, თუ რომელი პლანეტა გამოიყურება უფრო პერსპექტულად კოსმოსური სადგურის აგების თვალსაზრისით, — თქვა ჯონათანმა, — საქმის გასაადვილებლად მათ რიგითი ნომრები მივაკუთვნოთ აქაური მნათობიდან დაშორებისდა მიხედვით.

— პირველი ოთხი პლანეტა, ჩემი აზრით, გამორიცხულია, — განაცხადა გლებ ტოლსკიმ.

— რატომ? — იკითხა გივიმ.

— თუ გავითვალისწინებთ ალფას ნათებას, რომელიც ჩვენი მზისას დაახლოებით ხუთიათას ოთხასჯერ აღემატება, ამ ოთხივე პლანეტაზე თითქმის ისეთივე შეუფერებელი პირობებია, როგორც მერკურზე.

— ასევე საეჭვოა ჩვენი მიზნებისთვის გამოდგეს ბოლო ხუთი პლანეტაც, — ჩაერია საუბარში ჯონათან რიდი, — ისინი ძალზე დაშორებული არიან ცენტრალური მნათობიდან და ესეც რომ არ იყოს, შათი კოლოსალური მასები ადამიანებს ნორმალური მუშაობის საშუალებას არ მისცემს. ჩვენი ორგანიზმი ძნელად თუ გაუძლებს იქ არსებულ გრავიტაციულ გადატვირთვას.

— მართალი ბრძანდებით, — დაემოწმა გლებ ტოლსკი, — მიზიდულობის ძალა მათზე დედამიწასთან შედარებით ოთხჯერ და ხუთჯერ მეტია.

— მაშასადამე, რჩება სამი პლანეტა — მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე, — დაასკვნა გივი ოძელმა.

— ამ სამიდან ერთი, სახელდობრ, მეშვიდე გამოუსადეგარია, რადგან მისი ზედაპირი მთლიანად წყლით არის დაფარული, თუმცა შესაძლებელია, რომ აქა-იქ ხმელეთის პატარა ნაგლეჯებიც იყოს კუნძულების სახით. ამიტომ იგი არ გვაწყობს, — განმარტა ასტროფიზიკოსმა, — ისლა დაგვრჩენია, რომ ყურადღება მივაპყროთ მეხუთე და მეექვსე პლანეტებს.

— მაშინ დავიწყოთ მეექვსეთი. ეს ჩვენთვის უფრო მოსახერხებელია, რადგან ტრასაზე ჯერ მას შევხვდებით. თუ იგი შეუფერებელი აღმოჩნდა, მაშინ მეხუთეს ვეწვევით. თანახმა ხართ? — მიმართა გივი ოძელმა ექსპედციის წევრებს.

— იყოს ჯერ მეექვსე, — ერთხმად დაუდასტურეს გლებმა და ჯონათანმა.

რამდენიმე საათის შემდეგ ვარსკვლავმფრენი არჩეული პლანეტის ხელოვნური თანამგზავრი გახდა. ეკიპაჟი მეთოდურად შეუდგა მის შესწავლას.

— ხომალდმა პლანეტის გარშემო დაიწყო ბრუნვა. ეტყობა მის გამოკვლევას აპირებენ.

— უცხო მიდგომის გონიერ არსებებთან შეხვედრა ყოველთვის გარკვეულ საფრთხესთან არის დაკავშირებული. ვინ არიან ისინი? რა სწადიათ? გალაქტიკის ამ განაპირა მხარეს ძირითადად ახალგაზრდა ვარსკვლავებია და უცნაურია, რომ აქ უკვე ცოცხალი ორგანიზებული მატერიის უმაღლესი ფორმა განვითარებულია.

— ფაქტი ფაქტად რჩება. შათი საფრენი აპარატი თავს დაგვტრიალებს. განა არ შეიძლება დავუშვათ, რომ ისინიც გალაქტიკის ეკვატორული სიბრტყის რომელიმე ჩვენთვის უცნობი სექტორიდან არიან, ასე ვთქვათ, მეზობლები, რომლებთანაც რაღაც შემთხვევის გამო ჯერ კონტაქტი არ დაგვიმყარებია.

— შეუძლებელია.

— რატომ გგონიათ?

— შექველია, რომ ახალგაზრდა ცივილიზაციასთან გვაქვს საქმე და არა ხანდაზმულთან, როგორც ჩვენია. თუკი მეზობლები არიან, მათი კულტურის განვითარების დონე რამდენიმე მილიონი წლით მაინც უნდა გა-

ნისაზღვრებოდეს. უცნობთა ცივილიზაციის ასაკი კი არა მგონია ორიოდ ანუ ასეულ ათას წელს აჭარბებდეს. მათი ხომალდი მხოლოდ ჩვეულებრივ სივრცეში მოძრაობს. მათთვის, ეტყობა, ცნობილი არ უნდა იყოს ზესივრცეში მოგზაურობა. თუმცა ჩანს, რომ საკმაო სიჩქარეს ავითარებენ. მათ ძალუძთ მხოლოდ მახლობელი კოსმოსის ათვისება. სფერული სისტემები, საიდანაც ჩვენ ვართ, მათთვის მიუღწეველია.

— მაშინ რაღა გაეჭვებთ? ჩვენს სამშობლოს არავითარი საშიშროება არ მოელის, თუნდაც რომ ეს გონიერი არსებანი ჰუმანოიდები არ იყვნენ.

— მაგრამ აქაური მნათობის მეხუთე პლანეტაზე ახლახან დაარსებული ბაზა? იგი მათთვის ადვილად მისაწვდომია. ხომ ხედავ, გრანდიოზული პროექტი გალაქტიკათაშორისი ხიდის შექმნისა, რასაც ასეული წლების განმავლობაში თანამემამულეთა ძალა და ენერგია, უამრავი მატერიალური რესურსები მოხმარდა, რეალური საფრთხის წინაშეა. უკვე ავაგეთ ათი შუალედური სადგური და უკანასკნელი მეთერთმეტელა დაგვრჩა, რომ უახლოეს გალაქტიკას ვესტუმროთ და ამ დროს კი ასეთ გაუთვალისწინებელ ვითარებას წავაწყდით.

— ჩვენმა მეცნიერებმა ყველაფერი წინასწარ განსაზღვრეს და გაიანგარიშეს, რათა მოეგვარებინათ რეგულარული მიმოსვლა მშობლიურ პლანეტასა და მეზობელ გალაქტიკას შორის, მაგრამ თურმე მათაც გამორჩათ რაღაც და ახლა გადაუწყვეტელი პრობლემის წინაშე აღმოჩნდით.

— ყოველ შემთხვევაში გავაფრთხილოთ ჩვენიანები

ბაზაში. ხოლო აქ დროებითი სადგური მეზონური ეკლესიით დავფაროთ. უცნობთა ხელსაწყოები მათ ვერ აღმოაჩინენ. სასწრაფოდ უნდა დავაბრუნოთ მოძრაობის აქტიური ლაბორატორიები, რომელთა შემწეობითაც ამ პლანეტას ვიკვლევდით. ხოლო ჩვენ კი ჩავსხდეთ ხომალდში და უკან გამოვედევნოთ, კონტროლი დავაწესოთ თითოეულ მათ აქციაზე, რათა შესაფერი ზომები დროულად მივიღოთ.

— ღირს კია ასეთი ექსტრაორდინარული ღონისძიებების განხორციელება? ისინი ხომ განვითარების ღონის მიხედვით მნიშვნელოვნად ჩამოგვრჩებიან. იქნებ გამოვნახოთ საერთო ენა?

— რისკის გაწევა უგუნურება იქნებოდა. ტრანსგალაქტიკურ ხიდს უნდა ავაცილოთ ყოველგვარი ჰიპოთეზური საფრთხეც კი.

როდესაც გივი ოძელმა ვარსკვლავმფრენი მეექვსე პლანეტის ეკვატორის სიახლოვეს დასვა და ძრავები გამორთო, შორიახლო მეორე ხომალდიც დაეშვა, რომლიდანაც სკაფანდრებში ჩაცმული ორი არსება გამოვიდა. მათ ხელში ანჰილაციური აპარატები ეჭირათ. გაუზომლად დიდი იყო ამ ხელსაწყოთა ძლიერება — ნებისმიერ მატერიალურ სხეულს ფოტონების ნაკადად აქცევდნენ, ერთ წამში ისე გააუჩინარებდნენ, თითქოს იგი არც კი ყოფილაო. სკაფანდროსნები ახლო-მახლო ჩასაფრდნენ და დაუწყეს ცდა, თუ რას მოიმოქმედებდნენ უცხონი.



ამ დროს გივი ოძელმა, რომელიც არასოდეს არ დალატობდა თავის ჩვეულებას, მთელი ძალით საყვარელი მელოდია. მეექვსე პლანეტის მკვრივ ატმოსფეროში მკვეთრად გაისმა ბეთპოვენის გმირული სიმფონიის განუმეორებელი აკორდები.

— მუსიკა! მუსიკა! — ალტაცებით წამოიძახა პირველმა.

— თანაც რა დიდებული და ბრწყინვალე ტონალობისა, ღვთაებრივად მელოდიური, — დაუდასტურა მეორემ.

— ვფიცავ გალაქტიკის მზეებს, მისი შემქმნელი ცოცხალი არსებანი წარმოუდგენელია ბოროტნი იყვნენ.

— ოღონდაც. აბა ყური დაუგდეთ, რას მოგვითხრობს ეს ჯადოსნური ბგერები...

— ისინი გვეუბნებიან, რომ დიდია გონების ძალა და იგი უნივერსალურია მთელს სამყაროში, რომ გონიერი არსებები თავდავიწყებით ერკინებიან ბუნების შავბნელ ძალებს. ეს ბრძოლა ხანგრძლივი და დაძაბულია, მაგრამ სინათლე და სიმართლე იმარჯვებს წყვედიადსა და უმეცრებაზე, სიცოცხლე სიკვდილზე.

— ბევრი მუსიკალური ნაწარმოები მაქვს მოსმენილი, მაგრამ მსგავსი რამ ჯერ არ გამიგონია. რა გენიამ შექმნა იგი? ეს მუსიკა კი არა, რალაც საოცრებაა, რომელიც მთლიანად და განუყოფლად შენს არსებას ეუფლება, გამაღლებს და გაკეთილშობილებს, ძალებს გმატებს და მიზნის მისაღწევად არავეითარი დაბრკოლება არ გაშინებს...

— იგი უდაოდ იმსახურებს იმას, რომ მთელი გალაქ-

ტიკის, მასში შემავალი უკლებლივ ყველა პლანეტათა
სისტემის ჰიმნად იქცეს. და ვინ იცის, განა მარტო ჩვენი
გალაქტიკისა?

— ჩვენ ძალგვიძს და კიდევ უნდა შევძლოთ, რათა
ეს ჩინებული აზრი რეალობად ვაქციოთ.

ორმა სკაფანდროსანმა შორს გადაისროლა ანჰილა-
ტორები და თამამად გაემართნენ უცნობი ვარსკვლავ-
მფრენისკენ. კარგა ხანია დადუმდა ხმამაღლა მოლაპარა-
კე, მაგრამ უცხოპლანეტელთა გონებაში ისევ უღერდა
დედამიწის უკვდავი ჰანგები.

როცა ლომი მსხვერპლს ველარ ჭხამოვს

ოთახში გარკვევით ისმოდა, თუ როგორ ზუზუნებდა გარეთ ქარი, ხოლო წვიმის უხაპუნი კი, დროდადრო, გაბმულ ერთფეროვან მელოდიას წააგავდა. გარკვევით ისმოდა აგრეთვე, თუ როგორ ტიკტიკებდა ბრინჯაოს ჩუქურთმებში ჩასმული ძველებური საათი. ორივენი გაფითრებულები ისხდნენ ერთმანეთის გვერდით, საკუთარ ფიქრებში გართულნი.

— იცი, რა აზრმა გამიელვა? — ხმადაბლა ჰკითხა ვაჟმა და ქალისკენ დაიხარა, — როდის გნახავ კიდევ... თუმცა კი უადგილოდ მეჩვენება ამაზე ლაპარაკი.

— ნუთუ აუცილებელია შენი წასვლა, იქნებ დარჩე?

— არ წავიდე? განა ეს შესაძლებელია?

— უშენოდ ვერ გავძლებ ერთ წუთსაც.


— მეც...

— მაშ მინდა?

— მივდივარ.

ქარიშხალმა სიძლიერეს უმატა. თითქოს კედლებმაც კი ზანზარი დაიწყესო. ხანდახან ქარის მონოტონურ სიმფონიაში დისონანსად გაისმოდა ყრუ ქუხილი.

— რა ცუდი ამინდია ჩვენი განშორების ქაშა, —
ამოიოხრა ვაჟმა.



ქალს თვალები დაენისლა:

— როგორი უბედური ვარ, უშენოდ რას დაემსგავსება ჩემი ცხოვრება, — ხმა აუკანკალდა და ცრემლები წასკდა.

— ნუ სტირი, გენაცვალე, — უთხრა ვაჟმა და ნამტირალევ თვალებში აკოცა.

გარეთ ძლიერად დაიქუხა. ოთახში სინათლე ჩაქრა. ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა.

— სული მეხუთება, — სუსტი ხმით თქვა ქალმა.

— მივიდეთ ფანჯარასთან.

ვაჟმა ხელი მოხვია, პატარა ბავშვივით აიტაცა იგი, ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა ფანჯარას და გამოაღო. ოთახში გრილი ქარი შემოიჭრა ფოთლების მძაფრ სურნელე-ბასთან ერთად. სადღაც წიგნი აიფურცლა, რაღაც გადმოვარდა და გატყდა. ქალმა ცოტა ხნით გაინთავისუფლა თავი ვაჟისაგან, ფანჯარა მიხურა, მერე შეშინებული ჩვილივით ისევ მიეკრა მას... და ასე იდგნენ ისინი დიდხანს ლოყა ლოყაზე მიდებულნი.

იელვა. ერთი წამით გამოჩნდა ნიაღვრებად ქცეული ქუჩა და მარტოდ მიმავალი გამვლელი. დაიქუხა. ქალმა თვალები დახუჭა.

— ქუხს, — თქვა ვაჟმა.

— გიყვარს ქუხილი?

— მიყვარს. უენ?

— მე არა. რატომ გიყვარს ქუხილი?



— იმიტომ რომ მიყვარს, იმიტომ რომ ქუხილია. გად არც კი ვიცი რატომ. შენ რა, გეშინია ქუხილის? — მეშინია.

— ახლაც გეშინია?

— ახლა არა, რადგან შენ ჩემთან ხარ.

— მე რომ არ ვიქნები, შეგეშინდება?

— შემეშინდება, — და ქალი ისევ ატირდა.

გარედან ელექტრომობილის საყვირის გაბმული ხმა მოისმა.

— შენს წასაყვანად მოვიდნენ...

— ლომმა დაიღმუვლა, თავის მსხვერპლს უხმობს. ლომი დროა, ჩვენ კი მისი ზვარაკნი.

— რა იქნებოდა, რომ მეც შენთან ერთად წამოვსულიყავი? მაშინ დრო აღარ ჩადგებოდა ჩვენს შორის შავი ურჩხულივით.

— კარგად იცი, რომ ეგ შეუძლებელია. შენ ხომ ბავშვს ელოდები. შორეულ მგზავრობას ვერ გადაიტან.

— სამაგიეროდ შენთან ვიქნები. რაც მომივა, მომივიდეს.

— უნდა ვიფიქროთ იმაზე ვინც უნდა გაჩნდეს და ქვეყანას მოევლინოს, დედამიწის პატარა მოქალაქე. განა უფლება გვაქვს რაიმე საფრთხეში ჩავაგდოთ იგი?

— ასე დასრულდა ჩვენი სიყვარული... მაგრამ მაინც არაფერს ვნანობ.

— ჩვენ ერთმანეთი ახლაც გვიყვარს და მომავალშიც ასე იქნება. ამ გრძნობის შეცვლა არავითარ ძალას არ შეუძლია.

— მჯერა, რომ მუდამ გეყვარები. ოღონდ... ოღონდ...

როცა დაბრუნდები, ნუ მოისურვებ ჩემთან შეხვედრას...
დე, ჩვენი შვილი დაგხვდეს, მასთან იყავი. არ შემიძლია,
ველარ გნახავ. მინდა შენს მეხსიერებაში ისეთივე დავრ-
ჩე, როგორც ახლა მხედავ. წყეულიმც იყოს პატრიარქა-
ლური აინშტაინის პარადოქსი! მე ოცდაათი წლით დავ-
ბერდები, შენ კი შორეული კოსმოსური მოგზაურობის
შემდეგ ასეთივე ახალგაზრდა დარჩები...

*

კოსმოსის უძირობიდან მზის სისტემას უცხო ვარს-
კვლავების ცხელი სუნთქვით გარუჯული ხომალდი უახ-
ლოვდებოდა. კოსმონავტი სევდიანად უმზერდა ალმასის
ფხვნილივით მიმოზნეულ მნათობებს და გონებიდან არ
შორდებოდა სადღაც შორს დედამიწაზე დარჩენილი სა-
ყვარელი ადამიანის სახე. ისევ და ისევ ეცხადებოდა
განშორებისას გამოწვდილი პატარა ქალის ხელები. თით-
ქოს ხილულად გრძნობდა მათ სითბოსა და წარმოუდგე-
ნელ ძალას, რომელსაც ვერაფერი შეედრება ქვეყანა-
ზე. ვარსკვლავმფრენი თავბრუდამხვევი სიჩქარით მიჰ-
ქროდა უკიდვგანო სივრცეში, მაგრამ კოსმონავტის ფიქ-
რები უფრო სწრაფად მიემართებოდა მშობლიური დედა-
მიწისაკენ, სადაც ხელებგამოწვდილი ქალი დარჩა...

რა არ გადახდა თავს ამ ხნის განმავლობაში! მიუყა-
რებელ და პირქუშ პლანეტებზე იგერიებდა ათთავიანი
ურჩხულების, ასფეხა ქიმერების, ათასნაირი მტრული
ორგანიზმების შემოტევებს, რომლებიც ბრმა გაბორო-
ტებით თავს ესხმოდნენ ადამიანებს. განიცადა შიშისა



და სასოწარკვეთილებაც, სიხარულიცა და აღფრთოვანებაც. თავის ამხანაგებთან ერთად თავგამოდებით ებრძოდა დროსა და სივრცეს, რათა თანამემამულეთათვის ჩამოეტანა ახალი ცოდნა დიადი სამყაროს უფრო ღრმად შესაცნობად. მაგრამ სადაც არ უნდა ყოფილიყო და რა ფათერაკსაც არ უნდა გადაჰყოფდა, მისი გრძნობების მრავალფეროვან სპექტრში მუდამ კიაფობდა საყვარელი ადამიანის სახე, რომლის მაგიური ძალა დაღლილობისა თუ ნერვული დაძაბულების ქამს რაღაც უხილავ ენერგიას მატებდა. იქ მან ირწმუნა, რომ ადამიანის სულიერი წონასწორობისათვის ყველაზე უმნიშვნელოვანესი სიყვარულის გრძნობაა, რომ დაცარიელებული გულით კაცი ვერ გავა კოსმოსში. იმიტომ კი არა, რომ შეყვარებულს თითქოს ყველაფერი ვარდისფრად ეჩვენება, როგორც ეს ჩვეულებრივ მიწაზე მიაჩნიათ ხოლმე იმათ, ვინც მის სივრცეებს არ გასცილებია. რა გულუბრყვილობაა! ეს გრძნობა ადამიანს კოსმოსში უფრო სრულყოფილს ხდის, აცემენტებს მისი ხასიათის მთლიანობას. უფრო მეტიც, იგი სამშობლოს მოწყვეტილი კოსმონავტისთვის ცხოველყოფელი სასიცოცხლო ფუნქციაა...

...მაშასადამე, კოსმობორტში მეუღლე არ დახვდება, მხოლოდ შვილი. ვაჟია თუ ქალი? ვის უფრო გავს—მამას თუ დედას? კოსმონავტს გული აუჩქროლდა. რამდენი ხნის იქნება იგი? დაახლოებით ასე ოცდაათ წლამდე იქნება მიღწეული, ხოლო თვითონ კი... უცნაური და დაუჭერებელია, მაგრამ მხოლოდ ხუთი წლით უფროსი თუ იქნება მასზე.

ვარსკვლავმფრენი მიწაზე დაჯდა... ვერცხლისფერი კიბიდან ჩამოდინ ეკიპაჟის წევრები. ახლომდებარე მთ ჰკოცნიან, სიცილი და ცრემლები ერთმანეთში აირია... იგი ყველაზე ბოლოს ჩამოდის.

- აი, დამხედურთა ჯგუფს გამოეყო ახალგაზრდა ვაჟი, მაღალი, წარმოსადეგი.

— მამა! — წამოიძახებს იგი და გადაეხვევა...

სახლში გვიან ღამემდე გაგრძელდა მათი საუბარი. ვაჟი დაძაბულად უსმენდა მამის კოსმოსურ ოდისეას და გული სიამაყით ევსებოდა, თვალს არ აშორებდა მშობელს. როდესაც კი დაღლილობა შეატყო, ვიდეოფონი ჩართო. გადმოსცემდნენ ქრონიკას — მოფრენილი ვარსკვლავმფრენის ეკიპაჟთან შეხვედრას. გაიღვა კადრმა მსხვილი პლანით: კოსმონავტი და მისი ვაჟიშვილი ერთმანეთს კოცნიან...

— ახლა ნამდვილად დედაშენიც უყურებს ამ გადაცემას. ალბათ, იცი, რომ ფიცი ჩამომართვა — არ გეცადო მასთან შეხვედრას.

— დედა ვერ ნახავს ამ ქრონიკას.

კოსმონავტს მიწის ფერმა გადაჰკრა.

— ნუთუ იგი ცოცხალი აღარ არის?

— რა ბრძანებაა, — გაეცინა ვაჟს, — დედა იმის გამო ვერ ნახავს ამ გადაცემას, რომ უბრალოდ აქ არ იმყოფება.

— აბა, სად არის?

— ამ ოცი წლის წინ, როდესაც მე ათისა ვიყავი, ექსპედიციაში გაემგზავრა დიდი დათვის თანავარსკვლავედის პლანეტათა სისტემაში და მხოლოდ ხუთი წლის



შემდეგ ჩამოვა დედამიწაზე. ისე რომ, მამაჩემო, მართალია, ჩემი ხნისა ჩანხარ, მაგრამ დედა ორივეზე გაზრდა დაბრუნდება.

— საწყალი აინშტაინი...

— რა შუაშია იგი?

— ჩვენი განშორებისას დედაშენმა ტყუილად მოიხსენია იგი აუგად. ახლა მისივე წყალობით მოიგო დროსთან ორთაბრძოლა.

— მართლა, კინალამ არ გადამავეიწყდა, დედამ წერილი დამიტოვა შენთვის გადმოსაცემად.

ვაქმა მაგიდის უჯრიდან ცისფერი კონვერტი ამოიღო და მამას გაუწოდა. კოსმონავტმა ათრთოლებული ხელებით გახსნა იგი.

შიგ ეწერა ორიოდე სიტყვა:

„ლომი თავის მსხვერპლს ველარ მოუხმობს, რადგან სიყვარულთან ბრძოლაში იგი დამარცხდა“.

ორმხრივი შეცდომა

გალაქტიკური მზვერავი, რომელიც ცენტრალურ ვარსკვლავთა სისტემის ასოციაციის მიერ იყო გამოგზავნილი ერთ-ერთი ნაკლებად შესწავლილი პერიფერიის გამოსაკვლევად, საექსპედიციო რეისს ამთავრებდა. მხოლოდ ერთი, განაპირა ყვითელი ვარსკვლავის პლანეტებილა იყო დარჩენილი, რომლის შესწავლით დასრულდებოდა ექსპედიციის პროგრამა და ასოციაციას წარუდგენდნენ გალაქტიკის ამ უბნის სრულ სურათს. გიგანტურმა ვარსკვლავმფრენმა ყვითელი მზისაკენ აიღო კურსი.

*

— ყურადღება! ცაზე გამოჩნდა უცნობი კომეტა. ასტრონომების ვარაუდით იგი ძალიან ახლოს ჩაუვლის დედამიწის ორბიტას. ეს მეტად უცნაური კომეტა, რომელსაც კული არ გააჩნია, ნამდვილ გამოცანას წარმოადგენს მეცნიერებისათვის, რადგან აქ საქმე გვაქვს ბუნების იშვიათ მოვლენასთან. მსოფლიოს ობსერვატორიები გაფაციცებით აღევნებენ თვალს მის მოძრაობას...

— გადმოსცემდნენ დელამიწის რადიო და ტელესადგურები.




მოსახლეობა მაინცადამაინც ყურადღებას არ აქცევდა ამ ახალ ამბავს. ყველა თავის საქმით იყო გართული. მხოლოდ ობსერვატორიებში თუ შეინიშნებოდა გამოცოცხლება. ყველასათვის აშკარა იყო, რომ ამ მოვლენას წმინდა მეცნიერული ინტერესი გააჩნდა და სხვა არაფერი.

*

— რა მინიატურული პლანეტაა! — გაოცებით წამოიძახა გალაქტიკური მზვერავის უფროსმა ასტრონომმა, როდესაც ყვითელი მზის მესამე პლანეტის გამოსახულებას შეხედა ეკრანზე, — მისი მცირე მოცულობა რომ არა, ნამდვილად მშობლიური მიწა მეგონებოდა. ჟანგბადის შემცველი ატმოსფერო, წყლის კოლოსალური მარაგი, ნორმალური ტემპერატურა, ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ ამ პლანეტაზე შესაძლებელია სიცოცხლე ჩასახულიყო და განვითარებულიყო... ვინ იცის... გალაქტიკის ამ განაპირა მხარეს იქნებ გონიერ არსებებსაც წავაწყდეთ...

— ნუ დაგავიწყდებათ პლანეტის მიზიდულობის მცირე ძალა, — შეაწყვეტინა სიტყვა ბიოლოგმა, — დაგუშვათ, რომ იქ სიცოცხლის წარმოშობისათვის ყველა პირობაა შექმნილი, მაგრამ ისიც ხომ უეჭველია, რომ მხოლოდ პრიმიტიულ მიკროსკოპულ ორგანიზმებს შეუძლიათ არსებობა ასეთ პატარა ზომის ციურ სხეულზე.



გაიხსენეთ, რომ გალაქტიკის ცენტრის სხვა გონიერი არსებანიც არ ჩამოგვივარდებიან სიდიდის თვალსაზრისით. ეს თითქმის კანონზომიერებაა — საპიენსები ჩნდებიან მხოლოდ კოლოსალური მიზიდულობის მქონე დიდ პლანეტებზე და ისინი, როგორც წესი, გიგანტები არიან. აი, მაგალითად, ამ სისტემის მეხუთე პლანეტას რომ ვკონდეს შესაფერი პირობები, იქ შეიძლებოდა განვითარებულიყო ჩვენსავით მოაზროვნე ადამიანი. მესამე პლანეტაზე კი, ჩემი აზრით, გამოირიცხულია საპიენსების არსებობა...

საუბარში კაპიტანი ჩაერია:

— ერთი რამ მაინც გასათვალისწინებელია. ჩვენ გალაქტიკის ცენტრის ცივილიზაციებს ვიცნობთ მხოლოდ, ეს კი მისი ერთ-ერთი განაპირა უბანია. იქნებ აქ სიცოცხლის ჩასახვისა და მისი ევოლუციის სხვა კანონზომიერებებთან გვაქვს საქმე, რომლებიც ჩვენთვის უცნობია?

ამაზე ბიოლოგმა უპასუხა, რომ სამყაროში, როგორც გალაქტიკის ცენტრში, ისე მის პერიფერიებშიც უნივერსალური კანონზომიერებანი მოქმედებენ და გამოწვევისი ძნელი წარმოსადგენიაო.

— მიუხედავად ამისა, — დაასკვნა ბიოლოგმა, — ჩვენი მოვალეობაა შევისწავლოთ ამ ყვითელი მზის პლანეტები და ეს სწორედ მესამედან უნდა დავიწყოთ, რადგან ბიოსფეროსთვის ხელსაყრელი პირობები სხვაგან ნაკლებადაა.

გალაქტიკური ზომალდი მესამე პლანეტისკენ გაეშურა...

დედამიწის მცხოვრებლები საშინელმა პანიკამ მოიცვა. მსოფლიოს ყველა ენაზე გაისმოდა ეთერში დიქტორების აღელვებული ხმები:

—კოლოსალური კომეტა, რომელიც მოცულობით ყველა ცნობილ ასტეროიდს აღემატება, დედამიწას უახლოვდება. ჩვენი პლანეტისა და კომეტის შეჯახება გარდუვალაია. კოსმოსური კატასტროფა ემუქრება კაცობრიობას, რადგან სადაც არ უნდა ჩამოვარდეს ციური სხეული — ზღვაზე თუ ხმელეთზე, სულ ერთია — საშინელება დატრიალდება. ზღვები და ოკეანეები გადმოვლენ თავისი ნაპირებიდან და ხმელეთს წალეკავენ...

პარიზში სასწრაფოდ შეიკრიბნენ მსოფლიოს სახელგანთქმული მეცნიერები და მთავრობათა წარმომადგენლები. პირველსავე სხდომაზე გადაწყდა კომეტის შესახებ დრად გაეგზავნათ ავტომატურად მორთული რაკეტები წყალბადის ბომბებით, რათა დედამიწიდან საკმაოდ დაშორებით აეფეთქებინათ ეს ციური სხეული. სხვა გამოსავალს ვერ ხედავდნენ სპეციალისტები. წინააღმდეგ შემთხვევაში, კატასტროფა გარდუვალაი იყო. თავდაპირველად განიზრახეს თორმეტი რაკეტის გაგზავნა. სტარტი დანიშნულ იქნა საღამოს რვა საათზე გრინვიჩის დროით.

— დროა უკვე გადავიდეთ წრიულ ორბიტაზე მესამე პლანეტის გარშემო, — წარმოსთქვა კაპიტანმა და

ბრძანება გასცა, — მოამზადეთ ავტომატური ზონდები პლანეტაზე გასაშვებად!

საქართველო
საბჭოთა კავშირი

გალაქტიკური ხომალდის ეკიპაჟის წევრები აფუსფუსდნენ, ყველა მათგანი გულმოდგინედ შეუდგა საქმეს. ამოწმებდნენ ზონდების ავტომატურ სისტემებს, ეკრანებს, ენერჯის წყაროებს. მთელი მუშაობა რიტმულად, აუჩქარებლად მიმდინარეობდა. აშკარა იყო, რომ გალაქტიკური მზვერავის ბორტზე მყოფთათვის ეს ჩვეულებრივი საქმე იყო. ჯერ სამუშაო არ ჰქონდათ კარგად დამთავრებული, რომ ხომალდის ყოველ კუთხეში უცებ განგაშის გულშემზარავი ხმა გაისმა. ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ ყველანი სასწრაფოდ მთავარ დარბაზში უნდა შეკრებილიყვნენ, იქ, საიდანაც ვარსკვლავმფრენის მართვა ხორციელდებოდა.

სულ მალე ეკიპაჟი ადგილზე იყო და გაკვირვებით მისჩერებოდა კაპიტანს, რომელიც შეტად აღელვებული ჩანდა. ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის შემდეგ ეს პირველი განგაში იყო ხომალდზე და გასაგებია, რომ თითოეული მათგანი შეშფოთებული იყო.

— რა მოხდა, კაპიტანო! — გაისმა აქეთ-იქიდან.

— მინიატურული პლანეტა რაღაცას გვიმზადებს. აი, შეხედეთ, — და მან ხელი ვეებერთელა ზემგრძნობიარე ეკრანისკენ გაიშვირა, რომლის მარცხენა კუთხეში თორმეტი მიკროსკოპული ნათელი წერტილი მოჩანდა.

— რას ნიშნავს ყოველივე ეს? — იკითხა ფიზიკოსმა.

— იმას, რომ მესამე პლანეტაზე გონიერი ადამიანები ცხოვრობენ და მიუხედავად ჩვენი ბიოლოგის მტკიცე-

ბისა, თურმე პატარა არსებებიც შეიძლება იყვნენ საბი-
ენსები.

— შეუძლებელია, კაპიტანო, — წარმოსთქვა ბიო-
ლოგმა, — ალბათ, მეტეორიტების ჯგუფთან გვაქვს საქ-
მე... რა შუაშია აქ საბიენსები?

— ეს რაკეტები თუ მეტეორიტების ჯგუფი, რაც
გნებავთ ის შეარქვით მათ, ზუსტად ჩვენს შესახვედრად
მოესწრაფიან... მე ოდნავ შევცვალე კურსი, რათა ხო-
მალდი ამერიდებინა ამ სხეულებთან შეჯახებისაგან, მაგ-
რამ ძვირფასო მეგობრებო, იცით, რა მოხდა? მათაც იც-
ვალეს მიმართულება და ისევ ჩვენსკენ მოეშურებიან.
არაცოცხალ მატერიას არ ძალუძს ასეთი მანევრის გა-
კეთება. აქ უეჭველად გონიერ არსებათა მოქმედებას-
თან გვაქვს საქმე.

— როგორ მოვიქცეთ? — იკითხა რამდენიმე ხმამ.

კაპიტანი ჩაფიქრდა ერთხელ კიდევ მოავლო თვალი
ეკრანს და შეკრებილთ უთხრა:

— ჩვენ არ ვიცით, ჰუმანოიდები არიან თუ არა ამ
პლანეტის მცხოვრებნი, არ ვიცით რა მოაქვს ჩვენთან
ამ თორმეტ რაკეტას. ასეთ შემთხვევაში გალაქტიკური
ცენტრის კოსმოსური ფრენის წესდება გვიკარნახებს,
რომ დაუყოვნებლივ მივიღოთ თავდაცვის ზომები...
დავამუხრუჭებ ხომალდს და წინ გავუშვებ ჯერ ერთ
ზონდს, რომელიც პლანეტის გამოსაკვლევად გვექონდა
გამზადებული. ვნახოთ, როგორი იქნება მათი შეხვედრა.

— არავითარ საშიშროებას არ ვხედავ, — თქვა უფ-
როსმა ასტრონომმა, — მათი ერთი ციციქნა რაკეტები
თორმეტი კი არა, ასიც რომ იყოს, რას უზამს ჩვენს ხო-

მალდს, რომელიც თითქმის მათი ერთ-ერთი კონტინენ-
ტის ზომისაა



— სიფრთხილე სისუსტეს როდი ნიშნავს. მე კაპიტანი ვარ და ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა. ეკიპაჟის უსაფრთხოებაზე მე ვაგებ პასუხს გალაქტიკური ცენტრის წინაშე და თუ მცირეოდენი საშიშროება მაინც არსებობს, უფლება არა მაქვს წინდაუხედავად მოვიქცე.

კაპიტანმა მოუხმო ორ ასტრონავიგატორს.

— სასწრაფოდ დაამუხრუჭეთ ხომალდი! გაუშვით ზონდი!

*

პარიზის სიახლოვეს დედამიწის რაკეტოდრომის სადისპეტჩეროში სამართავ პულტთან რამდენიმე კაცი კლავიშებსა და გადამრთველებს დასტრიალებდა. მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერების საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი ცოტა მოშორებით სკამებზე ჩამომსხდარიყო. ზოგიერთი ფეხზე იდგა და ბოლთასა სცემდა.

— ყველაფერი პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს, — განაცხადა მთავარმა ოპერატორმა, — სამ საათში ჩვენი კიბერნეტიკული რაკეტები, ანუ როგორც მათ ჟურნალისტებმა შეარქვეს — „კიბები“ — კომეტას დაეჯახებიან და ციური სხეული ვეებერთელა რადიოაქტიურ ღრუბლად გადაიქცევა. ამრიგად დედამიწას კატასტროფას ავარიდებთ.

სადისპეტჩეროში მყოფნი კმაყოფილი სახეებით შესცქეროდნენ ეკრანს, რომელზედაც მშვენივრად ჩანდა თორმეტი „კიბი“ როგორ მიიწევდა კომეტისკენ. ყველა



მათგანს შეგნებული ჰქონდა ის დიდი მისია, რაც კაცობრიობამ დააქისრა, და თითოეული ღრმად დარწმუნებული ადამიანის გონების გენიალობაში, მის უპირატესობაში ბუნების სტიქიის წინაშე... და უცებ მოხდა ისეთი რამ, რასაც ვერც ერთი იქ მყოფი ვერც კი წარმოიდგენდა და არ დაიჯერებდა, საკუთარი თვალით რომ არ ენახა: თუ როგორ შეანელა მოძრაობა კომეტის ძირითადმა მასამ, შემდეგ მას მოსწყდა პატარა ნატეხი, რომელმაც ძველი სისწრაფით განაგრძო სრბოლა. ყოველივე ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ მანევრირების საშუალება ყოვლად შეუძლებელი შეიქნა. რაკეტებსა და კომეტას შორის ციური სხეულის ნატეხი აღიმართა, რომელიც, რასაკვირველია, წყალბადის ბომბების დარტყმას მიიღებდა. აშკარა იყო, რომ თვით კომეტა კი უვნებელი დარჩებოდა.

— გამზადეთ რაკეტების შემდეგი სერია, — გასცა ბრძანება მთავარმა ოპერატორმა და იქ მყოფთ მიმართა, — ძნელია იმის ახსნა, თუ რამ გამოიწვია კომეტის ძირითადი მასის დამუხრუჭება, ან მისგან საკმაოდ მოზრდილი ნატეხის ჩამოცილება, რომელიც მოცულობით თითქმის ეგერესტის ზომისა იქნება, მაგრამ ერთი რამ ცხადია: კომეტის მოსასპობად კვლავ დაგვჭირდება „კიბების“ გაშვება.

*

გალაქტიკური მზვერავის ეკიპაჟი დაძაბულად შეჰყურებდა ეკრანს. ნათლად ჩანდა, თუ როგორ უახლოვდებოდნენ ზონდს მინიატურული რაკეტები.

— იქნებ მათში ცოცხალი არსებები სხედან და ჩვენ-
თან კონტაქტის დასამყარებლად მოეშურებიან? — მოთქვა
ვარაუდი ერთმა ასტრონავიგატორმა.

— საეჭვოა, რომ ეს ასე იყოს, — განაცხადა ფსიქო-
ლოგმა, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა და თავის კოლე-
გების საუბარში არ ერეოდა, — არავითარი გამაფრთხი-
ლებელი სიგნალები არ მიგვიღია... თვით ეს რაკეტებიც,
შეხედეთ, როგორ ჯიუტად მოემართებიან თავიდანვე
აღებული კურსით. მათი ერთადერთი დანიშნულება
ჩვენი მოსპობაა.

— მოსპობა? ეს კი მეტისმეტია! — წამოიძახა უფ-
როსმა ასტრონომმა, — ამ ჩვენებური მწერებისხელა
არსებებმა რა უნდა დაგვაკლონ?

— თუკი მათ გაშიფრეს ატომგულის საიდუმლოება,
მათთვის ძნელი არ იქნება თავის მიზანს შიალწიონ, —
თქვა ფიზიკოსმა.

ეკრანზე ზონდსა და რაკეტებს შორის ძალზე მცირე
მანძილია იყო დარჩენილი...

— შეაჩერეთ ვარსკვლავმფრენი! — გასცა განკარ-
გულება კაპიტანმა.

ის იყო ასტრონავიგატორებმა დაამთავრეს ხომალ-
დის საბოლოო დამუხრუჭება, რომ ლოკატორის ეკრანე-
ბი უცებ თვალისმომჭრელად განათდა....

— ატომგულური აფეთქება! — შეჰყვირა ყველამ
ერთხმად.

— ზონდი მოსპობილია! — წამოიძახა კაპიტანმა, —
ეს დაგვემართებოდა ჩვენც, საჭირო ზომები რომ არ მიგ-
ველო. ესეც შენი მინიატურული გონიერი არსებანი!

ეპ, ბიოლოგო, ბიოლოგო! ხედავთ, რა კრახი განიცადა თქვენმა ყბადაღებულმა უნივერსალურმა კანონზომიერებებამ? მაგრამ ახლა საყვედურების დრო არ არის... სასწრაფოდ ჩართეთ ძრავები და დაუყოვნებლივ გავშორდეთ ამ არასტუმართმოყვარე მზის სისტემას. გალაქტიკის ცენტრი აქ თავის საკონტაქტო ექსპედიციას გამოგზავნის, რომელიც გაარკვევს საქმის ვითარებას. ჩვენს უფლებამოსილებას სცილდება კოსმოსურ კონფლიქტებში ჩარევა... ჩვენ ხომ მხოლოდ გალაქტიკური მზვერავები ვართ.

*

როდესაც დედამიწაზე სადისპეტჩეროს ეკრანმა კომეტის ნამსხვრევის აფეთქება დაადასტურა, დარბაზში მყოფ მეცნიერებს სახეები გაუბრწყინდათ.

— ნახევარ საათში „კიბების“ მეორე სერიას გავუშვებთ, — გამოაცხადა მთავარმა ოპერატორმა და ეკრანს გახედა, — კომეტის მთავარ მასასაც იგივე დაემართება, რაც მის ნატეხს... მაგრამ ეს რაა? კომეტამ ასოთხმოცი გრადუსით შეიცვალა მიმართულება და ახლა დედამიწას სცილდება? ყოვლად წარმოუდგენელი რამ არის.

შესაძლებელია წყალბადის ბომბების აფეთქებამ უკუაგდო ციური სხეული? — გაუბედავად იკითხა ერთმა.

— აბსოლუტურად გამორიცხულია, — განაცხადა მთავარმა ოპერატორმა, — აფეთქება ისე დიდი მანძილით იყო დაშორებული კომეტის მთავარი მასისაგან,

რომ მასზე რაიმე გავლენის მოხდენა არ შეეძლო... რჩე-
ბა ერთადერთი ვარიანტი, რომ ის, რაც ჩვენს კომეტად
ჩავთვალეთ, სინამდვილეში კომეტა არაა. მკვდარ მატე-
რიას არ გააჩნია მანევრირების უნარი და თავდაცვის
ინსტინქტი. ხოლო კომეტის წინ ნატეხის მოძრაობა რომ
თავდასაცავი საშუალება იყო, ამაში ეჭვი არ მეპარება.
ნატეხი ავაფეთქეთ, ძირითადი მასა კი უვნებელი დარჩა.
ეს წინასწარ იყო გაანგარიშებული მათ მიერ...

— ვის მიერ?! — გაისმა გაკვირვებული ხმები.

— კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟის მიერ!

— კოსმოსური ხომალდი, რომელიც თითქმის ავსტ-
რალიის კონტინენტის ოდენაა თავისი მოცულობით,
ყოვლად წარმოუდგენელია! მაშინ რა ზომისა უნდა იყუ-
ნენ საპიენსები, რომლებიც მას მართავენ?

— ალბათ, ეიფელის კოშკზე მალაღნი...

— გამოდის, რომ ჩვენ ჭიანჭველები ვყოფილვართ
მათთან შედარებით... გიგანტური საპიენსები! საინტე-
რესოა, რატომ არ დაამყარეს ჩვენთან კონტაქტი?!

უფროსი დისპეტჩერი ერთხანს მდუმარედ უყურებ-
და ეკრანზე მოკიაფე წერტილს, რომელიც სულ უფრო
შორდებოდა დედამიწას.

— მე მგონი, — თქვა მან, — ისინი არ იყვნენ შხად
ამისათვის. წელან ჭიანჭველა ახსენეს აქ. დიახ, განა შე-
იძლება უშუალო კონტაქტი სპილოსა და ჭიანჭველას
შორის? ამისთვის, ალბათ, ხანგრძლივი მზადებაა საჭირო
და, ეტყობა, იმ კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟისათვის
ეს გადაუჭრელი ამოცანა იყო... როდესაც ჩვენს ძლიერე-
ბაში დარწმუნდნენ, უეჭველად მიხვდნენ, რომ დედამი-



წაზე პატარა გონიერი არსებები ბინადრობენ. ისინი ნამდვილად ჰუმანოიდები არიან, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს პლანეტაზე ქვას ქვაზედ არ დატოვებდნენ. მათ ამჯობინეს უკან დაბრუნება, რომ თავისიანებს შეატყობინონ ჯუჯა საპიენსების არსებობა სამყაროში. ცხადია, რომ ისინი აუცილებლად გამონახავენ ჩვენთან კონტაქტის გზებს და ახლო მომავალში უთუოდ გვეწვევიან...

— საინტერესო მოსაზრებაა, — წარმოსთქვა ერთ-ერთმა ბიოლოგმა, მაგრამ გიგანტური გონიერი არსებანი შეუძლებელია, რომ ბუნებაში სადმე მოიძებნებოდნენ... დიდი მიზიდულობის მქონე პლანეტებზე საექვოა სიცოცხლის ჩასახვა და განვითარება, მით უმეტეს საპიენსების არსებობა. სამყაროს ყოველ კუთხეში ერთნაირი კანონზომიერებანი მოქმედებენ.

— კანონზომიერებანი? — შეაწყვეტინა სიტყვა უფროსმა ოპერატორმა, — თქვენი ეგრეთწოდებული კანონზომიერებანი საპნის ბუშტივით გასკდა წყალბადის ბომბების აფეთქებასთან ერთად. ჩვენ ამიერიდან სულ სხვა კუთხით უნდა მივუდგეთ და შევაფასოთ სამყაროში მიმდინარე პროცესები. აი, მთავარი გაკვეთილი, რაც გიგანტური კოსმოსური ძმების სტუმრებიდან მივიღეთ.

უველაზე ძვირფასი რელიკვია

(დაუმთავრებელი ინტერვიუ კოსმონავტთან)

კითხვა: კაპიტანო, გივი ოძელო, ეს-ეს არის, რაც ექსპედიციასთან ერთად დაბრუნდით შორეული კოსმოსური რეისიდან. ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის საინტერესო იქნება, როგორია თქვენი პირველი შთაბეჭდილებანი ახალაღმოჩენილ პლანეტაზე?

პასუხი: იგი დაახლოებით მარსის ოდენაა. იქაური ატმოსფერო ძალიან წააგავს დედამიწისას, მაგრამ მის ჰაერში უანგბადი გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვენთან. გულახდილად რომ ვითხრათ, ასეთი მშვენიერი პლანეტა ჯერ არსად შემხვედრია. თვალს იტაცებს მისი ფანტასტიკური სილამაზის მთაგრებილები და ხეობები. უსასრულო ზურმუხტოვანი ტრამალები...

კითხვა: წყალსატევების მოცულობა თუა დიდი?

პასუხი: დედამიწისას ვერ შეედრება, მაგრამ წყლის მარაგი მაინც მნიშვნელოვანია. ხმელეთი მხოლოდ პლანეტის ნახევარს შეადგენს.

კითხვა: გააჩნია მას ბიოსფერო?

პასუხი: დიახ.

კითხვა: მაშინ როგორია ცოცხალი მატერიის ევოლუციის დონე?

პასუხი: სანამ ამ კითხვაზე გიპასუხებთ, უნდა მოგახსენოთ, რომ პლანეტა თავისი ასაკით გაცილებით უფროსია დედამიწაზე, რაც იმას მოასწავებს, რომ ბიოსფეროს განვითარება იქ უფრო ხანგრძლივად ხდებოდა. ამიტომ მასზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ საკუთარი ცოცხალი ორგანიზმის ხვალისდელ დღეზე, განვკვირვოთ მათი მომავალი...

კითხვა: უკაცრავად, სიტყვას გაწყვეტინებთ. რაკი იქ სიცოცხლე ყოფილა, ხომ არ გვეტყვით მთავარზე, არიან თუ არა გონიერი არსებანი?

პასუხი: არიან და არც არიან.

კითხვა: უცნაურია, რა გსურთ ამით თქვით?

პასუხი: ის, რომ ორივე ურთიერთგამომრიცხავი პასუხი სწორია. ერთი შეხედვით პლანეტაზე ადგილობრივი ცივილიზაციის არავითარი კვალი არ ჩანს. ანუ არც ქალაქებია და არც სოფლები, არც გზები და არც დამუშავებული მიწები... სადაც კი თვალი გაწვდება, ირგვლივ მხოლოდ ველური ბუნებაა, მაგრამ ამასთანავე წარმტაცი და დიდებული, რასაც კალმით ვერ ასწერ და სიტყვით ვერ გადმოსცემ. ტყე-ველი და წყალსაცავები სავსეა ათასნაირი ცოცხალი ორგანიზმებით... ხოლო გონიერი არსებანი, რომელთაც იქ შევხვდით, პლანეტის მკვიდრნი როდი არიან, ისინი სხვა ვარსკვლავის სისტემაში ბინადრობენ.

კითხვა: მაშასადამე მათაც თქვენსავით სამეცნიერო ექსპედიცია მოუწყვიათ?

პასუხი: საქმის ვითარება გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. კარგა ხანია, რაც პლანეტა გულდასმით აქვთ შესწავლილი და თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში. ოღონდ მათი მოქმედება მხოლოდ მეცნიერული ინტერესით არ განისაზღვრება. როგორც გამანდეს, თავის სამშობლოში ცივილიზაციის არნახული განვითარების კვალობაზე, გარემოს არაგონივრული ექსპლოატაციის შედეგად, ერთგვარად დარღვეულა ცოცხალი ბუნების განვითარების ჰარმონიულობა. მათ მიერ შექმნილ უმაღლეს ტექნიკას, ცხადია, უკვე აღარ შეეძლო გადაერჩინა ეკოლოგიაში მომხდარი დისპროპორცია, ბუნება თანდათან გაჩანაგებულა და ოდესღაც დაშვებული მძიმე შეცდომის გამოსწორება თურმე შეუძლებელი გამხდარა... მაშინ დაუწყიათ ისეთი დაუსახლებელი პლანეტის ძებნა, სადაც ადამიანის მოქმედება ხელს არ შეუშლიდა ბუნების ნორმალურ განვითარებას... და მიაგნეს კიდევ... იქ ისინი ჩადიან იმისათვის, რომ ბუნების წიაღში დაისვენონ, დატკბნენ მისი სილამაზით. ხომ გვაქვს დედამიწაზე ნაკრძალები, სადაც ფლორა და ფაუნა ხელუხლებელია. ასეთივე დანიშნულებისაა მათთვის ის პლანეტაც, რომელსაც თავს ევლებიან და ზედ დაპყრობავენ. იქ სასტიკად აკრძალულია მადნეულის მოპოვება თუ სხვა სამუშაოები, რომლებიც გარემოს გაბინძურებას გამოიწვევდნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, იმის უფლებაც კი არ მოგვცეს, რომ რამდენიმე ათეული მეტრის სიღრმით გაგვებურლა ნიადაგი მინერალთა ნიმუშების წამოსაღებად.



კითხვა: ესე იგი პლანეტა-ნაკრძალის მფლობელნი არასტუმართმოყვარედ მოგექცნენ?

პასუხი: პირიქით, ძალიან მეგობრულად. ის რომ ნიადაგის გაბურღვა არ დაგვანებეს, სრულიად არაფერს ნიშნავს. ამას, ალბათ, თავისებური გამართლება აქვს. სხვათაშორის, მათ გულწრფელად შემოგვთავაზეს, როცა კი მოგვესურვებოდა, ვარსკვლავმფრენებით ჩვენი ხალხი ჩაგვეყვანა, რომ ისინიც დამტკბარიყვნენ პლანეტის მართლაცდა საოცარი ბუნებით.

კითხვა: თქვენ, როგორც პირველ აღმომჩენს, უფლება გაქვთ შეარქვათ პლანეტას, რასაც მოისურვებთ. და რაზე შეჩერდა თქვენი არჩევანი?

პასუხი: როგორც მოგახსენეთ, ამ საქმეში პრობრიტეტი ჩვენ კი არ გვეკუთვნის, არამედ სხვა ცივილიზაციის წარმომადგენლებს.

კითხვა: გალაქტიკურ კატალოგში რომ შეიტანოთ პლანეტა, ხომ უნდა ჰქონდეს ჩვენებური სახელი?

პასუხი: რა თქმა უნდა. ამიტომაც ვუწოდებ მას ტარიელი, ჩემი საყვარელი გმირის სახელი. და ეს შემთხვევითი როდი გახლავთ, რადგან პლანეტა-ნაკრძალის მესვეურნი თავისი მაღალი კეთილშობილური ბუნებით, რაინდული სულითა და სიბრძნით მას მაგონებენ.

კითხვა: თვითონ რა შეურქმევიათ პლანეტისთვის?

პასუხი: რაღაც რთული ციფრობრივი შიფრი მიუკუთვნებიათ მისთვის. როდესაც შევატყობინე, რომ დედამიწელები თითოეულ ციურ სხეულს თავის გარკვეულ სახელს ვარქმევთ თქო, დიდად მოეწონათ ეს იდეა. მათ გადაწყვიტეს, რომ ამიერიდან ჩვენსავით მოიქცნენ.

დაიწყეს იმით, რომ იმ პლანეტას მათაც ტარიელი შე-
არქვეს, რაც საზეიმო ვითარებაში გამოგვიცხადეს.

კითხვა: ამით ხაზი გაუსვეს დედამიწის ცივილი-
ზაციისადმი პატივისცემას. მაშასადამე, ამ სახელმა გა-
ლაქტიკური მნიშვნელობა შეიძინა?

პასუხი: როგორც ჩანს.

კითხვა: თუ საიდუმლო არ არის, გთხოვთ, გვიპა-
სუხოთ, რა რელიკვია მიგაქვთ ხოლმე დედამიწიდან,
როდესაც კოსმოსში მიემგზავრებით? რა არის თქვენ-
თვის ყველაზე ძვირფასი?

პასუხი: ერთი პეშვი მიწა.

კითხვა: მე კი სულ სხვა რამეს მოველოდი, რაღაც
განსაკუთრებულსა და ორიგინალურს. სინამდვილეში კი
ეს თურმე უბრალო, პროზაულად ჩვეულებრივი მიწა
ყოფილა, რა მიზნით?

პასუხი: მართალია რელიატივისტური სიჩქარით
ფრენა ხშირად მიხდება და ამის გამო ნებისმიერ თანა-
მედროვე ადამიანზე ასეული წლებით უფროსი გახლა-
ვართ, დედამიწისეული ათვლის სისტემის მიხედვით
ლეგენდარული მათუსაილის ასაკამდე ბევრი არაფერი
მიკლია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ უკვდავი
ვიყო... არავინ უწყის, როდის რა მომელის. კოსმოსის
გზები სავსეა ფათერაკებით. და სადაც არ უნდა დადგეს
ჩემი აღსასრული, გალაქტიკის რომელ კუთხეშიც არ
უნდა დავხუჭო სამარადისოდ თვალი, რა უცხო პლანეტა-
მაც არ უნდა მიიბაროს ჩემი ნეშტი, ეკიპაჟის წევრებ-
მა ყოველთვის იციან ჩემი ანდერძი: დედამიწიდან წამო-

ღებული ერთი პეშვი მიწა, რომელიც ყოველთვის
დამაქვს, გულზე უნდა დამაყარონ.



კითხვა: ინტერვიუსთვის განკუთვნილი დრო იწურება. კიდევ ერთი კითხვა: რას უსურვებდით ჩვენს მკითხველებს?

პასუხი: გაუფრთხილდნენ დედამიწის ბუნებას, რათა მილიარდობით კილომეტრების დაფარვა არ დასჭირდეთ ცოცხალი ბალანისა თუ ხის, გარეული ცხოველისა თუ ფრინველის სანახავად, როგორც ეს ზოგიერთებს დაემართათ კოსმოსის გამოუცნობ გზებზე.

გაზეთ „გალაქტიკის“ რედაქციის
მინაწერი:

„სამწუხაროდ, აქ წყდება ჩვენი გაზეთის კორესპონდენტის საუბარი გივი ოძელთან, რადგან კაპიტანს სასწრაფოდ უხმეს კოსმოსურ ცენტრში ექსპედიციის შედეგებზე მოხსენების გასაკეთებლად, რის შესახებაც დაწვრილებით ანგარიშს ჩვენი გაზეთის მორიგ ნომერში მოვათავსებთ. რედ.“

უკეთესი ვარიანტი

— ნომ, ნუ გეწყინება და ამ ბოლო დროს შენი საქციელი ფრიად მაკვირვებს. სულ მუდამ სადღაც მიგეჩქარება, შინ ყოველთვის გვიან ბრუნდები... საყვედურებს როდი გეუბნები. უბრალოდ, მინდა, ვიცოდე, რა ხდება შენს თავს. იქნებ შემიძლია რამეში გამოგადგე?

— მიზეზი გაინტერესებს?

— შენი თვალები ძველი ელვარებით აღარ კიაფობენ, უზრუნველობასა და სიხარულს უწინდელივით აღარ გამოხატავენ.

— არც უმაგისობაა, მამაჩემო.

— შეყვარებული ხარ?

ქალმა წამწამები დახარა. არაფერი უპასუხა.

— ვის ხვდა წილად ასეთი ბედნიერება? ვინმე ჩვენებურია?

— არა.

— დედამიწელი? ეს კი მეტისმეტია.

— ვიცი, დამიწყებ ახლა შეგონებას, რომ არავინ იცნობდა ვიქცევი, უფლება არა მაქვს ჩემი ბედი დავუკავშირო რომელიმე აბორიგენს, რადგან ჩვენი კანონებით ეს აკრძალულია და ასე დაუსრულებლად... მაგრამ რა

ექნა, რომ უძლური ვარ შევებრძოლო საკუთარ თავს? მე იგი მიყვარს...

— ერთი წელია, რაც ამ პლანეტაზე ვიმყოფებით და იგი უკვე საკმაოდ შევისწავლეთ... სადაცაა სამშობლოში უნდა გავემგზავროთ... ამ დროს კი ეს რა ესმის ჩემს ყურებს... ნუთუ დაივიწყე მოვალეობა? ნომ, გელაპარაკები არა როგორც მშობელი, არამედ როგორც ექსპედიციის მეთაური. ხომ იცი, ყველა თქვენთაგანის საქციელზე ვაგებ პასუხს!

— მე იგი მიყვარს...

— ნუ გავიწყდება, რომ იმ ვაჟის ცხოვრებაში სხვის ადგილს იკავებ, რომელიც არც აქაური და არც ჩვენი ეთიკური კანონით არ გეკუთვნის. შენ რომ არა, იგი თავისი ტომის რომელიმე ასულს დაუკავშირებდა სიცოცხლეს. შენ კი ჭიჭურად შეიჭერი აქაური ადამიანების ურთიერთობაში, რაც ჰქმნის პარადოქსის წარმოშობის საშიშროებას. კაცობრიობის განვითარებაში მოსალოდნელია მიზეზ-შედეგობრიობის ბუნებრიობის დარღვევა.

— ჩვენი ვარსკვლავმფრენის კიბერნეტიკული ტვიზის მონაცემებით გარეგნული ჩარევის შედეგად ცვლილებანი ამ შემთხვევაში უმნიშვნელო იქნება, ასიოდე წლის განმავლობაში თითქმის ნულამდე დავა...

— ოჰო, გამოანგარიშებაც კი გიწარმოებია. წინდახედულად და მეთოდურად მოქმედებ. როცა გული და გონება ერთი მიზნისკენ არის მიმართული, ყოველგვარი სიძნელის დაძლევა იოლია. რა დაგიმალო და შენს საქციელში რაღაც ჩემეულს ვგრძნობ... განა მეც ასეთი არ



ვარ? რა გასაკვირია, რომ შვილს ჩემი გენები გამოჰყო-
ლოდა.

— მე იგი მიყვარს.

— რას აპირებ?

— იგი მე მეკუთვნის და არავის დავანებებ, თუნდაც მთელი კოსმოსი რომ აღდგეს ჩემს წინააღმდეგ.

— მასაც თუ უყვარხარ ასე ძლიერ?

— ოღნავადაც არ მეპარება ეჭვი მის საპასუხო გრძნობაში, რადგან ორივენი ერთ მთლიანსა და განუყოფელს წარმოვადგენთ. ცალ-ცალკე ჩვენი არსებობა წარმოუდგენელია. ასე მგონია, თუ ერთად არ ვიქნებით, ბუნების ჰარმონიულობა დაირღვეოდა.

— ეს სანამ დედამიწელი ქალიშვილი ჰგონიხარ, ხოლო როდესაც შენს ვინაობას გაიგებს?

— ვფიქრობ, არაფერი შეიცვლება.

— მაშასადამე, შენი გადაწყვეტილება მტკიცეა?

— საბოლოო და გარდუვალი.

— მოიქეცი ისე, როგორც შენი გრძნობა და გონება გიკარნახებს. ოღონდ გახსოვდეს, რომ იქ ინკოგნიტოდ ვიმყოფებით. უცხო ცივილიზაციებს ხომ ამგვარად ვსწავლობთ... უშუალო კონტაქტის უამი ჯერ არ დამდგარა...

— უსაზღვროდ ვენდობი. საკმარისია სიტყვა ჩამოვართვა და არავითარ შემთხვევაში არ გასცემს ჩვენს საიდუმლოს.

— ვინ არის იგი?

— ფიზიკოსი როინ ნილასტი.

— ანუ პლანეტის ყველაზე გამოჩენილი ადამიანი!



კარგად ვიცნობ, ხშირად შევხვედრივარ. მომწონს შენი არჩევანი. ეს ის მეცნიერია, რომელიც X—ნივთიერების შექმნაზე მუშაობს. ჩვენთანაც კარგა ხანს იმტვირის თავი ამ პრობლემაზე.

— მამაჩემო, იგი ნამდვილად დაძლევეს ამ ამოცანას, რადგან მისი კვლევა სწორი გზით მიდის.

— მჯერა, რომ წარმატებას უმჭველად მიაღწევს, რის შედეგადაც მისი თანამემამულენი გალაქტიკას აითვისებენ. X—ნივთიერების გარეშე ვარსკვლავთშორისი მოგზაურობა ფუჭი ოცნებაა.

— მე იგი მიყვარს.

— ნომ, ხელს არ შეგიშლი. დე, იყოს ისე, როგორც გსურს.



როდესაც როინ ნილასტმა ნომის აღსარება მოისმინა, სრულიადაც არ დაეჭვებულა მის ჭეშმარიტებაში. თვითონაც უკვირდა, ასე მშვიდად და სარწმუნოდ რატომ მიიღო არამიწიერი ქალის ნაამბობი.

— ნომ, ძვირფასო, რა მნიშვნელობა აქვს ვინ ხარ და საიდან. თუნდაც სხვა გალაქტიკიდან იყო მოფრენილი. მთავარი ზომ ის არის, რომ მიყვარხარ. დაილოცოს ის პლანეტა, სადაც გაჩნდი, სადაც ფეხი აიდგი, ის მზე, რომელიც თავს დაგქათქათებდა.

— სწორი ხარ, სწორი! ჩვენ ერთმანეთისთვის ვართ დაბადებულნი. უშენოდ სიცოცხლეს რა ფასი აქვს.

ვაჟმა თმებზე ხელი გადაუსვა, თავი გადაუწია და

ბროწეულისფერ ტუჩებში აკოცა. ქალმა თვალები დახუ-
ჭა. ასე ეგონა ამ პლანეტის ასი მზე აინთოო ^{გვერთად} ასი
მზის სითბო ჩაიღვარაო მის ძარღვებში...

— რა ბედნიერი ვარ, რა ბედნიერი ვარ... — ჩურ-
ჩულვდა იგი.

და უცებ თითქოს რაღაც მოაგონდაო, ნომმა ხელი
მოხვია როინს და კედელთან მიიყვანა.

— ამდენ ხანს ჩვენი ურთიერთობა ისე წარიმართა,
რომ იგი მხოლოდ პოეზიის სფეროს თუ განეკუთვნებო-
და. ახლა კი დროა პროზაზე გადავიდეთ. რაღაც უნდა
გითხრა ფრიად არასასიამოვნო და დამაფიქრებელი.

ქალის ხმის ინტონაცია მკვეთრად შეიცვალა. მისი
სიტყვები თუ ამასწინათ სინაზეს აფრქვევდნენ, ახლა
ლითონის ქლერადობა შეიძინეს. ვაჟი შეკრთა.

— ასეთი რა უნდა იყოს? — ჰკითხა მან

— ბრძენია ჩემი ხალხი, — თქვა ნომმა, — გაცილე-
ბით ბრძენი, ვიდრე ამის წარმოდგენა შეგიძლია. ყველა-
ფერს რომ თავი დავანებოთ, მისი არაჩვეულებრივი ტექ-
ნიკის წყალობით შეიძლება ჩავწვდეთ ხვალინდელი
დღის საიდუმლოებაში. მე გავიანგარიშე შენი ბედი. ნუ
მკითხავ როგორ ხდება ეს, სულერთია ვერაფერს მიხვ-
დები. ხელავ ამ ორ ეკრანს? ერთი მათგანი როდესაც
ჩავრთავ, გვიჩვენებს შენი მომავლის ბუნებრივ 'რეალო-
ბას, მეორე კი ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტს.

— რა თქვი? ნუთუ მომავლის სხვადასხვა 'რეალობა
არსებობს?

— ბუნებრივია მხოლოდ ერთი, ვარიაციული კი
უსასრულოდ მრავალი. მხოლოდ მე ვირჩევ იმ რეალო-

ბებს, სადაც ორივე ერთად ვართ და ერთმანეთი ვარს...

პირველ ეკრანზე გამოჩნდა ვეებერთელა ლაბორატორია. თეთრ ხალათში ჩაცმული როინ ნილატსი გიგანტურ ხელსაწყოს დასტრიალებს. ასისტენტებს რაღაც გადაულაპარაკა. ყველა ოთახიდან გადის. როინი გადასწევს სახელურს. აფეთქება. ცეცხლი და კვამლი. ფიზიკოსი იატაკზე წევს, სიცოცხლის ნიშანწყალი არ ატყვია. ხალათი სისხლში აქვს მოსვრილი. შემორბიან თანამშრომლები. მათ სახეზე შეშფოთება და მწუხარებაა აღბეჭდილი. მათ შორის ნომიც არის. იგი დაიჩოქებს როინის ცხედართან. თვალებიდან დაბალუპით ჩამოსდის ცრემლები...

ნომმა ეკრანი გამორთო. გაოგნებული როინი კედელს მიეყრდნო, რომ არ წაქცეულიყო. იგი, ალბათ, ერთადერთი დედამიწელი ადამიანი იყო, რომელმაც თავისი თვალთ იხილა საკუთარი სიკვდილი, თითქოს კინოფირზე ყოფილიყო აღბეჭდილი.

— რა უცნაური რამ ვნახე, თუ გიყვარდე, მითხარი, ჩადოქრობაა თუ ჰიპნოზი?

— არც ერთი, არც მეორე. ეს ის რეალობაა, როდესაც დედამიწაზე რჩები, აგრძელებ მუშაობას X — ნივთიერების შესაქმნელად. ერთ-ერთი ცდის დროს იღუპები. სწორედ ის მომენტი გვიჩვენა ახლა ეკრანმა. შენი ადგილიაქ არ არის, როინ. ვერ გაგიფრთხილდნენ თანამემამულენი. ამიტომ მოისმინე ჩემი რჩევა: გაეცალე აქაურობას, თან წამომყევი, გავეშუროთ ჩემს, სამშობ-

8. შ. ვაგოშიძე

ლოში, სადაც სიყვარულით და ბედნიერებით გაჩირალ-
დნებული დღეები გელოდება...
გაჩირალ-
უპოვნესუნი
ზიზლირთხვა

მეორე ეკრანზე როინის თვალწინ უცხო მიწა აელ-
ვარდა, ზღაპრული სილამაზის ქალაქი აღიმართა. ოვა-
ლისებური სახლის უცნაური მოყვანილობის აივანზე თა-
ვის თავს ხედავს ნომთან ერთად. ისინი ხელიხელგადა-
ხვეულნი დგანან და ამომავალ ნარინჯისფერ მზეს მის-
ჩერებიან. ირგვლივ ათასნაირი ფერი იღვრება, თვალის-
ათვის საანეტარო და სასიამოვნო. სახეზე სიხარულის ნა-
პერწყლები უთამაშებთ...

— აი, როინ, შენი მომავლის ორი ვარიანტი. ერთი,
როცა აქ ახალგაზრდა იღუპები. ხოლო მეორე, როცა
ჩემთან ერთად სხვა პლანეტას ესტუმრები და იქ ცოცხა-
ლი და ბედნიერი ხარ. ახლა გზაჯვარედინზე დგახარ.
სიტყვა შენ გეკუთვნის. რა გადაწყვეტილებას მიიღებ?

— ნომ, ვფიქრობ, ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა
უსაზღვროდ მიყვარხარ... მაგრამ არჩევანი უკვე გაკე-
თებული მაქვს, სხვა აზრი არც შეიძლება რომ მქონდეს.
მიმძიმს ამის თქმა, მაგრამ ჩემთვის ყველაზე უკეთესი
ვარიანტი პირველია...

— რას ამბობ, როინ, ნუთუ ნაადრევ სიკვდილს ამ-
ჯობინებ?

— ჩემთვის უცხოა ეგოიზმი. რა ვქნა, ასე ვარ გაზრ-
დილი. არ შემიძლია პირადი უსაფრთხოება და ბედნიე-
რება ჩემი ხალხის ინტერესებს ვანაცვალო.

— X — ნივთიერების შექმნას გულისხმობ?

— დიახ, პირველ რიგში მაგას.

— ნურაფერს იღარდებ, მეცნიერულ კვლევას უშე-



ნოღაც მიიყვანენ ბოლომდე. შენ უკვე იმდენი გააკეთე, რომ დედამიწელები უახლოეს წლებში შეძლებენ მის სინთეზირებას.

— უჩემოდ? ყოვლად წარმოუდგენელია. ჩემი მხრივ ეს აშკარა დეზერტირობა იქნებოდა, კაცობრიობის ღალატი.

— რად გინდა ასეთი მაღალფარდოვანი სიტყვები? თუ აქაურობას მიატოვებ, კაცობრიობა როგორმე აიტანს ამ დანაკლისს. შემცვლელი ყოველთვის გამოგიჩნდება... სამაგიეროდ ცოცხალი დარჩები და ერთად ვიქნებით. ჩვენ ხომ ერთმანეთი გვიყვარს.

— ვერ დაგეთანხმები, ნომ. ათი სიცოცხლეც რომ მქონდეს, ათჯერვე ასეთ გადაწყვეტილებას მივიღებ. ათჯერვე უყოყმანოდ ვარჩევდი დავლუბულიყავი, ვიდრე ლაჩრულად გავექცეულიყავი თავის გადასარჩენად. ან შენ როგორღა უნდა გიყვარდეს სულმოკლე ადამიანი, რომელმაც თავისი უმაღლესი დანიშნულება დაივიწყა? მშვიდობით უცხო ვარსკვლავის ასულო. გულწრფელად ვწუხვარ, რომ შენი რომანის გმირად ვერ გამოვდექი.

ქალი გაფითრებული იდგა. მას თითქოს გულის ძაფები ჩააწყდაო, როდესაც დაინახა, რომ ვაჟი, თითქოს რაღაც ტრანსშიაო, ისე წამოდგა, ერთხანს წაიბარბაცა კიდევ... მერე წელში გასწორდა, მტკიცე ნაბიჯებით მიუახლოვდა კარს და გამოაღო. გარედან მზის ოქროსფერი სხივები შემოიჭრა, მშობლიური მიწის სურნელება. როინ ნილატსმა მწარე ღიმილით დაუქნია ხელი ნომს და გაეშურა თავისი ბედის შესახვედრად.

ერთი მიწის უპილავი

„Nemo natural nisi parendo imperat“

(„არავის ძალუძს ბუნებაზე იმბრძანებლოს, თუ მას არ დაემორჩილება“).

ბ ე ყ ო ნ ი

ვარსკვლავმფრენი მართვას აღარ ემორჩილებოდა. კაპიტანი გივი ოძელი უფრო მეტად გაკვირვებული ჩანდა, ვიდრე დაბნეული. რა მოხდა? სანამ სტარტს აიღებდა, კოსმოპორტში ტექნიკოსებმა ხომალდის ყველა აგრეგატი გულდასმით შეამოწმეს. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. შემდეგ გაემართა აღდებარანისკენ, რათა იქაურ პლანეტათა სისტემის კოლონისტებისთვის ტვირთი ჩაეტანა... და უცებ ასეთი გაუთვალისწინებელი რამ...

რა ხანია იგი კურსს ასცდა. მაგრამ ეს როდი იყო მთავარი. ჯერ ავარიის მიზეზი უნდა დაადგინოს, რადაც არ უნდა დაუჯდეს. და როცა მას გაიგებს, შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ რა იღონოს.

მაშ ჯერ მიზეზი... რატომღაც ოტელოს სიტყვები მოაგონდა: „აი, მიზეზი, სულთ ჩემო, აი, მიზეზი...“ რა ეშ-


მაკად აეკვიატა ეს ფრაზა? რა დროს ადამისდროინდელი
'მექსპირია. პერსევერაციაა ნამდვილად.



მიზეზი... მაგრამ მისი გარკვევა არც ისე იოლი ჩანდა. რატომ? რა გაუთვალისწინებელმა ფაქტორებმა გამოიწვია ასეთი მოულოდნელობა?

კოსმონავტს ეჩვენებოდა, რომ თანდათან იძირებოდა დროისა და სივრცის უძირო ოკეანეში, რომელსაც თითქოს ზედაპირიც კი არ გააჩნდა, რომ ოდესმე შეძლებოდა ამოეყვინთა ამ ეფემერული სუბსტანციიდან, თავი დაეღწია აზრის შემბოჭავი არაბუნებრივი მდგომარეობიდან. პირველყოფილი ქაოსიდან და წყვდიადიდან მას მომავალი უახლოვდებოდა წამში ორასოთხმოცდაცხრამეტი ათასი კილომეტრის სისწრაფით — ასეთი იყო მისი ვარსკვლავმფრენის სიჩქარე... აწმყო თავგამოდებით იჭრებოდა მომავალში, ხოლო ეს უკანასკნელი კი უმაღლესად სულად იქცეოდა, ვიდრე გივი ოძელის გონება ამის გააზრებას ასწრებდა.

საფეთქლებზე ოფლის წინწკლები აუკიაფდა. შინაგანი დაძაბულობა თანდათან მატულობდა. ო, ეს წყვეტილი მიზეზი... რამდენ ხანს უნდა იმტვიროს თავი მისი ამოცნობისთვის? ხელსაწყოებს თვალი აარიდა და ილუმინატორში გაიხედა. ეს რა ხდება? თითქოს ვარსკვლავები ადგილებიდან მოწყდნენ და გიჟური ცეკვა გააჩაღესო. შემდეგ თანდათან ვარსკვლავმფრენის წინ შეჭგუფდნენ და კონუსის ფორმა მიიღეს. „სამყარო გადაირია, თუ მე შევიშალე ჭკუიდან?“ — ფიქრობდა იგი. ასეთი რამ არასოდეს უნახავს, თუმცა დიდი ხანია, რაც კოსმოსის გზებს სერავს... მაგრამ მალე მიხვდა, რომ ყოველივე ეს ხო-



მალდის არაჩვეულებრივი სისწრაფის ბრალი იყო, რომელიც კატასტროფულად იზრდებოდა... ნეტავ უნდა ნიშნავდეს ისიც, რომ ყველა მნათობმა რაღაც არაბუნებრივი სიკაშკაშით ცისფრად დაიწყო ციმციმი? ნუთუ თავისი თვალით უყურებს დოპლერის ეფექტს, რომელიც ამდენ ხანს მხოლოდ თეორიულად ჰქონდა გააზრებული: თუ ზომალდი სინათლის ახლო სისწრაფით მოძრაობს, შემხვედრი ვარსკვლავები უნდა გაციფერდნენ. გივის გაახსენდა, რომ ასეთ შემთხვევაში ვარსკვლავმფრენის უკან მნათობებს წითელი ფერი უნდა დასდებოდეთ, რაშიც მალე დარწმუნდა, როდესაც კიჩოს მიმოხილვითი ეკრანები ჩართო... უეჭველი იყო, რომ იგი საშიშ ზღვარს უახლოვდებოდა. თუ ასე გაგრძელდა, მშვიდობით მშობლიურო მზეო და დედამიწავ! უნდა როგორმე შეანელოს სვლა, მაგრამ მანამდე საჭიროა დააზუსტოს... მიზეზი.

ისევ და ისევ ციფერბლატებს ჯიუტად დაუწყო თვალღიერება, გულდასმით აკვირდებოდა თითოეულ მათგანს, იქნებ მათში ამოიკითხოს რამე...

გრაფიტაციული ლოკატორი... ყველაფერი რიგზეა. ზომალდი ციური სხეულებიდან საკმაოდ დაშორებულ სივრცეში მოძრაობს. რადიაციის ფონი ჩვეულებრივია. არც სხვა ხელსაწყოები იტყობინებოდნენ რაიმე ახალს, თითქოს ყველა მათგანმა პირი შეკრაო — ერთხმად მხოლოდ ნორმალურ მდგომარეობას უჩვენებდნენ. მაშ რამ დაარღვია ძრავების სინქრონულობა? რამ გამოიწვია დაზიანება?

გივი ოძელი პულტის მარჯვენა კუთხეში თვალისმომ-

პრელ თეთრ წერტილს მიაჩერდა. რატომ ამდენ ხანს არ
მიაქცია ყურადღება ფოტომეტრს? ადრე აზრად
მოსვლია შეემოწმებინა მისი მონაცემები. თურმე კი სა-
ჭირო ყოფილა, რადგან იგი უცნაურ რამეს უჩვენებდა.
მას რომ კაცმა დაუჯეროს, ვარსკვლავმფრენის გარშემო
ფოტონური ქარიშხალი ბობოქრობს! იქნებ ხელსაწყო
ცდება? თუმცა ამ მხრივ ყოველგვარი ეჭვი გამორიცხუ-
ლია. მისი მუშაობა ისევე საიმედოა, როგორც დანარჩე-
ნებისა. ხოლო თუ რომელიმე მათგანი მწყობრიდან გა-
მოვა, ავტომატურად გამოირთვება. ასეა დაპროგრამებუ-
ლი ხომალდის მართვა... მაშასადამე, ფოტონური ქარი-
შხალი...

„ამასაც მოვესწარი“ — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა
გივიმ.

ცხადია, ფოტონების ასეთ არნახულ იმპულსებს თა-
ვისუფლად შეეძლოთ მთავარი ძრავების მუშაობის შე-
ფერხება. მაგრამ საკითხავია: საიდან გაჩნდნენ აქ ისინი,
რამდენადაც არცერთ ვარსკვლავთან არ იმყოფებიან ისე
ახლოს, რომ მსგავსი რამ მოხდეს? პირიქით, ხომალდი
იმდენად დაშორებულია მათგან, რომ ამ მხრივ საშიშრო-
ება სრულიადაც არ მოელის. მაშ რაშია საქმე? რატომ-
ღაც გივის უცნაური აზრი დაებადა და რაც დრო გადი-
ოდა, იგი მოსვენებას სულ უფრო მეტად უკარგავდა:
ერთადერთი, რასაც შეეძლო ასეთი ვითარების გამოწვე-
ვა, ზეახალი ვარსკვლავის აფეთქება უნდა ყოფილიყო!
არც მეტი, არც ნაკლები.

„ვაი, იმას, ვისი ვარსკვლავმფრენიც კოსმოსის ამ
სექტორში აღმოჩნდება ახლა. მისი კაპიტანიც, ალბათ,

ჰიპნოზირებულივით შეჰყურებს ფოტომეტრის თვალს და ჩემსავით სასოწარკვეთილება იპყრობს“, ^{თვალს} ^{გაიფიქრა} ^{გაიფიქრა} რა გვიმ.

გამოსავალი ერთადერთია. უნდა როგორმე მოახერხოს რომელიმე პლანეტაზე დაჯდომა. სანამ ფოტონური გრიგალი ჩადგება, შეაკეთოს ძრავები და მერე ისევ გავიდეს კოსმოსში. ადვილი სათქმელია, საიდან გამოძებნოს მყუდრო ნავსაყუდელი ამ სიცარიელეში?

ჰო, მართლა! ჯერ ეს თავბრუდამხვევი სისწრაფე უნდა ჩააქროს. ავარიული სამუხრუჭე ძრავების ჩამრთველ ღილაკს ფრთხილად დააჭირა თითი. მადლობა ღმერთს, ამუშავდა. ახლა შეიძლება ცოტა ხანს დაიცადოს. სიჩქარისმზომს ცალი თვალით გახედა: ისარი, რომელიც წითელ ხაზთან, სინათლის აბსოლუტური სისწრაფის მაჩვენებელთან იყო მიახლოებული, ამოძრავდა, უკან დაიწყო ცოცვა, ნელა, მაგრამ საიმედოდ. კაპიტანს გულს მოეშვა. როგორც იქნა კატასტროფას თავი დააღწია, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ცოტას ნიშნავდა. საჩქაროდ რომელიმე ვარსკვლავის პლანეტაზე უნდა დაეშვას და დაელოდოს, სანამ ეს ფოტონური ვაკხანალია დამთავრდება. ხომალდის სისწრაფის შენელების წყალობით მნათობებმა შეაჩერეს უცნაური პირუეტები, კოსმოსმა ჩვეულებრივი სახე მიიღო.

კოსმონავტი შეშფოთებით უმზერდა მის გარშემო მიმოზნეულ ვარსკვლავებს, რადგან ვერცერთ მათგანს ცნობდა. რა დიდი მანძილით უნდა დაშორებოდა მშობლიური მზის მიდამოებს, რომ თანავარსკვლავედებს ასე მნიშვნელოვნად ეცვალათ სახე? ხუთასი, ათასი თუ კი-

დედ უფრო მეტი პარსეკით? სად იმყოფება ახლა იგი, ირმის ნახტომის რომელ კუთხეში? ვინ იცის, ეგებ სხვა გალაქტიკაშიც კი ამოჰყო თავი! მაგრამ რა დროს ამაზე ფიქრია? ახლა მთავარია სადმე შეაფაროს თავი.

მარჯვენა ეკრანზე მოყვითალო ვარსკვლავი აკიაფდა. ყველაზე ახლოს ის უნდა იყოს. ნეტავ თუ აქვს პლანეტები? ელექტრონული ტელესკოპით გივი დიდხანს ათვალიერებდა სივრცეს. ბოლოს ვარსკვლავის სიახლოვეს სამი მკრთალი წერტილი შენიშნა და სახე გაუნათდა. პრობლემა გადაჭრილი ჩანდა. არჩევანის საშუალებაც კი აქვს. სამი პლანეტიდან ერთ-ერთი უეჭველად გამოადგება თავშესაფარად. მალე ხომალდი უკვე ცენტრალური მნათობის გრავიტაციულ ველში მოხვდა. ახლა კაპიტნის საზრუნავი ისღა იყო, რომ სისწრაფე კიდევ უფრო შეენელებინა და რომელიმე პლანეტაზე დაშვებულიყო. ამჯობინა მესამე განაპირა ცთომილი, რადგან იგი დედამიწისოდენა ჩანდა, და, როგორც ხელსაწყოებმა ამცნეს, ატმოსფეროც უნდა ჰქონოდა. აი, ეს პლანეტაც, რომელიც ათასი კილომეტრის სიმაღლიდან მიმზიდველადაც კი გამოიყურებოდა. იქაური მზით განათებულ მხარეზე კარგად მოჩანდა მთავრეხილები, ვაკე ადგილები და მოზრდილი წყალსაცავები. წარმოსახვის უნარი კაცს რომ კარგად დაეძაბა, შესაძლოა, ცალკეული დეტალები დედამიწის ლანდშაფტისთვის მიემსგავსებინა. უცებ შორეული კოსმოსური რადიოკავშირის ინდიკატორი ლურჯად აციმციმდა. ნუთუ პელენგია? გივიმ დაასკვნა, რომ ან ამ პლანეტაზე გონიერი არსებანი ცხოვრობენ და ისინი თავიანთი კოსმოდრომის კოორდინატებს გადმოსცემ-

დნენ, ანდა ეს სიგნალები ეკუთვნოდა შემთხვევით იქ მოხვედრილ რომელიღაც ვარსკვლავმფრენის როგორც არ უნდა იყოს, მაინც ამ რადიოსხივის მიმართულებით დაჯდება.

ილუმინატორში გამოჩნდა ვეებერთელა დაბლობი. პელენგი მის შუაში აღმართული სამი ბორცვიდან მოემართებოდა და გვიმაც პირდაპირ იქით წაიყვანა ხომალდი. ავარიულმა ძრავებმა უკანასკნელად ამოისუნთქეს, ენერჯის გრიგალი ამოანთხიეს და დადუმდნენ. ვარსკვლავმფრენი რბილად შეეხო უცხო მიწას...

— კეთილი იყოს შენი მობრძანება, გივი ოძელო, უცნობ პლანეტაზე, — ხმამაღლა წარმოსთქვა კოსმონავტმა და სამართავი პულტიდან წამოდგა.

— კეთილი იყოს შენი მობრძანება, გივი ოძელო, უცნობ პლანეტაზე, — მოესმა მისივე სიტყვები მიმღებიდან.

— ეს რა სპექტაკლია? — გაიოცა გვიმი.

მიმღებმა ეს სიტყვებიც უკან დაუბრუნა. კოსმონავტმა აღმაცერად გახედა ლითონის ყუთს, რომელიც თუთიყუშივით იმეორებდა მის ნათქვამს და ოთხივე მხარეს მიმოხილვითი ეკრანები ჩართო. გულიანად გაეცინა, როდესაც სამი ბორცვის მაგიერ სამი ვარსკვლავმფრენი დაინახა. დიდი დაკვირვება არ იყო საჭირო იმის მისახვედრად, რომ ისინი დედამიწელთა ნახელავს არა ჰგავდა, მაგრამ ისიც ცხადი იყო, რომ სამივენი ერთმანეთისგან ისევე განსხვავდებოდნენ, როგორც მისი ხომალდი თითოეული მათგანისაგან.

— გაუმარჯოს ოთხ ცივილიზაციას! — ირონიულად

წარმოთქვა გივი ოძელმა, — ახლავე შევსვამ ამ ისტორიული შეხვედრის სადღეგრძელოს.



შემდეგ კარადა გამოაღო და ვარდისფერი, ტონუსის ამწევი სითხე ვიწროყელიან ჭიქაში დაისხა. მიმღები დუმდა. ამჯერად კოსმონავტს სიტყვები აღარ გაუმეორებია. ის იყო გივიმ სასმელი გამოსცალა და კმაყოფილებით იგრძნო, ამდენი ნერვული ტრავმების შემდეგ თანდათან როგორ ეუფლებოდა მის სხეულს სანეტარო სითბო და მოსვენება, რომ სამართავი კაბინის ერთმა კედელმა ციმციმი დაიწყო და იმპროვიზებულ ეკრანზე გამოჩნდა მახლობელი უცხო ვარსკვლავმფრენის კაიუტკომპანია. სამი სავარძლიდან გივი ოძელს სამი უცხოპლანეტელი უმზერდა. ერთი მათგანი წამოდგა და ნახატი უჩვენა. მასზე გამოსახული იყო ორი ადამიანი, რომლებიც მათ შორის მდებარე რაღაც ხელსაწყოსკენ იყვნენ დახრილი, თითქოს მას ესაუბრებიანო. დინამიკაში ცვლავ გაისმა სიტყვები, რომლებიც გივი ოძელმა პლანეტაზე დაჯდომისას წარმოსთქვა.

„გასაგებია. კონტაქტისთვის მათ ესაჭიროებათ სრული ინფორმაცია ჩემი ენის შესახებ“, — გაიფიქრა გივიმ. შემდეგ უჯრიდან ლითონის შავი კოლოფი ამოიღო. მასში მოთავსებული ფოლადის თხელი ფირი სწორედ ამ მიზნისთვის იყო განკუთვნილი, რადგან გივის მშობლიურ ენაზე ამომწურავ ცნობებს შეიცავდა. კოსმონავტმა პნევმატურ აპარატში ჩადო იგი და უცხო ვარსკვლავმფრენის მიმართულებით პლანეტის ზედაპირზე გადაისროლა. შემდეგ დაინახა, თუ ერთ-ერთმა უცნობმა როგორ მოუხმო რობოტს და რაღაც უბრძანა. გადაცემა შეწყდა.

„საინტერესოა, რამდენ ხანს მოუნდება მათი აპარატურა დედამიწელთა ენის გაშიფვრას?“ — ჩაილაპარაკა გვიმ და ის იყო დაჯდომა დააპირა, რომ კედელი ისევ განათდა. მის თვალწინ იგივე კაიუტკომპანია იყო. უცხო-პლანეტელმა, რომელმაც ადრე გვიმის ნახატი უჩვენა, ღიმილით მიმართა:

— ფოტონურ ქარიშხალში მოხვდით?

— დიახ.

— ჩვენც აქ ვაფარებთ თავს. ყველაფერი წესრიგში გაქვთ?

— თითქმის, გარდა მთავარი ძრავებისა...

— ეტყობა ანჰილაციური სისტემისაა.

— თქვენი ვარაუდი სწორია.

— მაშინვე მივხვდით, როცა ჯდებოდით.

— მე ხომ ავარიული ძრავებით დავფრინდი? როგორ გამოიტანეთ ასეთი დასკვნა?

— ჩვენც იძულებული ვიყავით ასეთივე გზით მოგვეღწია პლანეტამდე, რადგან ზეახალი ვარსკვლავის ფოტონურმა ფრონტმა საგრძნობი დარტყმა მოგვაყენა. მართალია თითოეული ჩვენთაგანის ხომალდი სრულიად განსხვავებული კონსტრუქციის გახლავთ, მაგრამ ყველას ერთი რამ მაინც აქვს საერთო. როგორც თქვენთვისაც უნდა იყოს კარგად ცნობილი, ანჰილაციურ ძრავებს მუშაობის მარტოოდენ ერთადერთი პრინციპი გააჩნიათ და ამიტომ მათთვის დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ იდეალური სფეროს ფორმა. სხვა ვარიანტი გამორიცხულია.

— მართალი ბრძანდებით.

— და აი, ოთხივე ვარსკვლავმფრენს მიწებებულ
აქვს ზუსტად ერთნაირი სფეროები... ამან მიგვანახა
მობრძანდით, გვეწვიეთ. ნურაფერი გაფიქრებთ, თქვენს
ჯანმრთელობას არავითარი საფრთხე არ მოელის. ჩვენც
ქანგზადის ცივილიზაციებს ვეკუთვნით.

— მაგრამ გარეთ მაინც სკაფანდრით უნდა გამოვიდეთ.
ჯერჯერობით აქაური ატმოსფეროს ხეირიანი ანალიზიც
კი ვერ მოვასწარი. ამიტომ ცოტას დავყოვნდები.

— ნუ სწუხართ. ჩვენ უკვე გავაკეთეთ გერმეტული
დერეფანი და იგი პირდაპირ თქვენი ხომალდის შესასვ-
ლელს ებჯინება. ამრიგად, გელით.

„ერთი ამათ დამიხედეთ, ყველაფერი არ მოუსწრი-
ათ?“ — ჩაიბუტბუტა თავისთვის გივი ოძელმა და ლიუ-
კისკენ გაემართა. როცა გასასვლელს მიუახლოვდა, მცი-
რე ხნით შეჩერდა. კოსმონავტიკისთვის ჩვეულმა სიფრთხი-
ლემ მაინც თავისი გაიტანა და წითლად შეღებილი ბერ-
კეტი გადასწია. ვარსკვლავმფრენის კედელი მაშინვე გამ-
ქვირვალე გახდა და როცა კაპიტანი დარწმუნდა, რომ
დერეფანი მართლაც არსებობდა, თამამად გამოალო
ლიუკი.

სულ მალე დედამიწელი გივი ოძელი უცნობების
გვერდით მეოთხე სავარძელზე ჩამოჯდა და თავისი კო-
ლეგები ცნობისმოყვარედ შეათვალიერა. წმინდა წყლის
ანთროპოიდები! თითქოს სამივენი პირდაპირ მისი მშობ-
ლიური პლანეტიდან გამოეცხადნენო. თუმცა, როცა
კარგად დააკვირდა, მაინც შეამჩნია არამიწიერება მათ
იერსახეში, განსაკუთრებით კი თვალებში... დედამიწე-
ლი ადამიანის თვალებს სულ სხვა ეშხი და სითბო, გა-



მომეტყველების რაღაც შეუცნობელი ნიუანსები ვაჩ-
ნია. თუმცა გივისთვის რომ გეკითხათ, თუ რაშია გასწო-
ხატებოდა ეს თავისებურება, ხეირიანად ვერც კი გეტ-
ყოდათ. ქვეშეცნობით გრძნობს ამას, მორჩა და გათავდა.

ერთხანს ჩუმად ისხდნენ. დამხვდურნიც თვალს არ
აშორებდნენ გივის. შემდეგ მასპინძელმა თქვა:

— კარგა ზანს მოგვიხდება აქ ყოფნა. მოდით, დრო
რომ მოვკლათ, თითოეული ჩვენთაგანი მოყვეს ყველა-
ზე უცნაურ ამბავს, რაც კი კოსმოსში შემთხვევია.

— რასაკვირველია თავგადასავლის მოსმენა უფრო
გონივრული იქნებოდა, დაეთანხმა მეორე, — აბა, რა
საჭიროა მომამბეზრებელი საუბარი გავუბათ ერთმანეთს
იმის თაობაზე, თუ რას და როგორ მივალწიეთ. ისედაც
გასაგებია რანი ვართ — მეტაგალაქტიკის ზეცივილიზა-
ციების მოქალაქენი!

— შეც ასე მგონია, — გაიზიარა მათი აზრი მესამე-
მაც.

მხოლოდ გივი ოძელი დუმდა. „როგორ იქნება, —
ფიქრობდა იგი, — სამი 'გალაქტიკის წარმომადგენლებს
შევხვდეთ და არაფერი გავიგო — უცნობი სამყაროების
შესახებ, როგორ ჩაისახა და განვითარდა მათი ცივილი-
ზაციები?“

— თქვენ არ გვეთანხმებით, მეტაგალაქტიკელო
ძმავ? — ჰკითხეს დანარჩენებმა.

— ჩემი რასის გენები არ მაძლევენ მოსვენებას. თქვენ-
გან განსხვავებით შედარებით უფრო ცნობისმოყვარე
გახლავართ და შემძლია განუზომლად შევითვისო ახა-
ლი ინფორმაცია.



— რას ნიშნავს, რომ განვითარების უმაღლეს დონეს თქვენმა ხალხმა, ალბათ, ახლახან მიაღწია! — თქვენმა ველმა.

— როგორ, ნუთუ უკვე დაკარგეთ ინტერესი სიახლისადმი? ვიყოთ გულახდილნი, თვითკმაყოფილება კარგს არაფერს მოასწავებს, — შეეხმიანა გივი.

— სწორად ვერ გამიგეთ. სრულიად სხვა რამ მქონდა მხედველობაში. საქმე ის არის, რომ სამყაროს ყველა გონიერ არსებათა განვითარების გზა ერთია — საბოლოოდ უნდა შეიქმნას ზეცივილიზაცია. და როდესაც ეს განხორციელდება, მაშინ კულტურათა დონეები გათანაბრდება. ასეთ ვითარებაში ნებისმიერ ინფორმაციას ერომანეთის შესახებ ხელშესახები ღირებულება არ გააჩნია. როცა არ არის მიზანი, იქ აღარ რჩება ინტერესის ადგილი, იმაში თქვენც მალე დარწმუნდებით.

გივი ოძელმა ხეირიანად ვერც კი გაიაზრა ნათქვამი, რომ შასპინძელი უკვე თხრობას შეუდგა.

პირველი კოსმონავტის ნამუბობი

— ო, ძმანო, იცოდეთ, რომ ჩვენი მეტაგალაქტიკის შორეულ საზღვრებზე ბინადრობს მეტად უცნაური ხალხი, რომლებიც თავის თავს ატლანტებს უწოდებენ...

— ატლანტებს? — წამოიძახა გივიმ, — ეს სახელწოდება ჩემი მშობლიური პლანეტის ძველთაძველ მითებს მაგონებს.

— ადვილი შესაძლებელია, რომ არქაულ ეპოქაში მათ თქვენს პლანეტასთან რაიმე კავშირი ჰქონდათ, რად-



გან, როგორც ატლანტებმა მითხრეს, ადრე ისინი თურ-
მე მეტაგალაქტიკის რომელიღაც ცენტრალურ ვარს-
კვლავთა სისტემაში ცხოვრობდნენ.

— უკაცრავად, ხომ არ მეტყვი, რა გსმენიათ მათ
წარმოშობაზე?

— ბევრი არაფერი. იმიტომ კი არა, რომ მათთან
ყოფნის დროს ამ ამბით არ დავინტერესებულვარ. სამ-
წუხაროდ, თვით ატლანტებმაც ხეირიანად არ იციან სა-
კუთარი პრეისტორია. არსებობს მხოლოდ სანახევროდ
ლეგენდარული, სანახევროდ შესაძლოა სიმართლის შემ-
ცველი ბუნდოვანი გადმოცემა, რომლის მიხედვითაც
თითქოს ატლანტებს, როდესაც განვითარების მაღალი
საფეხურისთვის მიუღწევიათ, თავის დედაპლანეტაზე
დაუწყიათ რაღაც უცნაური ცდების ჩატარება, რის შე-
დეგადაც ერთხელ მათ კონტინენტზე დაწყებულა არა-
მართული რეაქცია — მატერიის გადაგვარების გამო ხმე-
ლეთს დეფორმაცია განუცდია და ოკეანეს ჩაუნთქავს
კოლოსალური მიწა მთელი თავისი მოსახლეობით...

— ეტყობა, ატომებში მეზონური კავშირების განე-
იტრალეზაზე მუშაობდნენ, — ჩაერთო საუბარში მესამე
კოსმონავტი, — ო, რა დიდი სიფრთხილეა საჭირო ამ
დროს. პატარა შეცდომა და გლობალური ჯაჭვური რეაქ-
ცია დაიწყება გარდუვალად.

— გადარჩენილან მხოლოდ ისინი, ვინც იმ დროს
კოსმოპორტის სიახლოვეს იმყოფებოდნენ, — გააგრძე-
ლა თხრობა პირველმა კოსმონავტმა, — ჩამსხდარან
ვარსკვლავმფრენებში და მიუტოვებიათ თავიანთი სამ-
შობლო ასეთი საშინელი ტრაგედიის შემდეგ. ასე გა-



სინჯეთ, არა მარტო საკუთარი პლანეტა, არამედ იქაური მზის სისტემაც და საერთოდ მშობლიური გალაქტიკის კი მოიძულეს. მათ მიაშურეს მეტაგალაქტიკის პერიფერიას და იქაურ ვარსკვლავთა პლანეტებზე დასახლდნენ. მოკლედ რომ ვთქვათ, დაახლოებით ასე გამოიყურება მათი არქაული მატიაწე. სინამდვილესთან რამდენად ახლოა იგი, კაცმა არ იცის. დავსძენ მხოლოდ, რომ ატლანტების გენია განუმეორებელია ქვეყანაზე. ალბათ, სისხლში აქვთ გამჭდარი ბუნების ბრმა ძალებთან ჭიდილი და ამიტომაც არის, რომ ასე თავგამოდებით უტევენ ქაოსს, რომელიც გარს არტყია მეტაგალაქტიკას.

— ქაოსს? — იკითხა მეორე კოსმონავტმა, — რას გულისხმობთ ამ სიტყვაში?

— ნუთუ თქვენ არ იცით, თუ რა მდებარეობს ხილული სამყაროს მიღმა?

ორმა უცხოპლანეტელმა დაუდასტურა, რომ ამის თაობაზე მათ არავითარი წარმოდგენა არა აქვთ. ხოლო გივი ოძელმა კი დაუმატა:

— სამყაროს არ გააჩნია არც საწყისი და არც ბოლო, იგი უსასრულოა დროსა და სივრცეში. ეს ჩვენთან ბავშვებმაც კი იციან.

— აზრადაც არ მომსვლია ამის უარყოფა, — უპასუხა პირველმა კოსმონავტმა, — დიდი სამყარო სწორედ იმ თვისებებით ხასიათდება, როგორც ბრძანეთ. მაგრამ ეს არ ეხება მის ნაწილს ანუ ჩვენს მეტაგალაქტიკას — მას ზუსტად მოხაზული მოცულობა გააჩნია და არვინ უწყის, თუ სად არის კიდევ ანალოგიური სამყაროები ქაოსის მიღმა. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ისინი აუცილებ-

ლად უნდა არსებობდნენ, მაგრამ, ალბათ, იმდენად და-
შორებული არიან ჩვენგან, რომ მათ ადგილმდებარეობ-
ბას გონებითაც კი ძნელად წარმოიდგენს კაცი.

— მაშასადამე, თქვენი აზრით, მეტაგალაქტიკის სის-
ტემა წყვეტილია? — ჰკითხა მესამე კოსმონავტმა.

— რა თქმა უნდა.

— იქნებ აგვიხსნა, თუ რეალურად რა არის მისი სა-
ზღვრების მიღმა?

— ხომ მოგახსენეთ, ქაოსი მეთქი.

— რა არის ქაოსი?

— არაორგანიზებული მატერია, ანუ ისეთი ნაწილა-
კების სუბსტანცია, რომელთაგანაც შედგება თქვენთვისაც
კარგად ცნობილი ელემენტარული ნაწილაკები. ქა-
ოსი მატერიის მოძრაობის უმდაბლესი ფორმაა. თუმცა,
როცა ვამბობ მატერია მეთქი, ეს პირობითად უნდა ვი-
გულისხმოთ, თორემ იგი ჯერ კიდევ არაა მატერია ამ სი-
ტყვის სრული მნიშვნელობით, რადგან მაშინ აღარ იქნე-
ბოდა ქაოსი...

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ ქაოსი ვარსკვლავმდე-
ლი ნივთიერება ანუ პირვანდელი მატერიაა? ასეთი სუბ-
სტანციები ხომ ჩვენს ხილულ სამყაროშიც გვხვდება, —
ჩაურთო სიტყვა მეორე კოსმონავტმა.

— არავითარ შემთხვევაში. პირვანდელი მატერიაც
ისევე როგორც ხილული სამყაროს სხვა ნივთიერებანი
ელემენტარული ნაწილაკებისგან შედგება. ქაოსი კი სულ
სხვა რამაა. დრო, სივრცე, გრავიტაცია და სხვა ფიზიკუ-
რი კატეგორიები იქ არ არსებობს იმ გაგებით, როგორც
ეს ჩვენ გვესმის.

— მაშ ქაოსი არარაობა ყოფილა, — მრავალმნიშვნელოვნად თქვა გივი ოძელმა.

— გარკვეული თვალსაზრისით ეს შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ იგი მაინც რაღაც არის. დანამდვილებით რას წარმოადგენს, კარგად არც კი მესმის. ეს მხოლოდ ატლანტებმა იციან, რომლებიც ქაოსის დამორჩილებით ცდილობენ გადაჭრან გრანდიოზული კოსმოლოგიური ამოცანა. კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენი მეტაგალაქტიკა ამჟამად ფართოვდება, რაც სამყაროს განვითარების ერთ-ერთი მომენტიცაა. ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ ქაოსის ზემოქმედებით, რომელიც გარშემო გვაკრავს, გალაქტიკების მოძრაობა დამუხრუჭდება, რაც ბიძგს მისცემს პირუკუ პროცესის — სამყაროს შეკუმშვის დაწყებას. ხოლო ეს კი ბოლოს და ბოლოს მოასწავებს კონცენტრირებული მატერიის აფეთქებას ანუ გალაქტიკების ხელახლა წარმოშობას. ამის შემდეგ სამყარო ისევ დაიწყებს გაფართოებას და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ დასაბამი არ მიეცემა ახალ შეკუმშვას. ასეთია მარტივად სამყაროს არსებობის კანონი. და, აი, ატლანტები ცდილობენ იგი გააუქმონ.

კოსმონავტებმა, რომლებიც მასპინძელს ყურადღებით უსმენდნენ, ერთმანეთს გადახედეს და სახეზე ღიმილი აუთამაშდათ. მან კი, თითქოს არაფერი შეუმჩნევიაო, განაგრძო:

— ატლანტები ხელოვნურად ჰქმნიან კოლოსალურ დერეფნებს ქაოსში, რომ მასში ორგანიზებული მატერია შეიჭრეს, რაც იმას მოასწავებს, რომ სამყაროს გაფართოება ქაოსის ხარჯზე უსასრულოდ მოხდება. ტან-

ში მაყრუოლებს, როდესაც მაგონდება ატლანტების
ზღაპრული ძღვევამოსილება. ისინი ისევე თავისუფლად
ჭქმნიან ახალ-ახალ გალაქტიკებს ქაოსიდან, როგორც
ბავშვები ფანტასტიკურ ნაგებობებს ქვიშიდან. როგორც
ხედავთ, ეს ერთადერთი რასაა მთელს სამყაროში, რომე-
ლიც ქაოსზე მბრძანებლობს. და უნდა მოგახსენოთ, რომ
ატლანტები ამ საქმეს მხოლოდ საკუთარ პრეროგატივად
მიიჩნევენ. ყოველ შემთხვევაში, არავითარ სურვილს არ
ამჟღავნებენ, რათა სხვა ცივილიზაციებთან ითანამშრომ-
ლონ. უფრო მეტიც, საერთოდ კონტაქტებს არავისთან
ამყარებენ. შემთხვევით თუ მოხვდება ხოლმე მათთან
ვინმე, ისე, როგორც ერთხელ მე დამემართა... მაშინაც
ჩემი ვარსკვლავმფრენი ფოტონურ ქარიშხალში მოხვდა.
ყველაზე საშინელი ის იყო, რომ მწყობრიდან გამოვი-
და არა მარტო მთავარი ძრავები, არამედ სათადარიგო-
ნიც. უთუოდ გამიგებთ, თუ რას ნიშნავდა ეს კოსმონავ-
ტისთვის: სრულიად უმწეო მდგომარეობაში აღმოვჩნდი.
ხომალდის სისწრაფემ სულ მალე სინათლისას მიაღწია.
რელიატივისტური სიჩქარის გამო ვარსკვლავმფრენში
დრო თითქმის შეჩერდა, მაგრამ ობიექტური დროით,
ალბათ, რამდენიმე ათასი წელი გავიდა... მე კი მეჩვენე-
ბოდა რომ თითქოს სულ რამდენიმე წამმა თუ გაიარაო
უცებ ვიგრძენი, რომ რაღაც არაჩვეულებრივი რამ ხდე-
ბოდა — ხომალდის სისწრაფე თანდათანობით კლებუ-
ლობდა. ვერაფრით ამეხსნა, თუ რა ხდებოდა ჩემს თავს.
ხოლო როდესაც ვარსკვლავმფრენი გაჩერდა, ატლანტე-
ბის ერთ-ერთ პლანეტაზე ამოვყავი თავი.

— ყოვლად წარმოუდგენელია, — შეაწყვეტინა მას-



ბინძელს მესამე კოსმონავტმა, — რომ ადამიანს მიეძღვნა
ლოს სინათლის სისწრაფით მიმავალ ხომალდზე გარედან
დან რაიმე ზემოქმედება მოახდინოს...

— ატლანტებისთვის, ეტყობა, ეს დიდ სირთულეს
არ წარმოადგენს. ისინი ხომ ჩვენსავით ჩვეულებრივი
მომაკვდავნი არ არიან. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ვერ
შეასრულებდნენ თავიანთ კოსმოლოგიურ მისიას. მაგ-
რამ მთავარი სულ სხვა რამაა. იცით, რა მითხრეს, რო-
დესაც ხომალდიდან გადმოვედი? ჩემი გადარჩენა თურქე
სრულიადაც არ მოსვლიათ აზრად. ერთადერთი მიზეზი,
რის გამოც ვარსკვლავმფრენი დასვეს თავის პლანეტაზე
ის ყოფილა, რომ, თურმე ნუ იტყვი, ქაოსის საზღვ-
რებს ვუახლოვდებოდი და იმ სექტორში, ჩანს, ატლან-
ტები ახალი გალაქტიკის შექმნაზე მუშაობდნენ. რო-
გორც ისინი მარწმუნებდნენ, ჩემი ხომალდის შეჭრა მა-
თი არქიტექტურული ჩანაფიქრის ჰარმონიას დაარღვევ-
და, რადგან უკვე მომზადებული სუბსტანციის ნაადრე-
ვად აფეთქებას გამოიწვევდა. ხომ ხედავთ, ატლანტები
იმაზეც კი ფიქრობენ, რომ მათ მიერ შექმნილი გალაქ-
ტიკები თვალისთვის სასიამოვნო იყოს, ესთეტიკურ
ემოციებს იწვევდეს.

— თუ ასეთი გულქვანი ყოფილან, მიკვირს, რატომ
არ მოსპეს თქვენი ვარსკვლავმფრენი, რაღას წვალობდ-
ნენ, რომ რბილად დაესვით პლანეტაზე? — იკითხა გვი
ოძელმა.

— არა, ძმანო, ეს რასა, მართალია აღმაცერად გვი-
ყურებს ყველას, აქაოდა დიდი კოსმოსის საქმეები გვა-
კისრია და თქვენ ვინღა ხართ გალაქტიკიდან გალაქტიკა-

ში ძლივს რომ დადოდავთო, მაგრამ ამასთანავე ისინი მანოილები არიან და სხვა გონიერ არსებებს ვხედავთ მოუტანენ. პირიქით, მათი მოღვაწეობა ხომ მთელი მეტაგალაქტიკის ცივილიზაციების კეთილდღეობისათვის არის გამიზნული. ისინი ჩვენს შორეულ შთამომავლობას თავიდან ააცილებენ გლობალურ კატასტროფას — სამყაროს შეკუმშვას, რაც უეჭველად გონიერ არსებათა ყოფნა-არყოფნის საკითხს დასვამდა. განა უმაღლესი კეთილშობილების გამოხატულება არაა ის, რომ იზრუნო შენი მშობლიური სამყაროს ნათელი მომავლისთვის?

— მასპინძელმა თხოვრა დაამთავრა და მეორე კოსმონავტს ნიშანი მისცა: ახლა შენი ჯერიაო.

მეორე კოსმონავტის ნამბობი

— ო, ძმანო, ჭეშმარიტად განუზომელია გონიერ არსებათა შესაძლებლობანი. ეს ატლანტები მართლაც რომ გასაოცარი ხალხი ყოფილა. მაგრამ ისიც უნდა დავსძინოთ, ჩვენი განვითარების დონეც საკმაოდ მაღალია და პესიმიზმს ნუ მივეცემით. ამით იმის თქმა მინდა, რომ მიუხედავად ატლანტების ჩვენდამი ქედმაღლური დამოკიდებულებისა, მაინც მნიშვნელოვან ძალას წარმოვადგენთ სამყაროში, განსაკუთრებით ახალგაზრდა ცივილიზაციებისთვის. ახლა მოგითხოვრებთ იმაზე, თუ რა ორიგინალური ვითარება შეიქმნა ერთ პლანეტაზე, როდესაც აბორიგენებმა ღმერთად გამოამაცხადეს.

— და თქვენც სიამოვნებით მიიღეთ და შეიფერეთ ეს ტიტული? — დამცინავად შეეკითხა გივი ოძელი.

— სხვა გამოსავალი არ მქონდა. ყოვლად შეუძლებელი იყო ისინი დამერწმუნებინა, რომ იქაურ მკვიდრთ სხვა ვარსკვლავის პლანეტიდან ვესტუმრე. მათი გულუბრყვილო წარმოდგენით, რადგან ციდან დავეშვი, უეჭველად ღმერთის რანგისა უნდა ვყოფილიყავი.

ო, ძმანო, იცოდეთ, რომ ახლანდელივით გრანდიოზულ ფოტონურ ქარიშხალში მოვხვდი. როგორც ამ დროს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე მთავარი ძრავები უმალ მწყობრიდან გამოვიდა, მაგრამ იღბლად საავარიონი წესრიგში იყო და გადავწყვიტე მათი საშუალებით მიმეღწია რომელიმე პლანეტამდე, დამეცადა სანამ ის საშინელი გრიგალი ჩადგებოდა, შემეკეთებინა ანჰილაციური კამერები და განმეგრძო რეისი. და, აი, ერთ-ერთ დასახლებულ პლანეტაზე აღმოვჩნდი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა კაარს უწოდებდა. სხვათაშორის, ეს სიტყვა მათ ენაზე მშობელს ნიშნავს.

ჩემს თვალწინ პრიმიტიული ხალხი იყო. ისინი თუმცა ჯერ კიდევ არ იცნობდნენ მექანიზმებს, მაგრამ ლითონებს უკვე ხმარობდნენ. მთავარი კი ის იყო, რომ მთელი მოსახლეობა დამონებული ჰყავდა ერთ მუჰაოლიგარქიებს, რომლებიც უმოწყალო ექსპლოატაციას უწევდნენ უბრალო ადამიანებს. მმართველებს ემსახურებოდა გაწვრთნილი დემაგოგების მთელი არმია, რომელთა მოვალეობას შეადგენდა მორჩილებაში ჰყოლოდათ ისინი, ჩაეგონებინათ დაბეჩავებული და დატანჯული მასებისთვის, რომ ყოველივე, რასაც კი ბატონები მოიმოქმედებდნენ, თითქოს მხოლოდ მათი კეთილდღეობისათვის

ამაზრუნენი
სურათი დავინახე.
საქართველო
საქართველო

იყო განკუთვნილი. მართლაც რომ მეტად

სურათი დავინახე. მე აბორიგენებმა უზენაესი ძალის სიმბოლოდ გამო-
მაცხადეს. მაშასადამე, ვფიქრობდი ჩემთვის, შემიძლია
ვიქადაგო ის, რასაც მოვისურვებ. მოდი, თვალს ავუ-
ხელ მონებს, შევაგნებინებ მათ უმწურო, არაადამიანურ
მდგომარეობას და ბიძგს მივცემ გააჩაღონ ბრძოლა თა-
ვისი განთავისუფლებისათვის.

დავიწყე სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში
სიარული, ყველგან ხალხს ვამხედრებდი, რომ თავიანთი
მჩაგვრელები ჩამოეგდოთ და სოციალური თანასწორო-
ბის საზოგადოება შეექმნათ. თავისთავად ცხადია, რომ
ოლიგარქებს არაფრად ეჭაშნიკებოდათ ყოველივე ეს და
გაბოროტებით დაიწყეს ჩემზე ნადირობა. ხშირად მათი
მეომრების უთვალავი ბრბოები თავს მესხმოდნენ და პა-
ნიკით უკუიქცეოდნენ ხოლმე, როდესაც უვნებელს მხე-
დავდნენ. ეს იმიტომ, რომ პორტატული აპარატით დამ-
ცავ ველს ვქმნიდი ჩემს ირგვლივ საჭიროების შემთხვე-
ვაში, რაც შესანიშნავად მიცავდა. ჩემი მოჩვენებითი
უკვდავება, მათი აზრით, ღვთაებრიობის ერთ-ერთი ატ-
რიბუტი იყო, რაც ფრთებს ასხამდა მონებს, ხოლო ბა-
ტონებს კი შიშის ზარსა სცემდა. რაღა ბევრი გავაგრძე-
ლო და მოკლე ხანში მთელს კაარზე აჯანყების ხანძარი
აგიზგიზდა, რომელმაც ძირფესვიანად გადაბუგა ოლი-
გარქებისა და დემაგოგების ძალადობა.

— და ამით თქვენ დაარღვიეთ ზეცივილიზაციების
ეთიკური კანონი, რომელიც კრძალავს პრიმიტიული
ხალხების ისტორიულ განვითარებაზე გავლენის მოხდე-

ნას. და იცით, რატომ? თითოეულმა მათგანმა თვითონ უნდა გამონახოს გზა უკეთესი მომავლისკენ სხვების დაუხმარებლად, — უთხრა მასპინძელმა.

მეორე კოსმონავტმა თავის მართლება დაიწყო:

— იგივე კანონი გვიკარნახებს, რომ, თუკი, დესპოტიზმისა და მონობის მახინჯ ფორმებს შეხვდება სადმე კოსმონავტი და ახალფეხადგმულ ცივილიზაციის წინსვლას ათასი წლობით შეფერხება ემუქრება, მისი ჩარევა დასაშვებია, ოღონდ ერთი პირობით. მან მხოლოდ კატალიზატორის როლი უნდა შეასრულოს. უშუალოდ თვითონ თითი თითზე არ უნდა დააკაროს იმ თვალსაზრისით, რომ პირადად უფლება არა აქვს რაიმე ზიანი მიაყენოს სხვა პლანეტების გონიერ არსებებს. ყველაფერი ადგილობრივმა მცხოვრებლებმა უნდა გააკეთონ თავისი ძალებით...

— გამოდის, რომ თქვენ მხოლოდ განმანათლებლურ მოღვაწეობას ეწეოდით. ნუთუ აგიტაცია საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ დამონებულ ხალხს გამარჯვება ეზეიმა? მათ ხომ ბრძოლის არავითარი გამოცდილება არ ჰქონდათ!

— ეთიკური კანონი არ მიკრძალავდა ჩავრულთა დამრავლების როლშიც გამოვსულიყავი, სათანადოდ გამეწვრთნა ისინი ტექნიკური და სტრატეგიული თვალსაზრისით. როცა ადამიანები რაიმე იდეალისკენ მიისწრაფიან, ამასთანავე არსებობს შესაფერისი შეგნება და ორგანიზაცია, მიზნის განხორციელებას წინ ვერაფერი გადაელობება. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა და მართლაც მოხდა ის, რაც გარდუვალი იყო — მონობა დაემხო... რა

თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ კაარელთა რუდუნებითა და მეცადინეობით. გულახდილად რომ გითხრობდით, თქვენი წვლილი ამ საქმეში არც თუ ისე თვალსაჩინოდ გამოიყურება. ბოლოს და ბოლოს, ადრე თუ გვიან ეს ხომ მაინც ასე მოხდებოდა.

კაიუტკომპანიაში სიჩუმემ დაისადგურა. ჯერი მიდგა მესამე კოსმონავტზე, რომელიც ოდნავ აღელვებული ჩანდა. ყველა მოელოდა, რომ იგი თავგადასავლის მოყოლას შეუდგებოდა, მაგრამ ამოდ. მათდა გასაკვირად იგი უკანასკნელ მთხრობელს შეეკითხა:

— ხომ არ მეტყვი, ძმაო, დაახლოებით როდის მოხდა ეს ამბავი?

— არც თუ ისე დიდი ხნის წინ. ჩემი ბიოლოგიური ასაკის კალენდრით რომ ვიანგარიშოთ, სულ რაღაც ათი წელი თუ გამოვა.

— მაგრამ რელიატივისტური დროის მიხედვით?

— ო, აქ სულ სხვა მასშტაბებთან გვექნება საქმე. ახლავე გამოვიანგარიშებ. კაარიდან დაბრუნების შემდეგ ერთ წელს ჩემს მშობლიურ პლანეტაზე ვისვენებდი, დანარჩენი დრო მცირე ინტერვალების გარდა სულ კოსმოსში ვარ. ბუნებრივია, რომ ყოველთვის სინათლისაბლო სისწრაფით არ დავფრინავდი... — კოსმონავტმა ჯიბიდან პატარა ხელსაწყო ამოიღო და მბრუნავ ფირფიტაზე რაღაც ციფრები აკრიფა. კედელზე გამოჩნდა რობოტის სილუეტი.

— გისმენთ, კაპიტანო!

— გეთაყვა, გადმომეცით რელიატივისტური დროის მაჩვენებლის მონაცემები.

გივი ოძელს ესამოგნა, რომ მისი კოლეგა რობოტს თქვენობით მიმართავდა. ეკრანზე კარგად გამოჩნდა, თუ როგორ მიუახლოვდა რობოტი სამართავ პულტს და ერთ-ერთ ხელსაწყოს დააკვირდა. შემდეგ მოტრიალდა და მეორე კოსმონავტს უთხრა:

— ათი ათასი...

— გმადლობთ.

— სხვას ხომ არაფერს ინებებთ?

— არა.

— თქვენი ნებართვით ვწყვეტ გადაცემას.

— როგორც რობოტმა მოგვახსენა, — გააგრძელა საუბარი მეორე კოსმონავტმა, — კაარიდან ჩემი წამოსვლის შემდეგ გასულა ას საუკუნემდე. რატომ დაგაინტერესათ ამ საკითხმა?

მესამე კოსმონავტს თვალები უბრწყინავდა, ალტაცებული შეჰყურებდა მოსაუბრეს, თითქოს მის წინ მართლაც ღმერთი აღიმართათ.

— საქმეც ის არის, რომ... პლანეტა კაარის მკვიდრი გახლავართ, — თქვა მან.

— აი, შეხვედრაც ამას ჰქვია! მაშასადამე, სანამ კოსმოსში დავებეტებოდი, თქვენი ცივილიზაცია ბავშვობის ასაკიდან გამოვიდა და ახლა განვითარების დონის მიხედვით დაგვეწიეთ კიდევ? მომილოცავს, ძმაო!

— ამას, ალბათ, პირველყოვლისა, თქვენ უნდა გიმადლოდეთ.

მეორე კოსმონავტს ღიმილისაგან სახე გაებადრა:

— სამყაროში გონიერ არსებათა განვითარების კანონზომიერებებს მკვიდრი საფუძველი გააჩნია. სუბი-



ექტური ფაქტორები ძალიან ცოტას ნიშნავს. ასე საუკუნე გავიდა... მერწმუნეთ, რომ ჩვენ მაინც აქ მოვხვდებით ზოდით დროისა და სივრცის ამ კოორდინატებში, თუნდაც რომ კაარზე ოლიგარქიის მოსპობას რამდენიმე ასეული წლით დაეგვიანა. თქვენი ცივილიზაცია მაინც მიაღწევდა დღევანდელ უმაღლეს მწვერვალს.

— ჭეშმარიტად ბრძანებთ, მაგრამ არ გაინტერესებთ რა სახელი დატოვებთ ჩვენთან?

— მთელი გულისყურით გისმენთ.

— ო, ძმაო, მართლაც დიდხანს ღმერთად იყავით მიჩნეული. მთელი პლანეტა მოფენილი იყო თქვენს სახელზე აგებული სამლოცველოებით. უსაზღვრო იყო ჩემი ხალხის თაყვანისცემა თქვენდამი, რომელმაც წინაპრებს შთაუწერგეთ თავისუფლების დიადი გრძნობა... და მხოლოდ მას შემდეგ რაც კოსმოსში გავედით..

— ვიცი, ალბათ, ამოიკითხეთ ჩემი დატოვებული ბარათი, რომელიც ლაზერის სხივით დავწერე კაარის მთვარის ყველაზე მაღალ კლდეზე და მხოლოდ მაშინ აღმოაჩინეთ, რომ ღმერთად წოდებული პიროვნება თურმე მეტაგალაქტიკის ჩვეულებრივი მოქალაქე ყოფილა, რიგითი კოსმონავტი.

მესამე კოსმონავტის ნაამბობი

— ო, ძმანო, იცოდეთ, რომ ჩემი თანამემამულენი ძნელად თუ დაიჯერებენ იმას, რაც აქ მოისმინეთ და რისი მოწმეც გახდით — რომ წილად მხვდა არნახული ბედნიერება: პირადად შევხვედროდი კაარის ცივილი-



ზაციის უდიდეს მოამბაგეს... გარწმუნებთ, რომ ეს
ლაზე ძვირფასი წუთებია ჩემს სიცოცხლეში.

ახლა კი პირობის თანახმად მოგიტხოვრებთ ერთ საო-
ცარ ამბავს, რომელიც თავს გადამხდა.

ერთხელ ლინზისებურ გალაქტიკას ვესტუმრე. დავა-
ლებული მქონდა გამომერკვია, თუ რა იწვევდა მისი ცენ-
ტრის არანორმალურ პულსაციას. ჩვენს ასტრონომებს
ამის თაობაზე სხვადასხვა ურთიერთსაწინააღმდეგო მო-
საზრება ჰქონდათ წამოყენებული და უნდა ჰქმარიტება
დამედგინა. ის იყო იმ გალაქტიკის პერიფერიის მივალწიე,
რომ წარმოუდგენელი ფოტონური ქარიშხალი ატყდა.
კაცმა რომ თქვას, არსად ზეახალი ვარსკვლავის აფეთქე-
ბის ნიშანწყალიც კი არ ჩანდა, რომ მისთვის დამებრალე-
ბინა ხომალდის შეფერხება. არა და უკვე ვატყობდი, რომ
ანჰილაციური ძრავები საცაა მწყობრიდან გამოვიდოდა.
სრულიად მოულოდნელად ფოტონების გრიგალი ისევე
ჩადგა, როგორც ამოვარდა. ყოვლად შეუძლებელია
ვფიქრობდი მე, რომ მათი ინტენსიურობა უმიზეზოდ გამ-
ქრალიყო. გაურკვეველმა ეჭვებმა შემიბყრო. ისიც
კი შესაძლებლად მეჩვენებოდა — გონიერი არსებების
ხელი ხომ არ ერია ამ საქმეში! იქნებ მათ ძალუძთ ფო-
ტონური ქარიშხლის ხელოვნური გამოწვევა? ჯერ ამ
ვარსკვლავთა სისტემის საზღვრებისთვის არც კი მიმიღ-
წევია და რატომ სწადიათ მწყობრიდან გამოიყვანონ ხო-
ბალდი? ჩემი წინასწარგრძნობა მალე გამართლდა. რო-
გორც კი სანახევროდ დაზიანებული მთავარი ძრავები
გამოვრთე, ლოკატორის ეკრანზე ოთხი ნათელი წერტი-
ლი შევამჩნიე ჩემს უკან. გამოცანა უკვე აღარ არსებობ-

და. რალაც გასაოცარი სიჯიუტით ოთხი ხომალდი მიახლოვდებოდა. რა განზრახვა ჰქონდათ მათ ^{ეკიბაძეებს} ჯერ არ ვიცოდი, მაგრამ ცხადი იყო, რომ სასიკეთო საქმისთვის არ უნდა დამდევნებოდნენ. ერთი მათგანი დაწინაურდა და წინ ამეტუზა, მეორე უკან ამომიდგა, ხოლო დანარჩენი ორი კი აქეთ-იქიდან, მარჯვნივ და მარცხნივ მომდევდნენ. მართლაც რომ ჩინებული ესკორტი გამოვიდა! საავარიო ძრავები ჩავრთე და მორჩილად გავყევი, მაგრამ, ო, ძმანო, ამას სიმხდალეში ნუ ჩამომართმევთ. უბრალოდ მაინტერესებდა რა სწადდათ უცხოებს, თანაც ჩემი პროგრამა უთუოდ უნდა შემესრულებინა, ტყუილ-უბრალოდ ხომ არ დავფარე კოლოსალური მანძილი. მიზნის მიღწევისათვის უკანდახევას არ ვარ ჩვეული. სიმართლე რომ მოგახსენოთ, ზოგჯერ თავში კიდევ გამივლვებდა ხოლმე აზრი, რომ ჩემი დამტყვევებლები თავიდან მომეშორებინა, რაც ძალიან ადვილი იყო, მაგრამ თავი შევიკავე. ამჯერად არ მინდოდა ძალადობისთვის ძალადობით მეპასუხნა, მითუმეტეს, რომ აშკარა მტრულ ზრახვებს უცხოგალაქტიკელები ჯერ არ ამჟღავნებდნენ... მცირე ხნის შემდეგ განაპირა სისტემის ერთ-ერთ პლანეტაზე დავეშვიით.

ხომალდის ანალიზატორების მონაცემებით იქაური ატმოსფერო ჩემთვის სრულიად გამოუსადეგარი იყო. აბა, წარმოიდგინეთ, აზოტითა და არგონით შეზავებულ ჰაერს რა გუნებაზე უნდა დავეყენებინე. თანაც ეს ნამდვილად მეკობრული გამოხდომა... სიმშვიდე ოდნავადაც არ დამიკარგავს. ჩემი ვარსკვლავმფრენი მიუვალი ციხე-სიმაგრე იყო, ხოლო თუ ბრძოლამდე მივიდოდა



საქმე, წინასწარ გულდაჯერებით ვიცოდი, რომ გამარჯვება მე დამრჩებოდა. ანჰილაციური საწვავი რაოდენობით მქონდა და სულ რაღაც წამები დამჭირდებოდა, რომ ჰიპოთეტური მოწინააღმდეგენი მტვრად მექცია...

ამ ფიქრებში ვიყავი, როდესაც ვიგრძენი, რომ ხომალდი შეინძრა, სადღაც მიმათრევდნენ. ეს კი მეტისმეტი მეჩვენა. გადავწყვიტე მათთვის ჭკუა მესწავლებინა. იქვე მახლობლად შევეულკალთებიანი კლდე იყო აღმართული. კარგად დავაკვირდი, დასახლებული არ ჩანდა. რობოტს ვუბრძანე ანტიმატერიის კაპსულა მოემზადებინა და პნევმატურ მექანიზმში ჩაედო. დავუმიზნე მთას და ვესროლე. კარგად მოგეხსენებათ რა მოჰყვებოდა მას: თვალისმომკრელი აფეთქება და კლდე გაჰქრა, არარაობად იქცა.

ხომალდმა მოძრაობა შეწყვიტა. უცნობები, ალბათ, უკვე მიხვდნენ, რომ არა მარტო რაღაც ასთან აქვთ საქმე, არამედ ვიღაც ასთანაც, რომლის ძლიერება განუზომლად აღემატებოდა მათსას და უეჭველად შეიგნეს, თუ რა დაემართებოდათ, ვითომდა მათ ტყვეს რომ მოსურვებოდა.

კარგა ხანს ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. ჩემმა გამაფრთხილებელმა ნიშანმა ნამდვილად საგონებელში ჩააგდო ლინზისებური გალაქტიკის გონიერი არსებანი. ბოლოს შევამჩნიე რაღაც მოძრაობა უცხო ვარსკვლავმფრენებთან. ჩემსკენ უცნაური კონფიგურაციის სხეული მოემართებოდა. წარმოიდგინეთ ორ რომბზე დაყრდნობილი ელიპსოიდი! ასეთი გარეგნობა ჰქონდა მას. მოძრაობი



გეომეტრიული ფიგურა ხომალდის მთავარ ტორთან გაჩერდა და საშუალება მომეცა დაწვრილებით გამესინჯა იგი. რომბები, ალბათ, ფეხების მოვალეობას ასრულებდა, ხოლო ელიფსოიდი უთუოდ ტანი უნდა ყოფილიყო, რომლის ორივე მხარეს ხელების მსგავსი სამსამი კიდური მოჩანდა თითებისმაგვარი საცეცები. რაც შეეხება თავს, ჩვენი გაგებით, რა თქმა უნდა, არ ჰქონდა. ელიფსოიდის ზემოთა ნაწილი ოდნავ ამობურცული იყო და მის შუაში ელვარებდა ერთადერთი მოწითალო-იისფერი თვალი... საკმარისი იყო ერთხელ მაინც შეგეხებათ მისთვის და მაშინვე მიხვდებოდით, რომ მსგავსი გამომეტყველება მხოლოდ გონიერ არსებებს შეიძლებოდა ჰქონოდათ... ჩემს წინ აბორიგენი — ლინზისებური გალაქტიკის მცხოვრები იდგა. ჰეშმარიტად მოჯადოებულივით მივჩერებოდი ბუნების ამ საკვირველებას. განსაკუთრებით მალეღვებდა უცნობის გამოხედვა, რომელიც თითქოს ერთდროულად გამოხატავდა ცნობისმოყვარეობასა და შიშს, სევდასა და სიბოროტესაც კი. შესაძლოა ვცდებოდი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ასე მეჩვენებოდა. დიდხანს ვუმზერდით ურთიერთს. იგიც, ეტყობოდა, თავისებურად მსწავლობდა და მაფასებდა... კინაღამ არ გამომჩნია ერთი დამახასიათებელი რამ: ელიფსოიდურ უცხოგალაქტიკელს პირი და ყურები არ ჰქონდა. ეს კი იმას მოასწავებდა, რომ ამ წარმოუდგენლად საოცარ რასას ენის მაგიერ ურთიერთობის რალაც სხვა საშუალება გააჩნდა. მაგრამ რა? ბიოდენები? ულტრაბგერა? თუ კიდევ სხვა რამ? რადიოაპარატურას მივუახლოვდი, რატომღაც ინსტინქტურად ვგრძნობდი, რომ

ელექტრომაგნიტურ ტალღებში უნდა მეძია კონტაქტის
გზა. ჩემი ცდა წარმატებით დაგვირგვინდა. ოცდაერთი
სანტიმეტრის დიაპაზონზე მოულოდნელად მიმღებიდან
ხელოვნური წარმოშობის სიგნალები შემომესმა. უმაღ-
ლოგიკურ მანქანაზე გადავრთე არხი. შემდეგ გადმოვი-
ღე სპეციალური ნახატებიანი წიგნი, რომელიც კონტაქტს
გამიადვილებდა და ილუმინატორთან მივიტანე. აბორი-
გენი მიხვდა ჩემს განზრახვას და თითოეულ სურათზე
იძლეოდა თავის ინფორმაციას. გამომთვლელი მანქანა
ერთდროულად ჩემს განმარტებებსაც ღებულობდა, რაც
მისთვის ერთგვარ გასაღებს წარმოადგენდა, რათა უცხო
არსების ენა გაეშიფრა.

ო, ძმანო, ჩვენ ერთმანეთის ენას სწრაფად ავუღეთ
აღლო, რადგან მონათესავე რასებს ვეკუთვნიოთ. აქ კი
საქმე მქონდა სრულიად განსხვავებული მიმართულების
აზროვნებასთან და ეს სამუშაო, ბუნებრივია, დიდხანს
გაგრძელდა. ბოლოს, როგორც იქნა, მანქანის პულტზე
წითელმა სინათლემ მამცნო, რომ იგი უკვე მზად იყო
შუამავლის როლი შეესრულებინა. კონტაქტის სქემა
უაღრესად მარტივი იყო: ჩემს მიერ წარმოთქმულ სიტ-
ყვებს მანქანა თარგმნიდა აბორიგენის ენაზე და ელექ-
ტრომაგნიტური რადიოტალღებით გადასცემდა მას და
პირუკუ-ელექტრომაგნიტური იმპულსების სახით მიღე-
ბულ ინფორმაციას მე მატყობინებდა ხმამაღლა მოლაპა-
რაკის საშუალებით.

თავდაპირველად, უცხოგალაქტიკელი დაინტერესდა,
თუ ვინ ვიყავი და საიდან, რა მიზანი მამოძრავებდა, რომ
მათ ვარსკვლავთა სისტემას ვეწვიე. როგორც ამიხსნა,

თურმე მეზობელი გალაქტიკის მცხოვრებლებთან მტრულად ყოფილან განწყობილი და იმ ჭკუის კოლონელებს მათი მზვერავი ვგონებია. როდესაც ჩემი ახსნა-განმარტება მოისმინა, ბოდიში მომიხადა, რომ უზრდელად მომეჭკნენ. თუმცა მისი თავაზიანობა არც თუ ისე გულწრფელად გამოიყურებოდა.

— ოღონდაც, სწორედ უთქვამს ჩვენს უძველეს პოეტს: „შიში შეიქმს სიყვარულსა...“ — ჩაურთო გივი ოძელმა.

— მაშასადამე, იგი სულ მუდამ გარეთ იმყოფებოდა და თქვენ კი ვარსკვლავმფრენიდან ელაპარაკებოდით? ვერ შემოიპატიეთ შიგ? — ჰკითხა მეორე კოსმონავტმა.

— სამწუხაროდ, ეს შეუძლებელი იყო. პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ იმ არსებათა სიცოცხლე სრულიად სხვა საფუძველზეა აგებული. რა როლსაც ჩვენს ორგანიზმში წყალბადი, ჟანგბადი, აზოტი და ნახშირბადი ასრულებს, მათთან ამ ფუნქციას სილიციუმში ახორციელებს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჟანგბადის შემცველი ატმოსფერო ელიფსოიდისთვის მომაკვდინებელი იქნებოდა.

— ზოგიერთ გალაქტიკაში მეც შემხვედრია არა მარტო სილიციუმის, არამედ ფტორის საფუძველზე აღმოცენებული სიცოცხლეც კი, — თქვა პირველმა კოსმონავტმა.

— ჩვენი საუბარი იმით დასრულდა, — განაგრძო მესამე კოსმონავტმა, — რომ აბორიგენმა მოინანია შეცდომა. ჩემთვის საინტერესო პრობლემაზეც მივიღე პასუხი, რისთვისაც ელიფსოიდების სამყაროს ვეახელი.

გამოირკვა, რომ მათი გალაქტიკის ცენტრის ინტენსიურ პულსაციას იწვევდა იქ დაჯგუფებული ვარკვლავების ხელოვნური აფეთქებები.

— რისთვის სჭირდებათ ეს?

— ვარსკვლავთა სტრუქტურების გარდაქმნისთვის. იმისთვის, რათა თავიანთი სილიციუმური ორგანიზმების შესაფერი მზეები შექმნან და მათ პლანეტათა სისტემებზე დასახლდნენ. როგორც აბორიგენმა გადმომცა, მათი რასა უაღრესად გამრავლებულა და მთელ ლინზისებურ გალაქტიკას მოსდებია. მაგრამ თურმე ელიფსოიდები ცხოვრების ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებს იშვიათად ხვდებოდნენ ხოლმე, რამაც აიძულათ კოსმოსური ობიექტების ცვლილებები მოეხდინათ.

— ნუთუ მათ არ იციან, რომ ასეთი საშიში ექსპერიმენტების ჩატარება გალაქტიკის ბირთვის მიდამოებში დაუშვებელია, — გაიკვირა პირველმა კოსმონავტმა, — ეს ხომ საბოლოო ანგარიშში მისი კომპაქტურობის დარღვევას გამოიწვევს, რასაც, როგორც წესი, შეიძლება გრანდიოზული კატასტროფა მოჰყვეს და მთელი სისტემა აფეთქდეს?

— მეც ასეთი კითხვა დავუსვი ელიფსოიდს და ფრიად გამაოცა მისმა პასუხმა: ერთი მილიონი წლის მანძილზე არავითარი საშიშროება არ მოგველის, ხოლო ამ ხნის განმავლობაში სხვა სისტემებს ავითვისებთო.

— ოჰო, ისინი რა, სხვა გალაქტიკებს ექსპანსიაზე ამყარებენ იმედს?

— ასე გამოდის.

— ნუთუ იმ სულელებმა არ იციან, რომ ზეცივილიზაციები ამის უფლებას არ მისცემენ?

— ჩემთან შეხვედრამდე, ეტყობა მიაჩნდათ, რომ რადგანაც ვარსკვლავთა გარდაქმნის უნარი შესწავლად, სამყაროში ყველაზე ძლიერნი, ყოვლისშემძლენი იყვნენ. ვფიქრობ, ახლა მოვლენებს სხვა თვალთ შეხედავენ და თავის არასწორ აზრს შეიცვლიან.

— დარწმუნებული ხართ, რომ ლინზისებური გალაქტიკის მკვიდრნი აგრესიულ რასას ეკუთვნიან?

— თითქმის. ისინი თურმე მიმხვდარან, რომ მათი პლანეტის მთა ანჰილაციური ნივთიერებით მოვსპე და ელიფსოიდი ბევრს ცდილობდა, რომ როგორმე ჩემგან გაეგო მისი წარმოებისა და შენახვის საიდუმლოება. იმასაც კი მარწმუნებდა, რომ მიღებულ ცოდნას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისთვის გამოვიყენებთო. მაგრამ ნურას უკაცრავად, მისი ლათაიებისთვის ყური არ მითხოვებია! ვინ იცის, ლინზისებური გალაქტიკის რამდენ ჩვენს მონათესავე ჟანგბადის ცივილიზაციებს მოუღეს ბოლო ვარსკვლავთა სპექტრების შეცვლის შედეგად! სარწმუნო საბუთები საამისოდ არ გამაჩნია, მაგრამ ექვი მაინც მაქვს.

— რაზე ჰქონიათ დავა თავის მეზობლებთან?

— გალაქტიკათშორისი სივრცის გამო. ვერა და ვერ გაიყვეს თურმე თავიანთი გავლენის სფეროები. მართალი რომ გითხრათ, დაწვრილებით არც კი გამომიკითხავს. რაში მაინტერესებდა ჩამორჩენილი ცივილიზაციების შუღლი და შეხლა-შემოხლა რაღაც იდიოტური მიზეზების გამო. სასწრაფოდ შევაკეთე ძრავები და სამშობლოსკენ გავწიე.

გივი ოძელმა აღარ დაუცადა, სანამ შეახსენებდნენ, რომ მისი თხრობის ქამი დადგა და ყოველგვარი შესავლის გარეშე დაიწყო:

— ო, ძმანო, იცოდეთ, რომ ჩემს მშობლიურ გიგანტურ ვარსკვლავთა სისტემასა და მის თანამგზავრ მომცრო გალაქტიკას შორის, რომელსაც მაგელანის ღრუბლებს ვუწოდებთ, მდებარეობდა სივრცის მეტად უცნაური მონაკვეთი. მისი სტრუქტურა ნამდვილ გამოცანას წარმოადგენდა. მატერიალური სხეული, რომელიც კი მას გაეკარებოდა, უგზო-უკვლოდ იკარგებოდა... არა, ეს როდი გახლდათ კოლაპსირებული ვარსკვლავების, ანუ ეგრეთ წოდებული შავი ორმოების დაჯგუფება. მის ახლო-მახლო ათასობით პარსეკის რადიუსში არავითარი ციური სხეული არ ჰქანებდა, რომ გრავიტაციულ ძალებზე ეჭვი მიგვეტანა. დიდხანს ვიკვლევდით ამ სივრცის თვისებებს, მაგრამ უშედეგოდ. ბევრჯერ მეც მიმიღია მონაწილეობა სამეცნიერო ექსპედიციაში. ვარსკვლავმფრენს ვაჩერებდით უსაფრთხო მანძილზე და ბუნების ამ ფენომენის მიმართულებით ვუშვებდით ავტომატურ ზონდებს, რომლებიც აღჭურვილი იყო უაღრესად სრულყოფილი აპარატურით. შათი შემწეობით ვცდილობდით სულ მცირე რამ მაინც გაგვეგო, მაგრამ ყველა ჩვენი ხელსაწყო ისე გაუჩინარდებოდა ხოლმე, რომ ვერც კი ასწრებდა რაიმე ცნობის გადმოცემას. ერთდერთი რეალური საქმე, რაც გავაკეთეთ, ის იყო, რომ ზუსტად შემოვიფარგლეთ ამ სივრცის საზღვრები და



ყოველი მხრიდან გამაფრთხილებელი რადიოშუქურები
 ნოვათავსეთ, რომ რომელიმე ვარსკვლავმფრენს შემ-
 თხვევით არ გადაელახა საშიში ზონა.

— ისეთს რას წარმოადგენდა ის სივრცე, რომ ჩიხ-
 ში მოექცეცით? ნუთუ ასე გაგიჭირდათ ამ ამოცანის გა-
 დაწყვეტა? — იკითხა მეორე კოსმონავტმა.

— ჩანს, სინამდვილე ზოგჯერ ჩვენს სურვილებზე უფ-
 რო ძლიერია, — უპასუხა გივი ოძელმა და განაგრძო, —
 არ შეიძლებოდა, რომ ეს საქმე ასე მიგვეტოვებინა. სა-
 ჭირო გახდა ახალი, ყოველმხრივ მომზადებული ექსპე-
 დიციის გაგზავნა. ამ მიზნით ავაგეთ სპეციალური ვარს-
 კვლავმფრენი, რომელიც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვ-
 ნად განსხვავდებოდა ჩვეულებრივი სარეისო ხომალდე-
 ბისგან, გავითვალისწინეთ ყველა მოსალოდნელი საფრ-
 თხე, რომელიც კი მას შეიძლებოდა დამუქრებოდა,
 მოკლედ რომ ვთქვა, ჩვენმა კონსტრუქტორებმა მაქსიმა-
 ლური ზომები მიიღეს და ყველაფერი გააკეთეს იმისათ-
 ვის, რომ ვარსკვლავმფრენი ნებისმიერ გარემოში უვნე-
 ბელი დარჩენილიყო. მრავალმა კოსმონავტმა გამოთქვა
 სურვილი ეკისრა ახალაგებული ხომალდით იმ უცნაური
 სივრცის გამოკვლევა, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი ჩემზე
 შეჩერდა...

უკვე კარგად მესმოდა გამაფრთხილებელი რადიოშუ-
 ქურების საგანგაშო სიგნალები. საიდუმლოებით მოცულ
 სივრცეს ვუახლოვდებოდი, რას ვგრძნობდი მაშინ? და-
 სამალი რაა — შიშნარევ ცნობისმოყვარეობას შეუცნო-
 ბელის წინაშე. გუნებაში სიცოცხლესაც კი დავემშვიდო-
 ბე. მართალია, ზეცივილიზაციებს ვეკუთვნით, სიკვდი-



ლის შიშის გრძნობა მაინც დაგვრჩა მემკვიდრეობად წინაპრებისაგან. ახლა რაც არ უნდა თქვან თუნდაც მთელი ძეტაგალაქტიკის ფილოსოფოსებმა, მტკიცედ მწამს, რომ მხოლოდ შიში და სევდა არის უცვლელი და უნივერსალური სამყაროში, რადგან სხვებთან შედარებით საუკუნეთა მანძილზე ადამიანის ამ ორ გრძნობას არ განუცდია მხოლოდ რაიმე ხელშესახები ტრანსფორმაცია.

როდესაც აკრძალული ზონა გადავლახე, უეცრად თვალთ დამიბნელდა და სამართავ პულტთან მოდგმულ სავარძელში ჩავიკეცე. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი გულშემოყრილი. გონს რომ მოვედი, ისეთი არაჩვეულებრივი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჩემი სხეული სხვისა ყოფილიყო და მასთან არაფერი საერთო არ მქონდა. ეს, ალბათ, აზროვნების გაორების სიმპტომი იყო და დიდხანს თავს ვიმტვრევდი იმაზე, თუ რას უნდა გამოეწვია იგი. ჩემდაუნებურად ილუმინატორში გავიხედე. გარეთ აბსოლუტური სიბნელე სუფევდა, რაღაც არაბუნებრივი და შემზარავი. სადღა იყო გალაქტიკებით მოჭედილი სივრცე! შემდეგ მზერა სამართავ პულტზე გადავიტანე და ადგილზევე გავქვავდი. ჩემი არანორმალური ფიზიკური მდგომარეობაც გადამავიწყდა და ის ტვინის გამყინავი სიბნელეც, რომელიც უხილავი ნემსებით თითქოს ჩემს ნერვებს ჩხვლევტდა. განა ადვილად დასაჯერებელი იყო, რომ ხელსაწყოთა მონაცემები უკლებლივ ყველა ნულს უჩვენებდა! დრო — ნული, სიჩქარე — ნული, კოსმოსური გამოსხივება — ნული, გრავიტაცია — ნული... პირდაპირ ჭკუიდან შეიშლებოდა კაცი... „იქნებ მეც აღარ ვარსებობ“, — გამიელვა თავში, მაგრამ მიუხედავად უსიამოვნო შეგრძნე-

ბისა, მე ვაზროვნებდი, ვსუნთქავდი, თვალებს ვახამხამებდი, ვმოძრაობდი, მაშასადამე, ცოცხალი და უვნებელი ვიყავი, თუ მხედველობაში არ მივიღებდით იმას რომ ჩემს თავს თითქოს გარედან ვაკვირდებოდი და მეჩვენებოდა, რომ ჩემი სხეულის ყოველ მოძრაობას მე კი არა, თითქოს სხვა ვინმე განაგებდა.

რალა ბევრი გავაგრძელო და კარგა ხნის შემდეგ კვლავ ჩვეულებრივ კოსმოსში ამოვყავი თავი. ისევ აკიაფდნენ ნაცნობ ვარსკვლავთა სისტემების სილუეტები. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, სვებედნიერად რომ დავაღწიე თავი ჯოჯოხეთურ სიბნელეს. მაგრამ გადარჩენას ნაადრევად ვზეიმობდი. ბედი თურმე მრავალ ფათერაკს მიმზადებდა. ჯერ იყო და ცივი წყალი გადამასხა რადიაციის ინდიკატორმა, რომელმაც მამცნო, რომ ვარსკვლავმფრენის შიგნით გამაგამოსხივება კატასტროფულად იზრდებოდა. სასწრაფოდ ჩავრთე დამცავი ანტიგრავიტაციული ველი ხომალდის გარშემო. რადიაციამ მნიშვნელოვნად იკლო, მაგრამ მთლიანად მაინც არ მოსპობილა.

ამ დროს შორეული კოსმოსური რადიოკავშირის მიმღები ახრიალდა და დინამიკიდან მომესმა საოცრად ნაცნობი ხმა:

— კაპიტანო, შეაჩერეთ ვარსკვლავმფრენი!

— ვინ მელაპარაკება?

— შემდეგ გეტყვით. ახლავე აამუშავეთ სამუხრუჭე ძრავები, სანამ გვიან არ არის!

თითქმის მექანიკურად შევასრულე ბრძანება. ხომალდი თანდათან კარგავდა სისწრაფეს და დადგა დრო, როცა

მან სრულიად შეწყვიტა მოძრაობა. ვარსკვლავმფრენი
სიცარიელეში დაეკიდა.

მიმღებმა ისევ ამოიღო ხმა:

— კაპიტანო, თქვენი სახელი?

— გივი ოძელი.

— გივი ოძელი? წარმოუდგენელია. ხომ არ ხუმრობთ?

— მერწმუნეთ, რომ სრულ სიმართლეს მოგახსენებთ.

მე გივი ოძელად დავიბადე და გივი ოძელად მოვკვდები.

— გონებისთვის მიუწვდომელი ფაქტია, მაგრამ მაინც
მჯერა თქვენი. თუმცა ამას თავიდანვე უნდა მივხვედ-
რილიყავი, რადგან ჩვენ ხომ ერთმანეთის ენა ჩინებულად
გვესმის. ცხადია, ეს ყველაზე უფრო დამარწმუნებელი
ფაქტორი იყო. ახლა საქმეზე გადავიდეთ. როგორ ფიქ-
რობთ, სად იმყოფებით ამჟამად?

— როგორ თუ სად? — უკმაყოფილოდ შევესიტყვე
მე, — ჩემი მშობლიური გალაქტიკის სიახლოვეს. რა დი-
დი გამოსაცნობი უნდა იყოს ეს. პირველად ხომ არა ვარ
კოსმოსში!

— კარგად დააკვირდი, — ჩამაცივდა უცნობი.

— რამდენიც არ უნდა ვუჭვრიტო გარემოს, ახალს ვე-
რაფერს გეტყვით. სრულიად არ მეპარება ეჭვი ჩემს ვა-
რაუდში.

— დე, აგრე იყოს ჯერჯერობით. ახლა ზოგიერთ
წვრილმანზე ვისაუბროთ. თქვენს ვარსკვლავმფრენში რა-
დიაციამ თუ იმატა?

— დიახ. საიდან იცით?

— ვერ მიხვდით, რას უნდა გამოეწვია იგი ამ გალაქ-
ტიკათშორისო სივრცეში?



— მოითმინეთ, ახლავე გიპასუხებთ, — ანალიზატორებს შევხედე და კინალამ თმები ყალყზე დამიდგა. მოულოდნელობისაგან ენა ჩამივარდა.

— რატომ გაჩუმდით?

— თუ არ ვცდები, — წავილულულე მე, — ხომალდის კედლებზე ანტინაწილაკების დაჯახება იწვევს ანჰილაციას და ეს უნდა იყოს გამაგამოსხივების მიზეზი.

— სწორია.

— რით აიხსნება იგი?

— იმით, რომ ახლა ანტისამყაროში იმყოფებით. კიდევ კარგი, რომ ძლიერ დაშორებული ხართ მკვრივი მატერიის გროვისაგან და, გარდა ამისა, ეტყობა, ხომალდიც შესანიშნავადაა დაცული! აქ გაიშვიათებული გარემოა და ცალკეული ატომების ანჰილაციას თქვენთვის დიდი ზიანის მოტანა არ შეუძლია, თორემ ჩვენი საუბარი შეიძლება არც კი შემდგარიყო.

— გამოდის, რომ გალაქტიკები, რომლებსაც ირგვლივ ვხედავ, ანტიმატერიისგან შედგება?

— ნამდვილად. ახლა კი უნდა ვიამბოთ, თუ რა შეგემთხვათ. დიდი ხნის წინათ ჩვენმა მეცნიერებმა თეორიულად გამოიანგარიშეს, რომ სამყაროს აგებულება სარკისებურია. ესე იგი, არსებობს სამყარო დადებითი და უარყოფითი ნიშნით. ორივენი ყველა მონაცემით აბსოლუტურად ემთხვევა ერთმანეთს. მაგრამ მათ მხოლოდ ცალ-ცალკე შეუძლიათ არსებობა. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, თუ რა მოჰყვებოდა მატერიისა და ანტიმატერიის შეხებას — ორივეს მოსპობა. ხოლო ბუნებისათვის კი ასეთი პარადოქსი უცხოა. და აი, მათ შორის მდე-

ბარეოზს ნეიტრალური სუბსტანცია — არარაობა. ხრელი იგი საიმედოდ მიჯნავს ურთიერთისგან ორ ანტაგონისტურ სისტემას, რადგან მასზე ვერცერთი ამ სამყაროთაგანი ვერ ახდენს რაიმე პრაქტიკულ ზეგავლენას.

ჩვენ ჩავატარეთ კოლოსალური მასშტაბის ცდა. ნუ მკითხავთ, რამდენი თაობის შრომა და ენერგია, რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, რომ არარაობაში ხვრელი გაგვეჭრა. სამწუხაროდ, მასში შეფრენილი არცერთი ჩვენი ვარსკვლავმფრენი უკან აღარ დაბრუნებულა და დიდხანს არ ვიცოდით, ისინი საპირისპირო სამყაროში ანჰილაციის მსხვერპლი ხდებოდნენ, თუ არარაობაში უგზოუკვლოდ იკარგებოდნენ. როგორც კი თქვენი მხრიდან, ალბათ, შემთხვევით შემოჭრილმა ნივთიერებებმა დაიწყეს აფეთქება, მივხვდით, რომ ხვრელი რეალური სინამდვილე იყო, მის მიღმა არსებობდა საწინააღმდეგო ნიშნის მქონე ჩვენი სამყაროს სარკისებური დუბლეტი. მაინც ბოლომდე დარწმუნებული არ ვიყავით ამაში, რალაც ეჭვები კიდევ გვქონდა, რომლებიც თქვენ საბოლოოდ გაჰფანტეთ და ჩვენს კვლევას წერტილი დაუსვით. ამრიგად ექსპერიმენტი დამთავრდა. როცა სამშობლოში დაბრუნდებით, აუცილებლად ამოვქოლავთ შემაერთებელ ხვრელს, რადგან ჩვენი ცივილიზაციების ურთიერთობა შეუძლებელია გასაგები მიზეზის გამო.

მშვიდობით, გივი ოძელო! როგორ მინდა ხელი ჩამოგართვათ და თვალეებში შემოგხედოთ. მაგრამ ვაი, რომ ორივესთვის ეს საბედისწერო იქნება. ახლა კი, ო, ძმაო, ჩართე ძრავები და რადიოსხივს მიჰყევი, რომელიც პირდაპირ ხვრელთან მიგიყვანს.



— ცხადია, უყოყმანოდ შევასრულებ, რაც მითხვარით, მაგრამ, ვთხოვთ, მიპასუხოთ ერთ კითხვაზე: ვინ ბრძანდებით?

— რა მნიშვნელობა აქვს ამას? შეიძლება თქვენი მეგობარი გლებ ტოლსკი, ან ჯონათან რიდი ვარ, იქნებ გივი ოძელიც ანტისამყაროდან... თქვენც ხომ უნდა გყავდეთ ორეული ანუ ანალოგი აქ, ჩვენთან...

რატომღაც ამ უკანასკნელმა სიტყვებმა ყველაზე უფრო თავბრუ დამახვია! საიდან იცოდა ჩემი მეგობრების გვარი და სახელი, მე ხომ ამაზე კრინტიც არ დამიძრავს? კიდევ რაღაც მინდოდა მეთქვა, მაგრამ გადაცემა საბოლოოდ შეწყდა. შემოვაბრუნე ვარსკვლავმფრენი და იმ ქრუანტელისმომგვრელი ხვრელის გავლის შემდეგ კვლავ ჩვენს სამყაროში დავბრუნდი. რამდენიმე ხნის შემდეგ კოსმოსის იმ უბანში მოვხსენით რადიოშუქურებიც, რადგან მათ თავისი დანიშნულება ამოწურეს — ანტი-სამყაროსთან შემაერთებელი ხიდი უკვე აღარ არსებობდა.

— სარკისებური აღნაგობა, ალბათ, სამყაროს არსებობის ერთ-ერთი შესაძლო ფორმაა, მაგრამ არა ერთადერთი, — თქვა პირველმა კოსმონავტმა, — ხოლო არარაობა, რომელიც ახსენეთ, ძალიან წააგავს ქაოსს თავისი თვისებებით, თუმცა, ვინ იცის, იქნებ ქაოსის სხვადასხვა სახეობაც კი არის ბუნებაში. პირდაპირ გონება ამიბნია თქვენმა ნაამბობმა და უცნაური ასოციაციები გამოიწვია... თუნდაც წარმოვიდგინოთ ახლა, რომ ანტი-სამყაროში ჩვენი ანალოგებიც ფოტონურ ქარიშხალში მოხვდნენ, მათაც მახლობელ პლანეტას შეაფარეს თავი და დროის მოსაკლავად ისინიც ერთმანეთს თავიანთ თავგა-

დასავალს უყვებიან... თქვენ კი, — მოწიწებით მიმართა
მან გივი ოძელს, — მთელს მეტაგალაქტიკაში ერთადერთ
თი უნიკალური ადამიანი ხართ, რომელმაც საკუთარი
თვალთ ნახა, თუ რა ხდება ქაოსის მიღმა. ასეთი პატივი,
სხვათაშორის, თვით ძღვევამოსილ ატლანტებსაც კი არ
ხედომიათ წილად.

— ჩვენი საუბარი, — დაურთო მეორე კოსმონავტ-
მა, — თავისი მნიშვნელობით მეტაგალაქტიკურ მასშტა-
ბებსაც კი სცილდება. თითოეულმა ჩვენთაგანმა გონე-
ბაში ღრმად უნდა აღიბეჭდოს აქ თქმული და გაგონილი
მომავალ თაობათა ჭკუის სასწავლებლად.

დასასრულ გივი ოძელმა თქვა:

— ვფიქრობ, უკვე დარწმუნდით, რომ თურმე ზეცი-
ვილიზაციებსაც არ აწყენთ ურთიერთკავშირი და ინფორ-
მაციის გაცვლა. როდესაც აქ ატლანტების კოსმოლოგი-
ური ექსპერიმენტების შესახებ შევიტყვე, ძალიან შემა-
შფოთა ამ ამბავმა. დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტონ მათ
თავისი არაგონივრული საქმიანობა. ქაოსში შეჭრით ისი-
ნი ბოლოს და ბოლოს ანტისამყაროს მიადგებიან, რითაც
შეიქმნება ორი სამყაროს ანჰილაციის საშიშროება. მე-
ტაგალაქტიკის ბუნებრივ განვითარებაში ხელოვნურმა ჩა-
რევამ შეიძლება გლობალური მასშტაბით სავალალო შე-
დეგებამდე მიგვიყვანოს.

— მართლაც საჭიროა მათი გაფრთხილება, — დაუ-
დასტურა მესამე კოსმონავტმა, — მაგრამ ვინ გაუბედავს
ატლანტებს ამის თქმას?

— ჩემი ხალხი! — მოკლედ მოსჭრა გივი ოძელმა.

კაიუტკომპანიაში მასპინძლის რობოტმა შემოაბრტა და გამოაცხადა:

— პლანეტის იონოსფერო ადასტურებს, რომ ფოტონური ქარიშხალი ჩადგა. ახლახან მივიღეთ იქ გაშვებული თანამგზავრის მონაცემები...

— გზა გახსნილია, ახლა კი დროა ჩვენს საქმეებს მივხედოთ! — წამოიძახა პირველმა კოსმონავტმა.

— ოთხივე ვარსკვლავმფრენის ძრავები შეკეთებულია და საწვავის ავზებიც გავსებული, — დაუმატა რობოტმა.

კოსმონავტები ერთმანეთს გამოემშვიდობნენ და თითოეულმა მათგანმა თავის ხომალდს მიაშურა. გივი ოძელმა ნაბიჯს აუჩქარა, რადგან გონებას უფორიაქებდა მოუსვენარი აზრი კვიმატიან ატლანტებზე, რომლებმაც არქაულ ეპოქაში თავისი გაუფრთხილებლობით კინალამ მშობლიური პლანეტა დაღუპეს და ახლა კი ისინი გარდუვალად, ადრე თუ გვიან კატასტროფას უქადიან ორ სამყაროს. იგი ისწრაფოდა რაც შეიძლება მალე ჩაეტანა ეს დამაფიქრებელი ამბავი დედამიწაზე... აღდებარანისკენ რეისი კი ვილას ახსოვდა.

*

რამდენიმე წლის შემდეგ ატლანტები იძულებული გახდნენ ანგარიში გაეწიათ მეტაგალაქტიკის ცენტრიდან მოფრენილი ადამიანების შეგონებისათვის. მათ ერთხელ და სამუდამოდ თავი მიანებეს ქაოსის დალაშქვრას. ატლანტების მხრივ ასეთ იოლ დათმობას, ეტყობოდა, სხვა მიზეზიც განაპირობებდა კიდევ. ისინი ხომ არა მარტო ერთი გალაქტიკის, არამედ ერთი მიწის შვილებიც იყვნენ.

სატელევიზიო ანბანის ცთუნებანი

იანვრის ერთ საღამოს ჩემმა მეგობარმა ჟურნალისტმა ვახტანგ კვეზერელმა დამირეკა ტელეფონით და მთხოვა მასთან მიესულიყავი. ბიძამისს თურმე მისთვის სოფლიდან ღვინო გამოეგზავნა და ყურმილში თავგამოდებით მარწმუნებდა, რომ მსგავსი სასმელი არასოდეს უგემია. ბახუსის დიდი თაყვანისმცემელი მაინცადამაინც არ გახლავართ, მაგრამ ერთ-ორ ჭიქა კარგ ღვინოზე უარს არ ვიტყვი. რადგანაც საქმე ისეთი არაფერი მქონდა, ვახტანგს დიდი ხვეწნა-მუღარა არ დასჭირვებია ჩემს დასაყოლიებლად.

მალე ორივენი მაგიდას ვუსხედით. გაჩირაღდნებული ბროლის ჭალი, მხიარულ, სადღესასწაულო ელფერს აძლევდა ოთახს და ენაწყლიან მასპინძელთან ბაასი დიდ სიამოვნებას მგვრიდა. მაგრამ ამავე დროს შევატყვე, რომ, რა თემაზედაც არ უნდა ჩამოვარდნილიყო საუბარი, მასპინძელი რეფრენის სახით აუცილებლად მიაყოლებდა ხოლმე თავისი ღვინის ხოტბა-დიდებას. აქებდა მის ფერს, გემოს, სურნელებას და ასე გასინჯეთ, თვით ღვინის მომყვანის ხოტბაც კი არ გამორჩენია. ერთხანს მოთმინებით

ვუსმენდი, მაგრამ ბოლს და ბოლოს იძულებული გავხდი
შემეჩერებინა ღვინისადმი მიძღვნილი მალაღაჯადოვანი
ღითორამბების ნაკადი, რომელიც ისე უხვწყლიანი იყო,
რომ მასთან შედარებით მსოფლიოს უდიდესი მდინარე
ამაზონკა პატარა ღელედ მოგეჩვენებოდათ. პირდაპირ
ვუთხარი, რომ ასეთი გადაჭარბებული ქება მის ღვინოს
უფრო უკეთესს ვერ ხდიდა იმასთან შედარებით, რასაც
იგი სინამდვილეში წარმოადგენდა.

— ოდნავადაც არ ვფიქრობ თავზე მოგახვიო ჩემი
გემოვნება, — მომიგო ვახტანგმა, — მაგრამ აღმოსავლუ-
რი ეტიკეტი მოითხოვს, მაღლობა გადამიხადო იმ შემთ-
ხვევაშიც კი, როცა, ვთქვათ, ჩემი მორთმეული ღვინო და
ძმარი ერთ დედმამიშვილებად აღმოჩნდებიან.

— არა, ძმაო, პირველადაც რომ მქონდეს შემოდგმუ-
ლი ფეხი შენს ოჯახში, დარწმუნებული იყავი, რომ ძმრის
ჭაშნიკისთვის ჩემგან მაღლობას ვერ ეღიროსები.

ვახტანგმა გულიანად გაიცინა.

— მართლა, სულ დამავიწყდა, რომ ყოველგვარი პი-
რობითობის დაუძინებელი მტერი ხარ, თუ კი იგი ჭეშმა-
რიტებასთან ოდნავ მაინც მწყურალადაა.

— მოდი, ჩვენი პაექრობა ღვინის მშვენიერებაზე
ამით დავამთავროთ, — შევაწყვეტინე სიტყვა მასპინ-
ძელს, — ჩინებულად გამიმასპინძლდი, მეგობარო, თუ
მხედველობაში არ მივიღებთ ამ დანახშირებულ ნაჭრებს,
რომლებსაც, ალბათ, ერთ ღროს ხორცი ეწოდებოდა.

მასპინძელი შეწუხდა.

— დალახვროს ეშმაკმა, — თქვა მან, — ხორცი მარ-
თლაც დამწვია.



— და გეგონა, რომ ჩემს დეგუსტიკურ სიფხიზელს მოაღუნებდი შენი ორატორული ხელოვნებით... რას ნიშნავს, რომ ოჯახში დიასახლისი არ ტრიალებს! მართლა, სად არის შენი მეუღლე?

— ეთერი რუსთავში წავიდა თავის მშობლებთან რამდენიმე დღით...

ქიქები შევავსეთ. ვახტანგს ეთერის სადღეგრძელო შევთავაზე. მან მაღლობა გადამიხადა და ეშმაკური ღიმილით მითხრა: ეთერისთან ერთად სატელევიზიო ანტენაც უნდა ვადღეგრძელო.

ვერ მივხვდი, ხუმრობდა თუ სერიოზულად ამბობდა ამას და ამიტომ ვთხოვე, რეზუსებით ნუ მელაპარაკები მეტქი.

— შენთვის არასოდეს მითქვამს, თუ როგორ გავიცანი ეთერი და შესაძლოა, რომ ამიტომ ჩემი სიტყვები უცნაურად გეჩვენება.

— მართალი რომ ვთქვა, ყველაზე საკვირველი და მოულოდნელი შენი ქორწინება იყო. ეთერი ხომ მხოლოდ სარეგისტრაციო ბიუროში თქვენს წასვლამდე ნახევარი საათით ადრე გამაცანი. უეჭველად ეს ბედნიერება არ შედიხარებოდა, რომ ამ საქმისთვის გურამ მალრაძის გარდა, რომელიც თან გახლდათ, საჭირო არ ყოფილიყო მეორე პირიც, მოწმე თუ ხელისმომჭიდე, არ ვიცი, ზუსტად რა ეწოდება მას. სიხარულით შევუდექი ჩემი მოვალეობის შესრულებას მიუხედავად იმისა, რომ შენი გულჩახვეულობა მაინცადამაინც არ მსიამოვნებდა. ვერც გურამს დავაცდენინე ვერაფერი და იძულებული გავხდი გა-



დამეყლაპა დაუკმაყოფილებელი ცნობისმოყვარეობის
 აბი, რომელიც კინალამ ყელში გამეჩხირა.

— უნდა მერწმუნო, რომ სრულიადაც არ ვცდილობ-
 დი რაღაც დიდ საიდუმლოებად წარმომედგინა ეთერის
 გაცნობის ამბავი, მაგრამ ვეჭვობდი მაშინ დაგვეჯერებინა,
 რომ სატელევიზიო ანტენა...

— ისევ სატელევიზიო ანტენა!

— რომ სწორედ იგი გახდა ჩემი ბედნიერების მიზეზი.

— სერიოზულად ამბობ ამას?

— სავსებით.

— რა პროზაა! მე კი ვარჩევდი საცოლვე გამეცნო უფ-
 რო პოეტურ გარემოში, ვთქვათ, ბორჯომის ხეობაში, ან
 რიწის ტბაზე... ცოტაა საქართველოში ლამაზი ადგილე-
 ბი? მაინც საინტერესოა, რა შუაშია აქ სატელევიზიო ან-
 ტენა?

— ეს ის დრო იყო, — დაიწყო ვახტანგმა, — როდეს-
 საც მამადავითზე ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული სატე-
 ლევიზიო ანძის მშენებლობა, რომელიც ახლა თავმომწო-
 ნედ გადაპყურებს ქალაქს, არც თბილისის მალაზიებში
 იყიდებოდა ტელევიზორები... მაგრამ მაშინ უკვე მთავ-
 რდებოდა ქართველ მეტალურგთა ქალაქის — რუსთავის
 აგება.

ერთხელ რედაქტორმა მიხმო და სასწრაფო დავალება
 მომცა. რუსთავის მემარტენეებს პირველი ჩქაროსნული
 ნაღნობი გამოეშვათ და საჭირო იყო ოპერატიული მასა-
 ლის მომზადება. ძალიან ვჩქარობდი, მაგრამ მეფოლადე-
 თა იმ ცვლას, რომელმაც წარმატებას მიაღწია, მაინც
 ვერ ჩავუსწარი, იძულებული გავხდი მეორე დღისათვის

გადამედო საქმე. შემეძლო სათანადო მონაცემები ქარხნის სამმართველოში ამელო, მაგრამ ამ ცთუნებისგან თავი შევიკავე. ბუნებრივია, გაზეთისთვის ცოცხალ ადამიანებთან საუბარი უფრო საინტერესო იქნებოდა, ვიდრე მშრალი ციფრები. გადავწყვიტე, რომ ჩვენს საერთო მეგობარ ინჟინერ გურამ მალრაძესთან გამეთია ლამე და მეორე დღეს მომენახულებინა მუშები. გურამი ჯერ კიდევ არ იქნებოდა სამსახურიდან მოსული და დროის მოკვლის მიზნით ადგილობრივი გაზეთის რედაქციაში შევიარე, კოლეგებს გამოველაპარაკე. მერე გარეთ გამოვედი და დავიწყე ქალაქის ქუჩებში ხეტიალი...

ამ სეირნობაში რომელიღაც წყნარ ქუჩაზე ამოვყავი თავი. ფიქრებში გართული ნელა მივაბიჯებდი. ერთ ადგილას ავტომობილის საყვირის გაბმული ხმა შემომესმა. მოპირდაპირე მხარეს ცისფერ „პობედას“ მოკარი თვალი. უნებურად სახლზე გადავიტანე მზერა, დამაინტერესავის უხმობდა ასე დაბეჯითებით მძლოლი. ბუნებრივი მოვლენაა, როცა კაცს არაფერი საქმე აქვს, ასეთ შემთხვევას უყურადღებოდ არ ტოვებს. მაგრამ სულ მალე მანქანაც გადამავიწყდა თავისი მძლოლით და უცნობიც, რადგან კოტეჯის სახურავზე სატელევიზიო ანტენა შევნიშნე. აქამდე იგი მხოლოდ მოსკოვში მქონდა ნანახი. ეს უცნაურობა დაახლოებით იმას ნიშნავდა, რომ სვანეთში ჯიხვებზე სანადიროდ წახვიდე და თეთნულლის მისაღვომებთან უირაფს წააწყდე. სატელევიზიო ანტენა რუსთავში? თბილისში ხომ ტელესტუდიის აგება ჯერ კიდევ არაა დაწყებული? როცა ასეთი და მრავალი მათი მონათესავე კითხვები საკმაო რაოდენობით მივაყარე ჩემს თავს, ისე

რომ ისინი ერთმანეთს უსწრებდნენ, და, სამწუხაროდ, ვერცერთ მათგანზე ხეირიანი პასუხი ვერ გავცდით, ასევე მონოლოგი წარმოვთქვი:

„ხედავ, ვახტანგ კვეზერელი, რა საინტერესო ფათერაკს გადაგყარა ბედმა! ან ეს ნამდვილად სატელევიზიო ანტენაა და ბედნიერმა შემთხვევამ საიდუმლოებით მოცული გამომგონებელი გამოგაჩხრეკინა შენი გაზეთისთვის, ანდა რაღაც მისტიფიკაციასთან გვაქვს საქმე. საქიროა ყველაფერი სასწრაფოდ გაარკვიო“.

მეძებარივით კისერი წავიგრძელე და სახლს ავუარ-ჩამოვუარე. რას გავხდებოდი, როცა მობინადრეთაგან არავის ვიცნობდი. კორესპონდენტის მოწმობა, რომელიც ყველა დაწესებულებასა და საზოგადოებრივ შენობაში შესვლის უფლებას მაძლევდა, აქ უძლური იყო. ოჯახში დაუპატიჟებლად ცხვირის შეყოფა ყოვლად გაუმართლებელ ნაბიჯად მეჩვენებოდა. ტელეგრაფის ბოძს მივეყრდენი და ჩავფიქრდი. აღარ ვიცოდი, რა მეღონა...

ეზოდან რაღაც ხმაური შემომესმა. „ვერიკა!“ — წამოვიძახე გახარებულმა. თუ სახლში შესვლა უხერხული იყო, ეს სრულიად არ ეხება ეზოს. იგი ერთგვარ ნეიტრალურ ზონად მესახებოდა, რომელშიც კაცს თავისუფლად შეეძლო სამხედრო მოქმედება გაეშალა. ამის გაფიქრება და გადაწყვეტილების მიღება ერთი იყო — თამამად შევალე ალაყაფის კარები. ეზოში კაცის ჭაჭანება არ იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებდით ასე შვიდირვა წლის ბიჭუნას, რომელიც ბურთს თამაშობდა. ბავშვს, რომელსაც ნუგზარი ერქვა, მალე დავუმეგობრდი. სხვათაშორის, საიდუმლოდ გამიმხილა, რომ საშინლად

მოწყენილია. მათ სახლში ბავშვები არ არიან, ხოლო ქვეყანაში კი არ უშვებენ, რომ მეზობლის ბიჭებთან ითამაშონ. არა, იგი არც მშობლებზეა ნაწყენი, არც უფროს ძმაზე, ისინი კეთილი ადამიანები არიან... მხოლოდ მისი და, ეთერი არის აუტანელი, რომელიც ყოველმხრივ ზღუდავს და ავიწროებს. თანაც ისეთი ფერებით დამიხატა დის სისასტიკე, რომ კაცს ეგონებოდა მასზე მახინჯი და ზოროტი არსება არავინ დაიარებოდა დედამიწის ზურგზე.

„აბა, ბურთის მარტო თამაში, რა თამაშია!“ — დაასკვნა მან.

ბიჭუნას დავეთანხმე, რომ პიროვნების თავისუფლების პრობლემა მის ოჯახში სათანადოდ არ ყოფილა გადაწყვეტილი და რომ ბურთაობის გამო მას გადაჭარბებული სიმკაცრით ექცევიან. ამიტომ შევთავაზე ჩემთან ეთამაშა, რითაც საბოლოოდ მოვიგე მისი გული. მორიგეობით ვიდექით ხოლმე კარებში, სადაც ძელების მაგივრობას ორი დიდი ქვა ასრულებდა და გატაცებით ვთამაშობდით. ის იყო ნუგზარმა, ფეხბურთის გულშემატკივართა ერთი რომ ვთქვათ, ეგრეთწოდებული „მერცხლისებური“ ნახტომი გააკეთა ბურთის ასაღებად, რომ ამ დროს გაისმა ქალის მელოდური ხმა, რომელიც გუნებაში ვერცხლის ხარის წკრიალს მივამსგავსე.

„ნუგზარ, ახლავე ამოდი აქ!“

ბიჭი ისე შეკრთა, რომ ბურთი ხელიდან გაუშვა. მისთვის ეს ხმა უექველად პანაშვიდის მელოდიას წარმოადგენდა. მალლა ავიხედე და საშინელი გარეგნობის, ჯოჯოს მსგავსი ადამიანის ნაცვლად აივნიდან ისეთი მომხიბვლელი არსება იმზირებოდა, რომ ვფიცავ პატიოსნებას,



პარისი ერთის მაგიერ ას ოქროს ვაშლს მიუძღვნის და ამასულს და ამდენივეს მეზობლებში ისესხებდა, რომ მისთვის მიერთმია. რას ნიშნავს თვალსაზრისის სხვადასხვაობა! თუ ის უცნობი ქალიშვილი ზღაპრული სილამაზით შემკობილი მეჩვენებოდა, ჩემს ახლადშეძენილ პატარა მეგობარს იგი, ალბათ, რაღაც საშინელ ურჩხულად ჰყავდა წარმოდგენილი, რადგან მყისვე უკან ამომეფარა.

ქალიშვილს თავაზიანად აუხსენი, რომ მის ძამიკოს ცუდი არაფერი ჩაუდენია და თუკი საქმე ბურთის თამაშს შეეხება, იგი არაფერ შუაშია, რადგან ინიციატივა მე მეკუთვნის. ბოლოს დავძინე, რომ მზად ვიყავი ნუგზარის მაგიერ ყოველგვარი სასჯელი მიმეღო, რასაც დამინიშნავდა.

— არავის დასჯას არ ვაპირებ, — მითხრა ღიმილით ქალიშვილმა, — ნუგზარ, — მიმართა მან ბავშვს, — ამოდი სახლში, ორი საათია, რაც ეზოში თამაშობ, გეყოფა!

ბიჭუნამ, ცხადია, ჩემი იქ ყოფნით ისარგებლა და თამამად შეეპასუხა, რომ იგი ეზოში გაცილებით ნაკლებ ხანს იმყოფება, მაგრამ მისმა სიმამაცემ რამდენიმე წამს თუ გასტანა. ქალიშვილიც მიიმალა და მარტოდმარტო დავრჩი ეზოში. დავიწყე ფიქრი, თუ რა შედეგს მივალწიე. მაშასადამე, გავიცანი ნუგზარი, რომლის დახმარებით გავიგე მისი დის სახელი და ბოლოს ის ქალიშვილი საკუთარი თვალითაც ვნახე. ხოლო რაც შეეხება სატელევიზიო ანტენას, ჩემს თვალში როლი შეიცვალა. თუ აქამდე იგი მიზანს წარმოადგენდა, ეთერის ნახვის შემდეგ უკვე მხოლოდ და მხოლოდ მასთან დაახლოების საშუალებად მესახებოდა.



სალამოს გურამ მალრაძესთან მივედი და ჩემი დასავალი ვუამბე.

— კარგად ვიცნობ მაგ ოჯახს, — მითხრა მან, — ეთერისა და ნუგზარის უფროსი ძმა ჩვენთან მუშაობს, ელექტროინჟინერია. თუ გასურს, დღესვე ვესტუმრებით, მხოლოდ წინასწარ ტელეფონით დაველაპარაკები. სხვათაშორის, მეც დამაინტერესა, თუ რა ცდებს აწარმოებს.

გურამს მივუგე, რომ აქ საქმე მხოლოდ სატელევიზიო ანტენის საიდუმლოებაში როდია, რადგან ეს მედლის ერთი მხარეა და იგი, ასე ვთქვათ, პროფესიული ინტერესით არის გამოწვეული, ხოლო რაც შეეხება მის მეორე მხარეს, იგი უკვე სრულიად სხვა ხასიათისაა და უფრო მეტად ინტიმურ სამყაროს განეკუთვნება.

ჩემს ბუნდოვან განმარტებაზე გურამს გაეცინა:

— პირდაპირ უცნაურია, მთელი ქვეყანა მოვლილი გაქვს და რაღა მაინცდამაინც რუსთაველმა ქალიშვილმა დაატყვევა შენი გული?

რა უნდა მეპასუხა? ისღა მოვახერხე მეთქვა, რომ ძნელია წინასწარ განსაზღვროს კაცმა თუ რომელი ჩირგვიდან ან ბუჩქიდან გამოვარდება ამურის გამოსროლილი ისარი და მისი დაკოდვისგან არავინაა დაზღვეული მეთქი.

გურამმა კვლავ გაიღიმა და ტელეფონის ნომერი აკრიფა. ვილაცხას დაელაპარაკა.

— შეგიძლია გული ღაიმშვიდოთ. ეს-ეს არის ნოდარისგან მივიღეთ მოწვევა. სახლში გვეპატიება, — თქვა მან, როდესაც ყურმილი დადო.

— ნოდარისგან?

— ჰო, სულ დამავიწყდა მეტყვა, რომ ელექტრონიკ-
ნერს ნოდარი ჰქვია.



ცოტა ხნის შემდეგ გურამ მაღრაძესთან ერთად გუ-
ლისფანცქალით მივაბიჯებდი სახლისაკენ, რომელიც ჩე-
მი აფორიაქების მიზეზი გახდა.

ნოდარს მართლაც შესანიშნავი გამოგონება აღმოაჩ-
ნდა. ჩვეულებრივი ტელევიზორი თურმე საკუთარი ორი-
გინალური სქემის მიხედვით გადაუკეთებია და სპეცია-
ლური ანტენის რეგულირებით მართლაცდა გასაოცარ
შედეგს აღწევდა. ჩვენს იქ ყოფნაში გამოსახულება მიი-
ლო რომის სატელევიზიო სადგურიდან, რომელიც მაშინ-
ვე ფოტოაპარატის ფირზე აღვბეჭდვ. არ დაგავიწყდეს,
რომ მაშინ რადიორელეური ხაზები კი არა საქართველოს
ტელევიზიაც არ არსებობდა.

ყოველივე ამას მხოლოდ იმას დავუმატებ, რომ ჩემი
სტუმრობა ეთერის ოჯახში არ იყო პირველი და უკანას-
კნელი.

— ძალიან მოუხშირე რუსთავში სიარულს, — მითხრა
ერთხელ რედაქტორმა, როცა მას იქ წასვლის ნებართვა
ვთხოვე, — თუ არ ვცდები, დავალება უკვე შეასრულე,
შენი ნარკვევი მემარტენეებზე გაზეთის ხვალინდელ ნო-
მერში იბეჭდება. იქნებ აგვიხსნა, რისთვის მიდიხარ?

რედაქტორს ჩვეულებად ჰქონდა „ჩვენობით“ ლაპა-
რაკი.

— პასუხს ორიოდ დღეში მოგცემთ. ისეთ მასალას
ჩამოვიტან, რომ მთელ რესპუბლიკას ავალაპარაკებ.

— კეთილი, წადით. ერთი ვნახოთ ისეთ საინტერე-
სოს რას წააწყდით იქ.



რუსთავეში თითქმის ყოველდღე ჩავდიოდი. ნოდარის ცდებზე დაკვირვებამ საკმაოდ დამაახლოვა ოჯახს. ყველასთვის მუდამ სასურველი სტუმარი ვიყავი. ხოლო რაც შეეხება ეთერის, ჩვენი ურთიერთობა წარიმართა ისეთი გზით, რომელსაც საბოლოოდ შეუღლებისაკენ მიჰყავს კაცობრიობის აბსოლუტური უმრავლესობა. ერთი სიტყვით, იყო მთვარიანი ღამეებიც, ყვავილების სურნელებაც და სხვა მისთანანი, რომლებიც ასეთ ვითარებაში აუცილებელია. ჰორიზონტზე არცერთი ღრუბელი არ ჩანდა, რომ შესძლებოდა ჩემი ბედნიერების მზე ჩამოებნელებინა, მაგრამ მოხდა ერთი გაუთვალისწინებელი შემთხვევა, რამაც კინაღამ ეთერი დამაკარგვინა. როდესაც ნოდარის გამოგონების შესახებ გაზეთში მასალა გამოვაქვეყნე, რედაქტორმა კაბინეტში დამიბარა.

— მოხარული ვარ, ვახტანგ, რომ სიტყვა შეასრულე, — მითხრა მან, — მართლაც რომ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია თქვენმა წერილმა. მკითხველებზე განსაკუთრებით შთაბეჭდილება მოახდინა მოსკოვისა და რომის ტელესადგურების მიერ გადმოცემულ გამოსახულებათა ფოტოსურათებმა... ნოდარის ცდები უდაოდ გრანდიოზულ პერსპექტივებს სახავს. ვინ იცის, შესაძლოა ეს რევოლუციის მომასწავებელია ტელევიზიაში.

ამ დროს ტელეფონმა დარეკა. რედაქტორმა ყურმილში მე მახსენა. მეგონა, რომ საუბარი ისევ დღევანდელ ჩემს წერილთან იყო დაკავშირებული, მაგრამ შევცდი, ახალი დავალება მივიღე. თურმე ლენინაკანელი ფეიქრები მიემგზავრებოდნენ ქუთაისში აბრეშუმკომბინატის მუშებთან სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების

დასადებად და მეც თან უნდა გავყოლოდი როგორც გაზე-
თის წარმომადგენელი. ისე სწრაფად მომიხდა გამგზავნე-
ბა, რომ ეთერის გაფრთხილება ვერ მოვასწარი. ჩვენ კი
შეთანხმებული ვიყავით, რომ საღამო ერთად გაგვეტა-
რებინა. როცა თბილისში დავბრუნდი, რუსთავში კვლავ
ვერ მოვახერხე წასვლა, რადგან ჩამოტანილ მასალაზე
ვმუშაობდი. მეორე დღეს დილით, როცა რედაქციაში
მაგიდასთან ვიჯექი და მანქანაზე გადაბეჭდილ მასალას
ვკითხულობდი, ოთახში ეთერი შემოვიდა. ჩემს აღფრ-
თოვანებულ მისალმებაზე ცივად მომიგო და აღელვებუ-
ლი ხმით მითხრა:

— ჩემი გაცნობა და სიყვარულის ახსნა იმიტომ და-
გჭირდა, რომ მხოლოდ ეს დაგებეჭდა? — და გაზეთი გა-
მომიწოდა, რომელშიც მისი ძმის ცდების შესახებ იყო ნა-
თქვამი, — მასალის მოპოვების მეტად ორიგინალური ხე-
რხი ჰქონია ზოგიერთ ჟურნალისტს...

დავიწყე თავის მართლება, რომ მოულოდნელად მო-
მიხდა წასვლა და გაფრთხილება ვერ მოვასწარი მეთქი,
მაგრამ ეთერიმ ყურიც არ მათხოვა და სწრაფი ნაბიჯით
მომცილდა. ძლივს დავეწიე. სეტყვასავით მივაყარე გამა-
მართლებელი საბუთები, ვუჩვენე მივლინების მოწმობა
და მატარებლის ბილეთებიც კი, რომლებიც რალაც ილ-
ბლად ჯერ კიდევ არ მქონდა ჩაბარებული ბუხპალტერია-
ში. ამასაც არ დავჯერდი და ვთხოვე იმ დღესვე დაქორ-
წინებულიყავით. ეს უკანასკნელი არგუმენტი, ცხადია,
ყველაზე უფრო დამაჯერებელი იყო და ეთერის არ შეე-
ძლო არ ეპატიებინა ჩემთვის. მოვძებნე გურამი და ეს
იყო შენც გამოგიარეთ...

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ორივე ჩაფიქრებულად
ვიჯექით.

— შენმა ნაამბობმა, ვახტანგ, უნებურად ერთი აზრი
აღმიძრა, — დავარღვიე დუმილი.

— გისმენ.

— რატომ განისაზღვრება გაზეთის სიცოცხლე მარტო
ერთი დღით?

— რა კავშირი აქვს ამას ჩემს მონაყოლთან? — გაო-
ცდა მასპინძელი.

— მოხდა ისე, რომ გაზეთის ის ნომერი არ წამიკი-
თხავს, სადაც შენი ცოლისძმის გამოგონების შესახებ სწე-
რია. როგორღაც გამომჩრა. რამდენი ასეთი საინტერე-
სო მასალა გვეპარება შეუმჩნეველი! და ნუთუ ისინი
დავიწყების მორევმა უნდა შთანთქას, დაიკარგოს ადა-
მიანებისთვის? მგონი საჭიროა რაღაც გაკეთდეს, რათა
პრესაში გამოქვეყნებული მნიშვნელოვანი მასალები
მარტო გაზეთების აკინძულ კომპლექტებში არ რჩებო-
დეს. მათ უეჭველად უნდა მიეცეს ფართო გზა.

— ჭეშმარიტად დამაფიქრებელი სიტყვებია, — თქვა
ვახტანგმა.

ჭიქები შევაკვეთ. სინათლეზე გავხედე ლალისფერ
ღვინოს და ცოტა მოვსვი.

— ერთი რამ მაკვირვებს, ჩემო მეგობარო, მართალია
თავიდანვე თითქოს ჩინებული სასმელი იყო, მაგრამ შენი
აღსარების შემდეგ იგი კიდევ უფრო უკეთესი მეჩვენება.

— ჩემი თავგადასავალი აქ არაფერ შუაშია, ეს ხომ
ღვინის ცნობილი თვისება გახლავთ, რომელიც ჯერ კი-
დევ ჩვენმა წინაპრებმა შესანიშნავად იცოდნენ: რაც უფ-
რო მეტს სვამ, პირში უფრო გიტკბება.

ს ა რ ა ნ ე ზ ი



საქართველოს
ენციკლოპედია 3

ცისფერი მნათობი ამირანი	3
ხმა მომავლიდან	53
ჯადოსნური ბგერები	73
როცა ლომი მსხვერპლს ველარ უხმობს	83
ორმხრივი შეცდომა	90
ყველაზე ძვირფასი რელიკვია	102
უკეთესი ვარიანტი	108
ერთი მიწის შვილები	116
სატელევიზიო ანტენის ცთუნებანი	159

რედაქტორი მ. ერისთავი
 მხატვარი ჯ. ყავლაშვილი
 მხატვრული რედაქტორი ლ. ღვინჯილია
 ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზაია
 კორექტორი ქ. ქავთარაძე
 გამომშვები დ. იამანიძე

გადაეცა წარმოებას 19/III-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად
 24/VII-79 წ. საბეჭდი ქალაქი № 1. 70×100¹/₃₂. პირობითი
 ნაბეჭდი თაბახი 6,93. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,54.
 უე 00428. ტირაჟი 15.000. შეკვ. № 313.
 ფასი 85 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
 თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამსახკომი. თბილისი, № 4 სტამბა
 380060, მეღქალაქის II კორპ.

Тбилисская типография № 4 Госкомиздата
 Грузинской ССР. Тбилиси 380060. Медгородок II корп.

2/12

